

an. np.

გამოცემის წელი მეორე.



გამოცემის  
წელი მეორე.

# თანამედროვე

F 260  
1925

# გერმანია

ყოველთვიური სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალი

**№ 9**

ს ე ტ ე მ ა ხ ი 0

1925



ფილიასის უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა •

ტ ფ ი ლ ი ს ი



# გრძელდება წელის მონარქა 1925 წლისთვის

უფლებულობების სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალზე

## „თანამედროვე მედიცინა“

ურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც გამოდიოდა 1924 წ. განმავლობაში.

ურნალში შემდეგი განხოვილებებია:

თაორიული და კლინიკური მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, კორაციონული მეცნიერებები, რაზე რატები, ბიგლიორგჩავია და ძრონიკა.

ურნალში მუდმივად თანამშრომლობენ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, ასისტენტები და, გარდა ამისა, პროფინციელი ექიმებიც.

1 წლით . . . . .	10 ბაზ.
$\frac{1}{2}$ წლით . . . . .	5 ბაზ.
ცდლები ნომერი . . .	1 ბაზ.

გამოვიდა გასასყიდვი

პროფ. ალ. ალადაშვილის

— ახალი ჭიგნი —

## „კლინიკური რეცეპტები“.

სტუდენტთა და ექიმთაოვის

ქურნალ „თანამედროვე მედიცინას“ გამოცემა.

ფასი 1 ბ. 30 კ.

F 1925

გამოცემის წელი მეორე.



# თანამედროვე

## გერმანია

ყოველთვიური სამაურნალო სამეცნიერო ჟურნალი

**№ 9**

სეზონების აღმისა

1925



ფილიალის უნივერსიტეტის უნივერსიტეტის მასტეროს პასტრალუბილთა კოლეგიუმის გამოცემა

ტფილისი



## შ 0 6 1 ა რ ს 0

### I. თეორიული და კლინიკური მედიცინა:

	83.
1. ვ. კაკოიშვილი, Pes equinus paralyticus . . . . .	475
2. მ. კოკოჩახვილი, ileothoracopagus'ის შემთხვევა. . . . .	481
3. პროფ. გ. ლამბარაშვილი, რენტგენის სხივების ე. წ. გამალი- ზიანებელ თვისების შესახებ. . . . .	487
4. პროფ. ა. მაჭავარიანი, ჭიაყელა ნაწლავის დაავალების შესახებ. . . . .	511
5. გ. ლორთქიფანიძე, მეტრეირიზი მეანობაში. . . . .	521
6. გრ. ხუციშვილი, აპენდიციტების შემთხვევები კლინიკის მასა- ლების მიხედვით. . . . .	534
II. კორესპონდენციები. . . . .	544
III. რეფერატები. . . . .	557

## Thanamedrové medecina

### Sommaire:

1. V. Kakoichvili, Pes equinus paralyticus . . . . .	475
2. M. Kokotchachvili, un cas d' „Ileothoracopagus“ . . . . .	481
3. Prof. G. Gambarachvili, Au sujet de l'action irritante rayons de Röntgen . . . . .	487
4. Prof. A. Matchavariani, Au sujet des maladies de l'appen- dice . . . . .	511
5. D. Lorthkipanidze', La mettreise dans l'accouchement. . . . .	521
6. D. Koucichvili, Les cas d'appendicite d'apres les materiaux de la clinique . . . . .	534
II. Correspondances. . . . .	544
III. Revues. . . . .	557

### 3. კაკოიზმილი.

ანატომიის კათედრის ასისტენტი

### PES EQUINUS PARALITICUS.

(ტფილისის უნივერსიტეტის ანატომიური ინსტიტუტიდან გამგე—პროფ.

ა. ნათიშვილი).

ქვემო კიდურთა სიმახინჯეს შორის გაცილებით უფრო ხშირ მოვლენას ტერფის სიმახინჯე წარმოადგენს. ეს უქანასკნელი ორ გვარია: თანდაყოლილი და შეძენილი. მათ შორის პირველი უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია ეგრედ წოდებულ pes equino varus-სის სახით, რომელიც Bessel-Hagen-ის გამოანგარიშებით თანდაყოლილი ანომალიების  $\frac{1}{10}$ -ს უდრის, Hoff-ის სტატიისტიკის მიხედვით კი თანდაყოლილი—სიმრუდის 100 შემთხვევაზე 86%. ტერფის სიმრავდეს ეკუთვნის. ქირურგიულ კლასიკურ სახელმძღვანელოებში და საერთოდ ძირისურგიულ ლიტერატურაში ტერფის სიმახინჯე მრავალ ფორმებად არის და კ ყოფლი, რომელთა შორის გაცილებით უფრო ხშირ მოვლენას შემდეგი ფორმები წარმოადგენენ: Pes varus, Pes equinus და Pes equino-varus.

ვიდრე აქ ჩამოთვლილ ფორმების დახასიათებას შეგუდგებოდე, საჭიროდ გვ შემაჩნია მოკლედ აღვნიშნო ანატომია და ფიზიოლოგია ტერფისა ნორმალურ მდგრამარეობაში. ჩვეულებრივ ტერფის ძვლები ისე არის დალაგებული და ერთ-მანეთხედ მიღებული, რომ ორ თაღს წარმოქმნიან: გასწვრის და გარდიგარდ-მოს. პირველი უფრო მკაფიოთ არის გამოხატული და უკანა ნაწილი ეხება მიწას, ანუ იატაქს ქუსლის ძვლის ბორცვით, წინ კი წინა ტერფის ძვლების მიღდამოში. ამ თაღის სიმრუდე უფრო კარგად გამოხატულია მედიალურ მხარეზე, ნავისებურ და კოჭის ძვლების თავებით. მეორე, ესე იგი, გარდიგარდმო თაღი გაცილებით უფრო სუსტად არის გამოხატული და წარმოქმნება წინა ტერფის ძვლებისაგან მკაფიოთ, ნაწილობრივ უკანა ტერფის ძვლებითაც. ეს თაღი დაბჯენილია წინა ტერფის პირველ და მეხუთე ძვლის თავებზედ. მისი უმაღლესი წერტილი წინა ტერფის მესამე ძვლის თავთან არის მოთავსებული. აღნიშნული თაღები გამაგრებულია ტერფის ძირის ოოვოვანი აპარატით, მოკლე კუნთებით და გრძელი კუნთების მყენებით.

ტერფი მოძრაობს სხვადასხვა მიმართულებით: იგი იხრება ძირისაკენ, დორზალურ ზედაპირისკენ, აწარმოებს მოზიდვა განზიდვას. პირველი ორი მოძრაობა სწარმოებს კოჭ წვივის სახსარში. ამ ორ მოძრაობას აწარმოებს თითების საერთო გამშლელი და კოჭის სამთავა კუნთების მოქმედება. რაც შეეხება ორ უკანასკნელ მოძრაობას, მოზიდვას და განზიდვას, ისინი გამოწვეულია კოჭ-ქუსლის და კოჭ ნავისებური სახსრების მოძრაობით. აღნიშნულ სახსართა ზედა-

პირების თავისებურობა წარმოშობს რთულ მოძრაობას. ეგრედ წოდებულ სუპინაციის დროს მედიალური კიდე ტერფისა წამოიწევა ზემოდ და გარეთ, დასთანავე მოზიდება მედიალურად, ასე რომ ტერფი იღებს ერთგვარ სიმრუდეს, ეგრედ წოდებულ Varus-ის ფორმას. ამ შემთხვევაში მამოძრავებელ ძალას წირმოადგენს m. m. tib. anterior და tib. poster. სუპინაციის მოწინააღმდეგ მოძრაობა პრონაცია იქნება, რომელიც წარმოდგენილია ტერფის ლატერალური კიდის ზევით აწევით, მის წინა ნაწილის განზიდვით. ამ შემთხვევაში ტერფი Valgus-ის ფორმას იღებს. აქ მამოძრავებელ ძალას m. m. peronei და m. extens. digitor. comm. წარმოადგენენ: საზოგადოთ ყველა სახსრები ერთათ აღებული ტერფის მიდამოში ერთ მთლიან ტერფის სახსარს წარმოადგენენ, სადაც მოხრას თან სდევს Adductio და Supinatio, გამლას კი Abductio და Pronatio. იმ მოკლედ ის ანატომიური და ფიზიოლოგიური ნორმები, რომელთაც ემორჩილება ნორმალური ტერფი.

ზემოხამოთვლილი მოძრაობანი შეიძლება ზოგიერთ შეზოგვევაში გამოხატული იყოს გაძლიერებულად, გადამეტებულათ ნორმასთან შედარებით რომელიმე მხარესკენ, რაც გამოიწვევს პათოლოგიურ მოვლენებს, ანომალოებს და სხვადასხვა ფორმას სიმახინჯისას. როგორც უკვე თავში აღვნიშნეთ, ასეთ ფურმებს სიმახინჯისას ხშირად გხვდებით ტერფში და ყოველი მათვანი, თავისებური განსაკუთრებული თვისებებით არის წარმოდგენილი.

დაგიწყოთ ეგრედ წოდებულ pes varus-იდგან: ამ ფორმის ელემენტების ლოკალიზაციის აღნიშვნა Bessel Hagen-ს ეკუთვნის. მისი აზრით, აღნიშნულ ფორმის დროს ტერფის ნაწილი Adductio-ს განიცალის, ეს იგი, მედიალურად მოიზიდება, კიდეები გამოიუდება და ეს გამოხუდება გამოხატება იმაში, რომ ლატერალური კიდე გამოიდრიკება თვალსაჩინოთ, მედიალური კი შეიძრიკება, მათვე დაემატებათ Supinatio, რომელიც წარმოადგენს ტერფის ლატერალურათ მოტრიალებას მის წინა-უკანა ღერძის გარშემო, შეგნითა კიდე წამოიწევა ზევით და ცოტა გარეთ. მეორე ფორმა ტერფის სიმახინჯისა არის Pes equinus. ეს უკანასკნელი ხასიათდება მით, რომ ტერფი მოხრილია ძირისაკენ, მისი დორზალურ ზედაპირის მოხრა ჩვეულებრივ არ აღწევს სწორ კუთხებდის. ასეთ მდგომარეობაში ტერფი ფიქსაციას განიცდის. აღნიშნულ ფორმის დროს მოძრაობის შხრივ შეზღუდვის განიცალის ჩვეულებრივ მხოლოდ კოჭ-წვივის სახსარი, რომელ შიდაც, ხდება მოხრა და გაშლა ტერფისა, მაგრამ თუ ეს შემთხვევითი არის, მაშინ მოძრაობის შეზღუდვის განიცდიან დანარჩენი სახსრებიც. Pes equinus უფრო ხშირად შეძენილ შემთხვევას წარმოადგენს და პარალიტიურ ფორმებს ეკუთვნის. საზოგადოთ ტერფის სიმრუდის წარმოშობის შესახებ ორი თეორია არსებობს: კუნთ-ნერვიული და მექანიური. ამ უკანასკნელ უფრო მეტი მიმღევარი ყავს, როგორიც არიან Heufter-ი, Volkman ი, Kocher-ი, Hoffa, Bauer-ი, Hiusch-ი და სხვები.

ამ თეორიის მიხედვით ზემოდ აღნიშნული სიმახინჯე წარმოიშობა ორსულობის პირველ და უკანასკნელ თვეებში. ამ შემთხვევაში სითხე ნაყოფის გარშემო შეიძლება ნაკლები იქნეს, ან კიდევ შეიძლება ნაყოფის სხვადასხვა ნაწილები არანორმალურად იქნეს დალაგებული, რაც ხელს შეუშლის ნაყოფის ნორ-



მალურად განვითარებას. შესაძლებელია აგრეთვე მოხდეს საშვილოსნოს ღრუს შე-  
ვიწროება სხვადასხვა სიმსიცნით, რაც ძლიერ გავლენას იქონიებს ნაყოფის ნორ-  
მალურ ზრდა განვითარებაზე. მოსალოდნელია აგრეთვე ჭიპის თავარის მძლავ-  
რი განვითარება, რომელიც დაკავშირებულია ამნიონის ფურცლების მცირდო  
შეკავშირებასთან, რასაც შეუძლია აგრეთვე ხელი შეუწყოს ნაყოფის ზოგიერთი  
ნაწილების სიმახინჯეს. Duceppi-ის აზრით თანდაყოლილი სიმრუდე ტერფის შეი-  
ძლება გამოიწვიოს კუნთების სიღამბლემ და მათმა ანტაგონისტების თანდათა-  
ნობითმა შეზღუდვამ მოძრაობის მხრივ. Vulprius-მა 1902 წელს ორტოპედიულ  
ქირურგიულ პირველ კონკრესზე ტერფის თანდაყოლილ სიმრუდის ეთოლოგიურ  
მომენტად ჩანასახის ცხოვრების ღროს Poliomyelitis anter. აღიარა. მას Curcio-ს  
შრომიდგან მოყავს ის აზრი, რომელიც უჩვენებს m. peroneus-ის სუსტათ გაღი-  
ზიანებას ელექტრონის ნაკადით. იგივე იმოწმებს Courtier-ის გამოკვლევებს,  
სადაც ნაჩერებია, რომ თანდაყოლილი ტერფის სიმახინჯე გამოწვეულია ხში-  
რად ცენტრალურ ნერვიულ სისტემის დაავადების გამო. ამის დასამტკიცებლათ  
იგი აღნიშნულ აფატმყოფობის ღროს აგვიწერს ზურგის ტვინის მდგომარეობას,  
რომელიც ხასიათდება რუხი ნიერიერების წინა რქების ცვლილებებით და პირა-  
მიღულ კონებში მეორადი გადავარებით. Vlacos-ი სულ სხვანაირად ხსნის ზე-  
მონაჩენებ სიმახინჯის წარმოშობას. იგი შემდეგს ამბობს: ჩანასახის ცხოვრების  
ღროს ნაყოფი მოძრაობს, როგორც მდგომარეობათა შეცვლისათვის, აგრეთვე  
სხვადასხვა ჯგუფის კუნთთა განვითარებისათვის და შეთანასონებათა წარმო-  
ქმნისათვის. თუ სხვადასხვა მიზეზების გამო ნაყოფის მოძრაობა შეჩერდა, ის  
რჩება უძრავად ამ მდგომარეობაში, ეს კი იწვევს კუნთების შემოქლებას, რო-  
მელთა შიბაგრების წერტილები ერთმანეთს უახლოვდებიან. ხ-ნკრძლივი ყოფნა  
კი ამნაირ მდგომარეობაში იწვევს შეზღუდვას კონტრაქტურას. ანტაგონისტები,  
რომლებიც ამ ღროს დაჭიმული არიან აქტიურათ უმოქმედობის გამო კარგა-  
ვენ ნაწილობრივ კუნთოვან ნიერიერებას, რითაც აიხსნება მათი ელექტრონის  
ნაკადით ნაკლებად გაღიზიანება. ასეთივე შეხედულების არის ტერფის თანდა-  
ყოლილ სიმრუდის ეთოლოგიურ მომენტზე პროფესორი ტუნჩერი. Pes equi-  
nus-ის გამოწვევე მიზეზებათ შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს როგორც ტერფის  
დორზალურად მომხრელ კუნთების, აგრეთვე თვით ტერფის მოლიანი სიმძიმე—  
სიდამბლე. შეიძლება Pes equinus არ განვითარდეს, თუ ტერფის სიღამბლეს  
წინააღუდვა სხეულის მთელი სრბიმე. ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული ფორმა  
შეიძლება გამოწვეული იქნეს მრავალი პათოლოგიური პროცესებით, მაგალითად  
როგორიც არის მრავალი ნაწიბურები და ნაოჭები კანჭის უკანა ზედაპირზე  
ტყუპი კუნთის ქვემო მესამედში, სხვადასხვა ანთებითი პროცესები თვით კუნ-  
თებში. თუ საშუალოდ არის გამოხატული Pes equinus, ცვლილებები ნაკლებად  
არიან წარმოდგენილი, იგინი გვხვდებიან ხოლოდ ქუსლის და კოჭის ქვლებში.  
როგორც ერთი, აგრეთვე მეორე ძვალი მოიღრიება ხოლო ტერფის ძირისეკნ.  
მაგრამ თუ სიმახინჯე მძლავრად არის გამოხატული, იმ შესოხვევაში ცვლილე-  
ბები უკრო ღრმა არის, გამასკუთრებით კოჭ-წვიების სახსარში. სახელმოძღვან  
კოჭის ძვალი მოვარდნილია აღნიშნულ სახსრიდგან. ამ ძვლის მხოლოდ უკანა ნა-  
წილია შეთანასონებული გოჯებთან, წინა კი წამოწეულია თვისუფლად ტერ-

ფის დორზალურ ზედაპირისკენ და მისი სასახსრე ზედაპირია მოკლებულია ღრტილს. ამ ძვლის თავიც დორზალურ მხარესკენაა წამოჭეული და ირიბათ მიმართული ძირს, რაც შეეხება ქუსლის ძვალს, იგი კოჭის ძვალთან ერთათ ძალზე. მოხრილია ტერფის ძირისაკენ და შეუძლია შეთანასოვნება მხოლოდ დრდი წვივის სასახსრის უკანა ნაწილთან, ას კადევ ღარერალურ გოჯთან, ნავისებური ძვალი ჩაწეულია ტერფის ძირისაკენ. არც იოგოვანი და კუნთოვანი აპარატი არის მოკლებული ცვლილებებს ტერფის მიღამოში. როგორც სასახსრე პარკები, აგრეთვე იოგები და კუნთები ტერფის გამოდრეკილ ზედაპირზე დაჭიმული არიან და ზოგი მათგანი გიპერტონურას განიცდის. შედრეკილ ზედაპირზედ კი იგინი შემოკლებულია და ცხინათ გადაგვარებული. ყველაზედ უფრო შემოკლებული კუნთებ შორის *m. gastrocnemius* ია ამ უკანასკნელ ფორმას ტერფის სიმახინჯისას ეკუთვნის თავის ხასიათით და ოვისებით ჩემ, შემთხვევა, (იხ. ს. 1) რო-




სურათი № 1.

მელიც აღმოჩენილი იყო, ქართულ უნივერსიტეტის ანატომიურ ინსტიტუტში სტუდენტებთან პრაქტიკულ გარჯიშობის დროს გასულ წლის ვაზაფხულის სემესტრის დასაწყისში. გვამი დედა-კაცისა, დაახლოებით 35 წლისა. საშუალო ტანის გარეგანი ფორმა: სიმახინჯეს წარმოადგენს მარცხენა ქვემო კიდურის ნაწილი—ტერფი. მისი ზურგი ძალზე გამოდრეკილია და ძირს იყურება, ძირი კი შედრეკილია და უკან არის მიქცეული. კანჭის კანი გათხელებულია და მის



უკანა ზედაპირზე, სამთავა კუნთის ქვემო მესამედის მიღამოში მრავალი ნაწილურებით და ნაოჭებით არის დართული. თეითონ ტერფის დორზიალურ ზედაპირზე და გვერდითი ზედაპირზე კანი გაჭირებულია და გათხელებული, შეა ნაწილში კი ბუშტუკვანი წარმოქმნა არის გადაკრული უთხელესი კანით. ხელით შეხების დროს ბუშტუკვი გრძნობთ რაღაც მოსქელო კონსისტენციის სითხეს. ბუშტუკის კადები გამკვრიცებულია. ტერფის ძირზედ კანი ნაოჭებით და მათ შორის შეუქმნილ ლარებით არის დართული. ქსლს და კანჭს შორის, განსაკუთრებით მის უკანა ზედაპირზე კანი მჭიდროთ არის შეზრდილი ძვალთან და აღვილად არ სძვრება. კანქვეში ქსოვილი ნაკლებათ არის განვითარებული. კანჭის ყოველმხრივი კუნთები ატროფიას განიცდიან და მათი ქვემო ნახევარი ცხიბად არის გადაგვარებული. მათი კუნთოვანი ბოჭკოები მხოლოდ დასაწყისში გვხვდებიან. მათი მყენები კი უცვლელად არიან და ნორმას ესბამებიან. მხოლოდ ახილების მყენი ძალზედ არის შემოკლებული და მისი ზემონახევარი გადაგვარებულ, გასქელებულ შემაერთებელ ქსოვილს წარმოადგენს. თეითონ ტერფზე კანის მოცილების შემდეგ ვზდებით სხვადასხვაც ცვლილებებს, როგორც კუნთოვანებში, აგრეთვე ძვლებშიდაც. ტერფის ძირზე როგორც კუნთები, აგრეთვე იოგები შემოკლებულია და სრულებით გადაგვარებული, გარდა ცერის მომზიდველ კუნთის ირიბი თავისა, რომელიც უცვლელად არის შენახული. ტერფის დორზიალურ ზედაპირზე კუნთები დაჭიმულნი არიან და მოძრაობის მხრივ შეზღუდული. იოგები კი გიბერტროფიას განიცდიან, განსაკუთრებით Ligament. talonavicular e cuneiformia და სხვა, ცვლილებები მკაფიოდ გამოხატული უფრო ძვლებში გვხდება. სახელდობრ: მცირე წვივს ძვალი მომრეკილია შეგნით დიაფიზის ნაწილში და თავისი ზემო და შეა ნაწილით მიღებულია დიდი წვივის ძალზე, რომელზედაც შეხების ზედაპირი შეუქმნია. Spatium interos. და Lig interos. მოსპონბილია, მხოლოდ ქვედა ნაწილში, დაახლოევებით სამი სანტიმეტრის მანძილზე შენახულია ძალიან ვიწრო აპეკი ზურგი კოჭის ძვლისა გაგრძელებას წარმოადგენს წვივის გასწვრივ ლერძისას და ამიტომ სახსარი წინიდგან ლია არის ფართოეთ და განივრათ. Process. post. tali მოსპონბილია, მის მაგივრად გაბრტყელებული ზედაპირით კოჭი ეთანასონება წვივს. ქსლის ძვლის ბორცვი შეპატარავებულია, კავშაქტიურ ნივთიერებას მოკლებულია, ჩბილია და ატროფიული მდგომარეობა ემჩნევა. წინა ნაწილი კი გაგანიერებული და გამსხვილებულია და კოჭის საბჯენთან ერთათ მთელი ტერფის სიგანიერე უჭირავს. ქსლის ძვლის გრძელი ლერძი ვერტიკალური მიმართულებისაა და კოჭის და წვივის ლერძის თანასწვრივად არის. ქსლის ძვალი პირდაპირ მიღებულია დიდი წვივის ქვემო ბოლოს ნაპირზე და მასთან შეერთებულია ახლაც განვითარებულ სასახსრე ზედაპირებით. მისი ბორცვის ატროფიული მდგომარეობა, ჩეენის აზრით, აისხება იმ მექანიურ მნიშვნელობის მოსპონბით, რომელიც ნორმალურ პირობებში მას აქვს. რაც შეეხება უკანა და წინა ტერფის დანარჩენ ძვლებს, მათ თავის ფუძეების მიღამოში ჰორიზონტალური მდგომარეობა აქვთ და დამახინჯებულ ტერფისთვის დასაყრდნობ წერტილს წარმოადგენენ. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველ სოლებრივს და წინა ტერფის პირველ ძვლის შორის ჩართულია დამატებითი ძვალი, რომელიც თავისუფლალია და ტოკვას სახსარში.

პრეპარატს თავისებურობა ეტყობა, რაც რენტგენის სურათის მიხედვით შემდეგზე გამოიხატება: (იხ. სურ. 2) ქუსლის ძვლის ბორცვის ნაწილში შანაგანი სტრუქტურა დარღვეულია, წინა ნაწილში კი ძვალოვანი ფირფაიტების ურთიერთობა შენახულია. დიდი წვივის ძვალს ქვემო ეპიფიზის უკანა ნაპირზე ეტყობა ახლად განვითარებული ძვალოვანი წარწილულებები, რომლებითაც წვივს ქუსლთან კავ-



სურათი № 2.

შირი დაუჭერია. კოჭის სხეულის ძვალოვან ქსოვილს, ჭალის ნაწილში, დესტრუქცია ეტყობა ყელში და თავში ძვალოვან ფირფაიტების კონტურები მოსჩანს შერეული მიმართულებისა. კუბური ძვლის კონტურები ოდნავ მოსჩანს და მის ქვემო ნაპირთან ძვალოვანი ქსოვილი სრულიად გაწყალებულია.

დასასრულ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ოუმცა ზემოდალნიშნული უკანასკნელი ფორმა ტერფის სიმახინჯისა—*Pes equinus paraliticus* უმეტეს შემთხვევაში ლიტერატურის ცნობების მიხედვით შეძენილ ფორმას იკუთვნის, ნაკრამ ყველა ის ღრმა ცვლილებები და თავისებურობა, რომელთაც ადგილი აქვთ აქ ნაჩვენებ ჩემ შემთხვევაში, ნებას მაძლევენ მივაკუთვნო იგი თანდაყოლილ ფორმას.

---

ძვალოვანი პრეპარატი ინაჯება ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ანატომიურ ინსტიტუტში.

## მ. კოკოჩაშვილი.

ანატომის კათედრის ასისტენტი.

### ILEOTHORACOPAGUS-ის გეგმება.

(ტფილისის უნივერსიტ. ანატომიური ინსტიტუტიდან. გამგე—პროფ. ალ. ნათოშვილი).

უკანასკნელ ხანაში ტერატოლოგიამ გამოიწვია მეტად ღილი ინტერესი კვლევა ძიებისა ექიმთა შორის, რის შედეგათ ბოლო წლებში გმოქვეყნებულ იქმნა მეტათ საინტერესო შრომები სიმახინჯის შესახებ.

უახლოესს ავტორებიდან, რომლებმაც მოიხვეჭეს ავტორიტეტული სახელი ტერატოლოგიურ გამოკვლევაში, ეკუთვნიან Schaltz-ი, Arnold-ი, Marchand-ი, ბევრი სხვებიც და მათ შორის განსაკუთრებით Ernst Schwalbe.

Schwalbe-მ შექმნა სიმახინჯის საკუთარი კლასიფიკაცია, რომელიც ამ უძველესია, როგორც გერმანიაში ისე სხვა ქვეყნებშიაც. ამავე ავტორს ეკუთვნის სიმახინჯის სწორი განმარტება, რომელიც მიღებულია პრაქტიკულ მედიცინაში.

Schwalbe-ს სწავლა სიმახინჯის შესახებ მეტათ ვრცელია და გაიყოფა სამ მთავარ ნაწილად:

- A.) სიმახინჯის წარმოშობის დრო;
- B.) ფორმალური გენეზი და
- C.) კაუზალური გენეზი.

#### A. სიმახინჯის წარმოშობის დრო.

სიმახინჯეს შეუძლიან წარმოიშვას სუყოველთვის, დაწყებული კერტცხის განაყოფიერებიდან (Spermovium) და გათავებული ნაყოფის სრული განვითარებით.

სიმახინჯეს შეუძლიან განვითარდეს ნაყოფის დაბადების შემდეგაც, რომელიც გამოიწვევა ამა თუ იმ ორგანოს გახვითარების შეჩერებით. ჩანასახოვანი სიმახინჯე უფრო ხშირად ვთარდება ორსულობის პირველ სამი თასის განმავლობაში. რაც უფრო მკაფიოა სიმახინჯე, მით უფრო აღრცულ ემბრიონალურ ხას ეკუთვნის მისი დასაბამი. სიმახინჯის წარმოშობის დრო აღინიშნება როგორც ტერატოლოგიური ტერმინაციური პერიოდი (Schwalbe).

#### B. ფორმალური გენეზი.

ფორმალურ გენეზათ ცნობილია მორტოლოგიური ცვლილებები სიმახინჯის განვითარებისას. ცვლილებებს, ანუ ნორმიდან გადახვევას, სიმახინჯის წარმოშობისას განიხილავთ ორი თვალსაზრისით: განვითარების ისტორიის და პათოლოგიურ თვალსაზრისით.



ფორმალურ გენეზის განხილვის დროს განვითარების ისტორიის თვალსაზრისით, მხედველობაში მიღებული აქვთ სხვა და სხვა ემბრიონალურ ფენების ჩაზრდა, შეერთება, დანაწილება, ზედმეტი ზრდა, დეფექტების წარმოშობა, განვითარების შეჩერება, ნაწილაკების გადანაცვლა, შეზრდა და შეკავშირება.

პათოლოგიურ მიზეზებ შორის, რომლებიც გამოიწვევენ სიმახინჯეს, ადგილი აქვთ უმთავრესად ჰიპერტროფიას და გადაგვარებას. ალსანიშნავია აგრეთვე კვერცხის გარსების ანთებები, რომლებიც არიან მიზეზები სამახინჯის განვითარებისათვის. Schwalbe-ს აზრით საჭიროა ალინიშნოს პათოგენური მიკროორგანიზმები, რომლებსაც შეუძლიანთ შეიჭრან დაზიანებულ პლაცენტიდან ჩანასახის განმავითარებელ კვერცხში.

### G. კაუზალური გენეზი.

სიმახინჯის მიზეზები არიან გარეგანი და შინაგანი. გარეგანი ანუ გარეშე მიზეზები შეიძლება დაიყოს: მექანიურ, ქიმიურ, ფიზიურ და ორმაულ მიზეზებზედ. ამათ უნდა დაემატოს ჟანგბადის ნაკლებულობა და ოსმოზის შეცვლა.

მექანიკური მიზეზები იყო გამოკვლეული კლინიკურად და ექსპერიმენტალურად. ცნობილია რომ სიმახინჯე შეიძლება განვითარდეს ტრაუმის ნიადაგზედ. ტრაუმის შეუძლიან, თუ ის მძლავრია მოახდინოს აბორტი, და თუ ის სუსტი და ქრონიკული—გამოიწვიოს მძლავრი და რთული სიმახინჯე. კლასიკურ მავალითად ასეთი სიმახინჯისა შეიძლება ჩაითვალოს Lukscha-ს მიერ ცდით მიღებული სიმახინჯე, Lukscha იხვის კვერცხზედ აწარმოვებდა ცდას. იგი ამ კვერცხს სდებდა ინკუბაციონში. ნაკუჭის მოცილების შემდეგ ფარავდა საფარველი შუშით ჩანასახოვან ლაქს, რის შედეგათ კვერცხის სრული განვითარებისას მიღებდა დეფექტიურ ჩანასახებს. ქიმიურ ნივთიერებიდან ალსანიშნავია ალკოჰოლი და სხვა ბევრი საწამლავი ნივთიერებანი.

თერმიულ მიზეზებიდან ალსანიშნავია ტემპერატურის ხანგრძლივი აწევა. ცნობილია, რომ ცოცხალი არსებანი უფრო მეტათ მგრძნობიარე არიან მაღალ ტემპერატურასთან, ვინემ დაბალთან. მაგალითად, თუ ჩვენ გავათბობთ ბაყაყის კვერცხებს, მაშინ იქიდან განვითარდებიან მახინჯები.

ჟანგბადის ნაკლებობას და ოსმოზის ცვლილებას დიდი ნიშვნელობა აქვს. ამის შესახებ იყო გაკეთებული ცდები Mektrofahanob-ის მიერ. იგი უსვამდა გასაპრიალებელ ლაქს ქათმის კვეცხს ან და უშვებდა მათ იზოტონიურ ხსნარში და ღებულობდა სხვა და სხვა სახის მახინჯ ჩანასახებს.

სიმახინჯის შინაგანი მიზეზები უნდა ვეძიოთ თვით სქესობრივ უჯრედებში (Schwalbe).

თავის მოძღვრების დასასრულში Schwalbe-ს მოჰყავს სიმახინჯის საკუთარი კლასიფიკაცია. მახინჯებს ის ჰყოფს ორ მთავარ ჯგუფად: ორმაგ მრავლობითი და განცალკევებული წარმოქმნები. პირველი ჯგუფი მას გაყოფილი აქვს კიდევ ორ ნაწილად: თავისუფალი და შეერთებული ორმაგი წარმოქმნები. შეერთებულ წარმოქმნებში ის არჩევს სიმეტრულ და ასიმეტრულ მახინჯებს.

სიმეტრული შეერთება შეიძლება იყოს ვენტრალური ან ლორჩალური. ვენტრალურ შეერთებაში არჩევენ: ჭიპხედა შეერთებას (Craniopagusfrontalis, Cephalothoracopagus, Prosothoracopagus, Thoracopagus, Sternopagus et Xiphopagus).



Ileothoracopagus.

gus) და ჭიბულების. (Jleopagus, Jcheopagus). შესაძლოა და ხშირიც არის კომ-ბინაცია ჭიბულები და ჭიბულები შეერთებისა. ასეთებს ეკუთვნიან Ileoxiphopagus, Ileothoracopaus, Cephaloileothoracopagus. შემთხვევა, რომელმაც ჩვენ დაგვა-ინტერესა, Schwalbe-ს კლასიფიკაციით ეკუთვნის Ileothoracopagus monosy-metros tribrachius tripus-ის ფორმას.

ეს ჯგუფი მახინჯებისა შეტაღ საინტერესოა თავისი გარეგანი და შინაგანი აგებულობით. არის შემთხვევები, როდესაც ამ მახინჯებს აქვთ შეზრდილი კი-დურები ან ორი—ერთ კიდურათ ან და ყოველივე ორი ცალკ-ცალკე. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა მახინჯს ჰქონდეს ან ორი ხელ-ფეხი, ან სამი, ან ოთხ-ოთხი ხელ-ფეხი. ასეთ მახინჯებს აქვთ ორი ხერხემალი მშვენივრად განვითარებული, რომლებიც მოთავსებული არიან სხეულის გვერდებზედ. ქვემო ნაწილში ხერ-ხემლის სვეტები უახლოვდებიან ერთი მეორეს. მეჯის მიღამოში შესაძლოა მათი შეერთება. ასეთ შემთხვევაში ვლებულობთ რთულ მენჯს. გულმკერდის მიღამო-ში არჩევენ 18 ან 24 წყვილ ნეკნებს. მკერდის ძვალი ხშირად ერთია, რომელიც მდებარეობს წინ. შესაძლოა იყოს მეორე მკერდის ძვალი, მაშინ იგი მოთავსდება გულმკერდის დორზალურ ნაწილში პირველის პირდაპირ. გულმკერდის უკანა ნაწილში არის ხოლმე 2—3—4 ბეჭი იმის მიხედვით თუ რამდენი ზემო კიდურია. გულმკერდის ღრუში მოთავსებული ორგანოები შესაძლოა იყოს დალაგებული ცალკ-ცალკე. ასეთ შემთხვევაში არჩევენ თითო გულს, მოთავსებულს საკუთარ გულის პერანგზი და შეკავშირებულს სათანადო ორ ფილტვთან. შესაძლოა ორივე გული განცალკევებული ძვიდით მოთავსდეს ერთ გულის პერანგში. ამ შემთხვე-ვაშიაც ყოველივე გული ჩვეულებრივი ნაწილებით შეკავშირებულია ფილტვებ-თან (Kamann).

შესაძლოა მთლიან გულის პერანგში იყოს არა მარტო ორი დამოუკიდე-ბელი გული, გაყოფილი გულის პერანგის ძვიდეთი, არამედ შიგ მოთავსდეს ერთი გული ორი წინაგულით და ორ-ორი პარკუჭით (Высоковиц), ან და ერთ-მთლიანი შეზრდილი გული ოთხი წინაგულით და ოთხი პარკუჭით (Kamann).

მუკლის ღრუს განკვეთისას უნახავთ ხოლმე ძალიან მრავალფეროვანი სუ-რათი. იყო ნახული ორი ან ერთი ღვაძელი, ორი ან ერთი ელენთა, ორი, საში ან ოთხი თირქმელი, იმდენივე შარდსაწვეთი, ორი კუჭი, ორი თორმეტგოჯა, ერთი მთლიანი წვრილი და მსხვილი ნაწლავები. იყო შემთხვევები საჭმლის მონელებელი ორი ტრაქტის არსებობისა სრულიად თავისუფალი და დამოუკი-დებელი (Schwalbe).

როგორც ზემო აღწერილობიდან სჩანს, ასეთი მახინჯები შეტაღ საინტე-რესო არიან თავისი შინაგანი ავებულობით და ამიტომ შეეჩერდები ჩვენი შემ-თხვევის აღწერაზე: \*) (იხ. სურ.)

„მახინჯს ორი თავისუფალი, სიმეტრული და ნორმალურად განვითარებული თავი და კისერი აქვს.

\*) პრეპარატი მიღებულია ქალაქის I საავადმყოფოს სამშობარო—გინეკოლოგიურ გან-კუფილების გამგის ექიმ მონინ ისაგან, რისთვისაც მას მაღლობას უცხადებთ. სამშუხაროთ მშობარობის ისტორია ვერ მიღიღეთ.

ტორსი გაერთიანებულია. მუცლის თეთრი ხაზის შეაზე არის ჭიპი ჭიპლარით. ამ ტორსთან შეკავშირებულია სამი ზემო და სამი ქვემო კილურები. მათში ვარჩევთ მარჯვენა და მარცხენას, სრულიათ ნორმალურს, და შეას ახუ უკანას. ეს უკანა ანუ სხვანაირად შეა ხელი დართულია ორი ხელის მტევნით. თვითეულ მტევანზედ არის ჩეულებრივი ხუთი თითი. უკანა ფეხი კი ერთი მთლიანად გაერთიანებული ტერჯით თავდება და მასზედ არის რვა თითი.

შორისის მიღამოს სამკუთხიანი მოხაზულობა აქვს. მის შეაზედ კანის ოთხი მორგვია შეჯაფული. ამ კანის მორგვებ შორის კანის რამდენიმე ნაოჭია. მუცლზედ დაჭრისას ამ ნაოჭებიდან მარჯვენა მხარეს გამოდიოდა მეკონიუმი. მარცხენა მხარეს და ზევით ჩვენ შევეცალეთ ზონდის გატარება, მაგრამ ზონდი ვერ შევიყვანეთ.

გულმკერდის და მუცლის ლრუების განკვეთისას იღმოჩნდა, რომ:

**გულმკერდის ლრუ განისაზლვრება** მუცლის ლრუსაგან ერთი ნთლიანი შუასაძილით. შეა ადგილას ამ შუასაძგიდზედ მჭიდროდ შეზრდილია ფართე და დიდი გულის პერანგი. უკანასკნელის განკვეთისას აღმოჩნდა მასში ორი გული, გაყოფილი ურთიერთ შორის გულის პერანგის დაბალი ძვიდეთი. გულის მწვერვალოები დაშორებული არიან ერთი მეორისაგან და გაიყორებიან ლატერალურად იმ დროს, როცა მათი ფუქქები დაახლოვებული არიან შეა ხაზის გასწვრივ.

**მარცხენა გული:** მდებარეობა ნორმალურია, პარკუჭები და წინაგულები ნორმალურად არიან განვითარებული, აორტა და ფილტვის არტერია ამოდიან ჩვეულებრივი გულის პარკუჭებიდან. აორტა ჰქმნის ნორმალურ რკალს და გადადის დასწვრივ ნაწილში. აორტის რკალიდან ამოდის ჩვეულებრივი სამი ტოტი. გულმკერდის აორტა ჰქვრეტს დიაფრაგმის მარცხენა ნაწილს ხერხემლის გარეთ და მის გვერდით. ზემო და ქვემო ლრუ ვენები ჩაღიან მარჯვენა წინაგულში.

**მარჯვენა გული:** მდებარეობა მარჯვენა გულისა მარცხენა გულის მდებარეობის სარკისებურ გამოხატულებას წარმოადგენს. მარჯვენა გულის წინაგულები შემოტრიალებულია.

მარჯვენა წინაგული მდებარეობს მარცხნივ შეა ხაზისაკენ და მიიღებს ზემო და ქვემო ლრუ ვენებს.

აორტა და ფილტვის არტერია გამოდიან სათანადო აღვილებიდან. აორტა, გამოსული მარცხენა პარკუჭიდან, ადის ზევით და მარჯვივ, ჰქმნის რკალს სათანადო ტოტებით, მისი გულმკერდის დასწვრივი ტოტი გახერეტს დიაფრაგმის მარჯვენა ნაწილს ხერხემლის გვერდით და გარეთ.

ქვემო ლრუ ვენები გულმკერდის ლრუში შეკავშირებული არიან ერთი მეორესთან ანასტრომზის საშუალებით.

**ფილტვები.** გულმკერდის ლრუში ოთხია ყოველივე გულთან შეკავშირებულია ორი ფილტვი. ყოველივე ფილტვში შეიჭრება სათანადო ბრონქი, რომელიც წარმოადგენს სასულეს გაორკაპებულ ტოტს. როგორც სასულე ისე საყლაპავი მიღი ორ-ორია. საყლაპავი მიღები ჰქვრეტენ დიაფრაგმას მარჯვენა და მარცხენა აორტის მედიალურად.

გულმკერდის ლრუს წინა შუასაყარში მოთავსებულია მშვენივრად განვითარებული ორი მკერდუკანა ჯირკველი.

**მუცლის ღრუ.** ჯირკველოვან სართულში მარჯვნივ მოთავსებულია უზარ-მაზარი ღვიძლი, რომელიც იქავებს ამ სართულის თითქმის ორ მესამედს.

ღვიძლი გარედან და ზევიდან საღაა, აქვს მას ერთი მრგვალი იოგი მის უკანა კიდეზე არის ორი ღრმა ღარი ქვემო ღრუ ვენებისათვის. უკანა კიდეზედ ვამჩნევთ ერთ წამოწეულ მორგვს.

ღვიძლის ქვეითა ზედაპირი ძალზედ დასერილია ღარებით. აქ მოთავსებუ-ლია ორი ნაღვლის ბუშტი. ამ ქვეითა ზედაპირზედ ვამჩნევთ ღვიძლის ორ კას. ყოველივე კარიდან გამოდის ნაღვლის საღინარები, რომლებიც მიიმართებიან თორმეტვოჯა ნაწლავებისაკენ.

ღვიძლის მარჯვნივ ვამჩნევთ კუჭს პანკრეასით და ელენთას, ხოლო ღვიძ-ლის მარჯვნივ და უკან მოთავსებულია მეორე კუჭი სათანადო პანკრეასით.

ორივე კუჭი გადადის ოორმეტვოჯა ნაწლავში. ოორმეტვოჯა ნაწლავი გა-დადის მცლივ ნაწლავში. ამის შემდეგ მცლივი ნაწლავები შეერთდებიან ერთ მთლიან თეძოს ნაწლავში რომლის სიგრძე უდრის 29 ctm. ამის შემდეგ მთლიანი თეძოს ნაწლავი გადადის ერთ მსხვილ ნაწლავში. მსხვილ ნაწლავის დასაწყისს, ბრმა ნაწლავს, აქვს ერთი ჭიაყელა დანამატი. მსხვილი ნაწლავი ამის შემდგომ დანაწილდება და თავდება სწორი ნაწლავით.

მუცლის ღრუს უკანა კედელზედ მოთავსებულია სამი თირკმელი: ორი გვერ-დითი და ერთი შუა. ყოველივე მათთაგანი დართულია თითო შარდსაწვეთით.

გვერდითი თირკმელების შარდსაწვეთები ეშვებიან ქვეით და გადადიან შარდის ბუშტში.

მესამე თირკმელიდან გამოდის შარდსაწვეთი იგი მიიმართება ქვეით მენჯის ღრუში. მის პარალელურად მიდის იმავე სისქის და სანათურის საღინარი რო-მელიც იწყება ღვიძლის უკანა კიდის მორგვიდან.

ყოველივე სამ თირკმელს დართული აქვს ზევიდან თირკმლის ზედაჯირკველი.

**მენჯის ღრუში** წინიდან უკან ვარჩევთ შემდეგ ანატომიურ წარმოქმნებს.

შარდის ბუშტი ნორმალური ოდენობის და ფორმის, რომელშიდაც შეიკ-რება ორი შარდსაწვეთი, ჩამოსული გვერდითი თირკმელებიდან.

მის უკან მოთავსებულია სრულიად ნორმალური მოყვანილობის საშვილოს-ნო თავისი ყელით და დანამატებით. ამის უკან სწორი ნაწლავი, მის შემდეგ მოსხანს განუვითარებელი ორრქიანი საშვილოსნო ფალოპის ლულით და საკვერცხეთი. ამ საშვილოსნოს უკან და მარცხნივ მოსხანს გაფართოვებული ბო-ლო მესამე შარდსაწვეთისა, ჩამოსულის მესამე თირკმელიდან, რომელშიაც შეი-კრება ღვიძლიდან ჩამოსული საღინარი“.

ყოველივე ზემოხსენებულ აღწერილობიდან სჩანს რომ: ამ მახინჯს აქვს ორი კისერი, ორი თავი, სამი ფეხი და სამი ხელი. გვერდითი კიდურები ნორმალუ-რად განვითარებულია. შუა ზემო კიდურს აქვს ორი ხელის მტევანი დართული ხუთ-ხუთი თითით. ქვემო მესამე შუა კიდური მთელ სიგერზედ მთლიანია ერთი ტერფით თავდება, რომელზედაც არის რვა თითი.



Ցորուսուն մօդամօն՛ի, ամ մաենջքս, նյու ագցոլաս այցս ռտես յանուն մորցցու հռմելնշաւ պ վեժորոտ քալացեթյունու յանուն նառկյեծու.

**Ց Ս Լ Ծ Կ Ե Ր Ը Ն Ո Ը Ծ Ո Ւ Թ Յ Ո** աղմոհինճա: ռոր մցըրդցուկան չորհցյելո, ռոր ցյուլո յրտ ցյուլուն Ֆերանց՛ի, ռտես ոյոլուց, ռոր սասուլց, ռոր սապլածացու մոլո. պաշտաման ցյուլու իցուլլեցինու նաֆոլցի դա սուսելուն մարլցյեծու այցս.

**Ց Մ Ա Վ Ո Ւ Ը Ծ Ո Ւ Թ Յ Ո**: ռոր կյուժու, ռոր ձանյոյասու, յրտու յլյենտա, ռոր տոռմեթցոչա, ռոր մելոյու, յրտու տյժուն, յրտու մոլունու մեխուլու դա սիմորու նաֆլազյեծու.

յրտու գուգու լցումուն յարուտ, ռոր նալցուն ծյութուտ. լցումուն դարտուլու այցս յրտու դամաթյեծուտու մորցցու տացուն սագոնարուտ. (Սյանասկեցելու դանամաթյեծու տորկմելու սնճա յըշուտանուցէս).

**Ց Մ Ա Վ Ո Ւ Ը Ծ Ո Ւ Թ Յ Ո** աղմոհինճա սամու տորկմելու, սամու տորկմուն նեդաջորկալ լցեծատ դա սատանալու նարցուսավայեծուտ.

**Ց Ե Խ Ջ Ո Ւ Ը Ծ Ո Ւ Թ Յ Ո**: յրտու նարցուն ծյութու; ռոր սամցուլունու: վինա ցանցուտարյեծուլո, յյանա ցանցուտարյեծուլո; մատ նորուն սիմորու նաֆլազու դա ծոլուն ցանցուտարյեծուլո նարցուն ծյութու.

Յրցանահամարու ամ յամալ օնախեծա անաբումուրու օնսիւրիւրիս նուժելումնու.

### Ը Ն Ծ Յ Ռ Ծ Ծ Ո Ւ Ր Ո:

D-r Ernst Schwalbe. Die Morphologie der Missbildungen der Menschen und Thiere. 1907 B. II. Die Doppelbildungen.

Прокопьев. Материалы к патологической анатомии ассиметрических двойных уродов. Харьк. Мед. Журн. т. XII. № 8. стр. 204. 1914 թ.

Шимкевич. Уродства и происхождение видов.

Голубаш. К вопросу об уродствах плода. Жур. Акуш. и женск. бол. 1915 г. сентябрь т. XXX. сентябрь стр. 768.

A h l f e l d. Die Missbildungenes des Menschen. II B. Leipzig 1889 թ.

Собестианский. К казуистике родов сросшимися двойнями „Жур. Акуш. и женск. болезн“. т. IX. Июнь 1895 թ.

„Сиамские близнецы в животном царстве“.—Ըստ ամոնածելքու „N. M.“. A. Ф. 1903 թ.

Александров. Урод. с двумя головами „Врачебн. газ.“ 1909 թ. № 23 83. 718.

პროც. გ. ლამბარაშვილი.

## რენტგენის სხივების ე. ჭ. გამაღიზიანეგალ თვისების შესახებ.

(ტფილისის უნივერსიტეტის გინეკოლოგიურ კლინიკის რენტგენის განყოფილებიდან. დირექტორი გ. ლამბარაშვილი).

საკითხი რენტგენის სხივების „გამაღიზიანებელ“ თვისების შესახებ ეჭვს გარეშეა უალრესად საინტერესო საკითხად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე რენტგენალოგიაში, როგორც, „წმინდა“ მეცნიერების თვალსაზრისით, ისე მისი პრაქტიკულ მნიშვნელობის გამო. ამიტომ ყოველი ცდა, რომელსაც მიზნად დასხული ექნება ამ რთულ პრობლემის გაშუქება ძალიან სასურველად უნდა ჩაითვალოს.

ვხელმძღვანელობ რა ამ თვალსაზრისით მე ვაძლევ ჩემ თავს უულებას მოყლე ხნით შევაჩერო თქვენი ყურადღება იმ ექსპერიმენტალურ მუშაობის აღწერით, რომელსაც ჩენ ვაწარმოებდით სახელმწიფო უნივერსიტეტის გინეკოლოგიურ კლინიკის რენტგენის განყოფილებაში.

ამის გარდა მე მაჯეს საშუალება მოგახსენოთ ხუთი ავადმყოფ ქალის საკვერცხების შედარებითი ჰისტოლოგიურ გამოკვლევათა შედეგების შესახებ.

აღნიშნულ ავადმყოფებმა ოპერაციის ერთი კვირის წინ მიიღებს ერთ საკვერცხეზე „გამაღიზიანებელი“ დოზა— $10\%$ . H. E. D.

რამდენადაც გიცით ამგვარი გამოკვლევა ქალის სასქესო ჯირკვლებისა ჯერ არავის მოუხდენია.

სანამ ჩვენი ცდების აღწერას შეუდგებოდე საჭიროდ მიმართა მოკლედ შევჩერდე ამ საკითხის თანამედროვე მდგომარეობაზე.

1897 წლიდან დაწყებული და იქმდის. Lapriore, და Guilleminot, Metoux Wolfenden და Ross Koernicke, Halberstaedter და Simons, Yüngling, Wetterer, E. Schwary, Sierp და Robbers, Nideo Komuro და სხვა თავიანთ ექსპერიმენტებით მცენარეებზე გვაჩვენეს, რომ რენტგენის სხვივებით განსაზღრულ დოზით გაშუქების შემდგომ მათ ემჩნევათ ზრდის შეჩერება, ამასთანავე ერთად შეჩერებითი გავლენის ძალა აღმოჩდა სხივების ინტესივობასთან პირდაპირპროპრონალურად, ამავე ცდებმა გვიჩვენა თუ როგორ სხვადასხვანაირ რეაქციით უპასუხე-

\* წაკითხული არის ლენინგრადში 1925 წ. მაისში რენტგენოლოგთა საკაფეშირო პირველ კონგრესზე.



ბენ მცენარეები მათი გვარი და სახის მიხედვით და აგრეთვე იმ გარეგანი და შინაგან პირობების მიხედვით, რომელშიც იმყოფებიან; მაგალითად, ხორბლის ზრდის შეჩერებისათვის საჭიროა 60-ჯერ მეტი დოზა, ვიდრე ცერცვისათვის. მეორეს მხრივ, აღმოჩნდა, რომ რამდენადაც მცენარეებში უფრო ძლიერია ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის პროცესები, იმდენად უფრო ალვილად ემორჩილებიან რენტგენის სხივების გავლენას. ლატენტურ მდგომარეობაში მყოფი მშრალი მარცვალი, რომელშიაც ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის პროცესები მინიმუმამდის არის დასული ან სრულიად არ ემორჩილება (E. Schwarz) რენტგენის სხივების გავლენას ან მეტად მცირე გავლებს განიცდის, მაგრამ თუ მშრალი მარცვალი რამდენიმე დღით წყალში დავალეთ მით და მისი ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის პროცესები მეტად გავაძლიერედ, ჩენ დავინახავთ, რომ რადიომგრძნობიარობაც (მკრძნობიარობა რენტგენის სხივების მიმართ) შესამჩნევად გაძლიერდება.

O. Hertwig—ის გამოცვლევებმა გვაჩვენეს, რომ რენტგენის და რადიუმის სხივების ძალიან დიდი დოზებით გაშუქებული თესლი ჰქარგავს ალმოცვების და ზრდის უნარს.

ამგვარი შედეგები არ ეთანხმება ყველა დანარჩენ გამოცვლევებს, რომელთაც ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შესძლეს დაემტკიცებინათ თესლის ალმოცვენებითი უნარის მოსპობისა, ძალიან საინტერესოა, რომ Wetterer—ის ცნობით რენტგენის სხივებით შეჩერებითი გავლენა ზრდა-განვითარებაზე მცენარეებს ეტყობათ აგრეთვე მეორადი გენერაციაში.

იმ დროს, როდესაც რენტგენის სხივების შეკავშირებითი თვისების არაენ არ უარყოფს, საქითხი მათი გამალიზიანებელი მოქმედების შესახებ იწვევს დიდ კამათს. პატარა დოზებით გაშუქების დროს გამალიზიანებელი ე. წ. ზრდისა და ფუნქციის გამაძლიერებელი გავლენა შეუმჩნევიათ. Juilleminot, Maldiney და Thouvenin, Koernicke, Walfenden, Farbes—Ross, Rust და Krüger, Evers, Schmidt, და R. Schwarz. Halberstaedter, Simons, Sierp, Robbers, Altman, Rochlin, Gleichgenwicht, Yüngling, Hubert Iven საჭიროა შევნიშნოთ, რომ პატარა დოზებით გაშუქების დროს Yüngling—ის გაძლიერებული ზრდა-განვითარება უნახავს მხოლოდ ღროშე, ფესვებზე კი ამგვარი გავლენა ვერ შეუმჩნევიათ.

Habbér staedter, Simons და აგრეთვე Altman, Rochlin, Gleichgenwicht—ის ცდების დროს აღმოჩნდა, რომ რამდენადაც უფრო რადიომგრძნობიარეა მცენარე, იმდენად მცირე დოზაა საჭირო მისი გამალიზიანებისათვის, ე. ი. სხვანაირად რომ ვსტკვათ გალიზიანებელ დოზის სიდიდე უკუღმა პროპორციონალურია რადიომგრძნობიარობასთან.

Halberstaedter—ის და Simons—ის ცდებიდან ნათლად სჩანს, რომ იმ დროს, როდესაც ხორბლისათვის 300 H. E. D. ჯერ კიდევ გამალიზიანებელ დოზას წარმოადგენს, ცერცვის გალიზიანება შესაძლებელია მხოლოდ დოზით, რომელიც არ აღმატება 5. H. E. D.

Altman-ი, Rochlin-ი, Gleichgenwicht-ი რენტგენის სხივების გამალიზიანებელ გავლენაში დარწმუნდენ აგრეთვე მიუროსკობის საშუალებით. სულ სხვა აზრისა არიან ბევრი მცენარე როგორც Halzknecht-ი, Martius-ი, Komuro, Got-

twald, Schwarz, A. Czepa და Schindler აღნიშნული ავტორები თავიანთი ცდების მიხედვით უარყოფენ რენტგენის ყოველ გვარ გამალიზიანებელ თვისებას და დასკვნა გამოჰყავთ, რომ რენტგენის სხივების მინიმარული დოზაც კი იწვევს უჯრედის დაზიანებას და ზრდის შექრებას.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ დიდი ნაწილი გამალიზიანებელ თეორიის მომხრეებისა იმ აზრს აღიან, რომ რენტგენის სხივების სტიმულიური გავლენა დროებით ხასიათისა არის H. Lven, Koerhickie, Sierp, Roblers, Altman, Rochlin, Gleicngenwicht. მეორეს მხრივ Halberstadter და Simons იმ დოზების დროსაც, რომელნაც ზრდის შენელებას და შექრებას იწვევენ, დაწყებითი სტადიუმში უნახავთ გალიზიანების მოვლენები.

ჩვენი ექსპერიმენტების დროს ჩვენ ვსარგებლობდით ცერცვით (*Vicia faba aequina*) ცდები წარმოებდა სწორედ ისე, როგორც ეს უკანასკნელ დროს ნაკარნახვი იყო Matoni-სა და უფრო აღრე Lüngling-ის მიერ. დადი რაოდენობის ცერცვიდან ამორჩეულ იქნა რამდენიმე ასეული ექნებლიარი, სრულებით ერთნირი, როგორც გარეგანი შეხედულებით, ისე წონით. ვნ საათის განმავლობაში ამორჩეული ცერცვი ლბება წყალში და შემდეგ გადირანება სპეციალურ კონსტრუქციის ყუთში, რომელიც სავსეა ნახერხით. ყუთის ძირი და ორი ვიწრო კედელი შედგება ცინკისაგახ, დანარჩენი ორი ფართო კედელი კი – მინისაგან, როლების კედლებს ისეთ ნაირი მოწყობილობა აქვს, რომ ჩვენ შეგვიძლია ამ მინის კედლების ცინკის ფირფირტებით დაფარვა. მინის კედლები შიგნიდან არის დაფარული თხელი დანაოჭებული მუყათი. როდესაც ცერცვის ფესვები რიალურენ სიგრძით  $\frac{1}{2}$  ან 1 სანტ. მაშინ მათ აშუქებენ განსაზღრული დოზებით და ათავსებენ საკანტროლო ექნებლიარებთან ერთად მინის კედლებისა და დანაოჭებულ ქაღალდის შეა სივრცეში; ყუთს თავამდის ავსებენ ნახერხით, რომელიც სისტემატიური მორწყვით მუდამ სველი უნდა იყოს. ფესვების სიგრძე უკველ დღე იზომება მილიმეტრული სახაზავით. დიდი ყურადღება უნდა შეიქცეს გვერდითი ფესვების გამოსვლას; იზომება აგრეთვე ყოველივე მათი სიგრძე და ალინიშნება მათი რაოდენობა. ამგვარი შედარებითი გამოანგარიშების საშუალებით გამოჰყავთ დასკვნა მცენარეების ზრდის, შექრების ან დაჩქარების შესახებ.

ჩვენი ცდების მიზანი იყო გამორკვევა თუ როგორ მოქმედობენ რენტგენის სხივების მცირე დოზები ფესვების ზრდაზე.

ჩვენ ვსარგებლობდით უტყუარი „გამალიზიანებელ“ დოზით: 1, 2, 3, 5, და  $10^{\text{m}}$ . H. E. D. აპარატი Neo-Symmetrie მილი კულიჯი, დოზმეტრი: იონკვანტიმეტრი R. G. Sch.

ფესვების გაზომება ვაწარმოებდით ჩვენ მხოლოდ 12 დღის განმავლობაში ვინაიდან აპის იქით გვერდითი ფესვების რაოდენობა იმგვარად მრავლდება და ქმნის ისეთ რთულ და სქელ ბადეს, რომ მათი გაზომვა ხდება სრულებით შეუძლებელი

ჩვენ მივიღეთ საფეხური ერთგვარი შედეგები: უკველ შემახვევაში და ყველა დღეებში ძირითად ფესვების სიგრძე საკონტროლო შემთხვევებისა იყო უკრო დიდი, კიდევ გაშუქებულ ექნებლიარებზე. რაც შეეხება გვერდით ფესვებს





შემთხვევაში 1, 2 და 10% H. E. D-ით აღმოცენება გვერდითი ფესვებისა, როგორც საკანტროლო, ისე გაშუქებულ შემთხვევებში ხდებდოა ერთ დღეს; 4 და 5% შემთხვევებში აღმოცენება გვერდითი ფესვებისა საკონტროლო შემთხვევებზე ხდებდოა მე 7-ე დღეზე, გაშუქებულზე კი—მე 8-ე დღეზე; დაბოლოს 30% გაშუქების შემდგომ აღმოცენება გვერდითი ფესვებისა საკონტროლო ცდების შემდგომ ხდებდოა მე 6-ე დღეს, გაშუქებულზე კი მე 7-ე დღეზე. გვერდითი ფესვების რაოდენობა ყველა საკანტროლო ეჭვებლიარებზე გაცილებით უფრო დიდი იყო ვინემ გაშუქებულ შემთხვევებში; სწორედ ასეთივე გვერდითი ფესვების სიგრძე ყველა საკონტროლო შემთხვევებში იყო შესამჩნევად უფრო დიდი.

### ტ ა ბ ჟ ლ ა 1.

დოზა სილრმ. 0,5	რამდ. დღო			პარალელური ნაპერშ- კლის მანძილი		წ ე ლ	ველის სიდი- ვე
1%	27	30 ს.	100	42 სანტ.	3	0,5	6×8
2%	54	"	"	"	"	"	"
3%	1'20	"	"	"	"	"	"
4%	1'48	"	"	"	"	"	"
5%	2,8	"	"	"	"	"	"
10%	4,16	"	"	"	"	"	"


გაზომების შედეგი სჩანს ტაბულებიდან—№ 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, რომელიც მოთავსებულია შრომის ბოლოს. ამრიგად ჩვენი ცდების მიხედვით ცერცვზე, ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ რენტგენის სხივების პატარა ე. წ. „გამალიზიანებელი“ დოზები (1—5% H. E. D). არამც თუ არ იწვევენ არავითარ გალიზიანებას და არავითარ ზრდის გაძლიერებას, არამედ მათი შეჩერებითი გაცლენა ნათლად გამოხატულია.

ფესვების გაზომის გარდა 12 დღის განმავლობაში ყოველ დღე ვაკეთებდით მცენარეების ფოტოგრაფიულ სურათს.

ეს სრულებით უტყუარი და სანდო საზომავი არავითარ ეჭვს არ სტოვებს მასში, რომ რენტგენის სხივების სულ მცირე დოზებიც შეჩერებითი გავლენას ახდენენ მცენარეების ზრდა-განვითარებაზე.



სამშუხაროდ ტენიკური პირობების გამო ამ მეტად საინტერესო დაწინაშენელოვან სურათებიდან ვათავსებ მხოლოდ ერთს, რომელიც გადაღებულია ცდების მე 7-ე დღეზე. სურათებზე მკაფიოთ მოსჩანს შემაკავებელი მოქმედება რენტგენის სხივებისა მცენარეს ფესვებზე.



სურ 1. ცდის მე 7-ე დღე.

„ჭ“-თი აღნიშნულია მანძილი ორ ხაზთა შუა, სადაც მოთავსებული არის საკანტროლო არა გაშუქებული ცერცვები თავის ფესვებით.

#### ც დ ე ბ ი ბ ა ჭ ი ე ბ ზ ე.

რენტგენის სხივების მცირე დოზების საკვერცხებზე გაფლენის გამოსარქევად ჩვენ მიერ იყო გაკეთებული ცდები 22 ბაჭიაზე, რომელთა ნახევარი ე. ი. 11 ბაჭია გაშუქებული იყო სხივებით, მეორე ნახევარი კი საკანტროლო მასალას წარმოადგენდა.

ჩვენ ვსარგებლობდით მხოლოდ ახალგაზრდა ცხოველებით (3-5 თვის) და ამასთან გაშუქებული და მისი საკანტროლო ბაჭიები იყვნენ არა მარტო ერთი და იმავე ასაკის, არამედ ერთი და იმავე ფუნქტიც.

საკვერცხების რენგენიზაცია ხდებოდა წელის მხრივ.



2. შემთხვევაში ბაჭიების საკვერცხებმა მიიღეს  $10\%$ , H. E. D. 3 უმტკოცნება და გაში  $20\%$ , 5 შემთხვევაში  $-30\%$ , და 1-ში  $40\%$ .

სანამ ჩვენი შეღებების აღწერას შეუდგებოდე საჭიროდ მიმართავთ შევტერდე Geller-ის ანალიზიურ ეკსპერიმენტებზე (ბაჭიებზე და ზღვის გოჭებზე) Geller-ის დასკვნა შემდგინა:

- 1) 5% H E D ამ იშვევს არავითარ ცვლილებებს.  
 2) 10% H E D რაოდენობითი შემცირება და მრავალი დეგრეირაცია  
 პირველი ფოლიიულებისა.

3) 20—30% H E D საკვერცხები უფრო ნაკლები ზომისაა ვინედ საკანტროლო შემთხვევებში. პირვადი ფოლიკულები არ მოიძებნებიან, მხოლოდ კანტროლო ეჭვმცლარი და ისიც გადავვარების სტადიუმში; ოვალსაჩინო გამერთიორი ეჭვმცლარი და ისიც გადავვარების სტადიუმში; ოვალსაჩინო გამერთიორი ეჭვმცლარი მომწიფების ხანაში მყოფი ფოლიკულებისა და ისიც შეტანილება, ახალგაზრდა მომწიფების ხანაში მყოფი ფოლიკულებისა და ისიც შემთხვევაში დეგენერაციულ ფორმის. ინტერსეციალური ჯირკვლები განვითარებულია ერთნაირად, როგორც გაშუქებულ, ისე საკანტროლო საკვერცხებში.

4) 20—30% H E D იშვიერ საშეილოსნოს თვალსაჩინო პიტერტონ-ფიას. თუ კი საკვერცხეების იზოლიაციის მოვახდენ და ისე გავაშუქებთ მათ, მაშინ ეს გიკერტროფია არ ხდება.

5) საერთო მოქმედება: გაშუქებულ ცხოველთა  $75^{\circ}/_0$ -ში ხდებოდა წონის გადიდება, და შეჩერება ზანის ზრდისა სიგრძეზე.

6) მეორად სასწევო ნიშნები არ არსებობს.

6) იეროადი გავუქონ მისი მიზანი არა არის მცირებელი მაგრა არა ამრიგად რენტგენის სხივების მცირე დოზები ახდენენ საკვერცხეებზე არა ამაღლიზიანებელ არამედ გამანალგურებელ გავლენას.

აღნიშვნელობულ არაუკ გამოყენება ს ი დ ც ა კ უ  
აღნიშვნულ ცდების შემდგომ თვითონ Geller-ი იძულებულია განაცხადოს,  
რომ მას ამჟამად უკან მიაქვს ერთი წლის წინ მის მიერ გამოთქმული აზრი, პა-  
ტარი დოჩების გამაღიზიანებელ თვისებათა შესახებ. რაც შეეხება საშვილოსნოს,  
Geller-ი ფიქრობს, რომ გიპერტროფია არის შედეგი ოენტგენის სხივების უშუა-  
ლო გამაღიზიანებელ თვისებისა.

უმარტივეს ცხოველებზე ცდების ღროს გამალიზიანებელ გავლენას აღნიშ-  
ნავენ: Jselin Dieterle-ი ემპრიონებზე და გელაქნურის კვერცხებზე; Beckton,  
Lazarus-Barlow ახარიდის კვერცხებზე. იგივე შედეგი მიიღეს Barkey-მ და  
Hastiugs. სტულ სხვა. შედეგი მიიღეს Gauss-მა და Lembcke-მ.

Stijnach-მა და Holzknecht-მა ზღვის გოჭების საკვერცხეების რენტგენის  
სხივებით მცირე დოზებით გაშუქების დროს ნახეს საკვერცხეების დანგრევა და  
საშვილოსნოს მძლავრი ჰიპერტონია. საკვერცხეების ჰისტოლოგიური გამოკვ-  
ლევამ აღმოაჩინა ფოლიულიარულ აპარატის ატროფია და საშვილოსნოს ჰიპერ-  
ტონია; გაშასაღამე, რენტგენის სხივების ჰირდაპირი გავლენა გამოიხატება გა-  
ლიზიანებაში კი არა, არამედ დანგრევაში.

Rahm-ი აშექმებდა გაჭიროს ტვინის დანამატს 35—50% H E D რასაც შედეგად მოჰყვა ზრდის გაძლიერება და წონის მომატება. რაღაც ტვინის დანამატის პისტოლური გამოკვლევა გაკეთებული არ იყო, ამიტომ რენტგენის სხივების პირდაპირი გავლენის შესახებ არაფერი ითვეშის.

Hoffman-ის ჰისტოლოგიური გამოკვლევათა თანახმად მცირე დოზები 20%<sub>0</sub> H. E D.) იწვევენ ზრდის აჩქარებას, მაგრამ სამაგიეროთ ამ გაძლიერებულ ზრდას მოჰყვება თვალსაჩინო შეჩერება. ამრიგად აქაც აღმოჩდა, რომ გამალიზიანებელ გავლენას დროებითი ხასიათი აქვს.

### საკუთარი გამოკვლევანი.

აპარატი Neo Symetrie დოზები იზომებოდა იონტრიკვანტიმეტრით Reigner Gebbert und Schall ყველა 11 ცდებში FHA 30 სანტ. Härtemesser 100; ვალალურ ნაცერტების მანძილი—42; MA—3; არეს ჭიდოდე: ტუბუსი 6×8; 0,5 ცინკი 3 მ. მ. ალიმინიუმი. დოზა და გაშუქების დრო ნაჩვენებია ყოველ შემთხვევაში ტაბულის დასაწყისში.

ცხოვლების მოკვლა ხდებოდა გაშუქების შემდგომ მე-17—19-დღეზე ეთერის საშუალებით, იმავე დროს და ამავე წესით ვხოცავდით საკონტროლო ცხოვლებს.

დაწვრილებითი მიკროსკოპიულმა გამოკვლევებმა უველა გაშუქებულ შემთხვევებში უკველებელი გამონაკლისის გარეშე აღმოვაჩინეთ ფოლიკულიარული აპარატის დანგრევა, ამასთან ფოლიკულების დაღუპვა და გადაგვარების მოვლენანი მით უფრო გამოხატული იყო, რაც უფრო დიდ დოზას გხმარობდით:

ამრიგად, ჩვენი გამოკვლევანი სრულებით აღასტურებენ Geller-ის შედეგებს შესახებ მცირე დოზების მოქმედებისა ცხოვლების საკვერცხებზე. აგრეთვე ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ ამავე აგტორის დაკვირვებანი როგორც ქვემომოყვანილ ტაბულისაგან სჩანს, შესახებ წონის მომატებისა გაშუქების შემდგომ, რაც შეენება ტანის სიგრძის ცვლილებებს—ჩვენი შედეგი არ ეთანხმება Geller-ის გამოკვლევებს, სახელდობრ, ჩვენი ცდებიდან უფრო ტანის სიგრძის მომატება აღინიშნება.

### ც დ ა № 1

ხანა: 3 თვე

გაშუქება ოვარიალური დოზით 20%<sub>0</sub>  
დრო გაშუქებისა 15 წამი.

	9—4—1925 წ.	28—4—1925 წ.	მომატება (+)	მოკლება (-)
			აბსოლიტ.	%-%
საკონტ. { წონა ცხოვ. { სიგრძე	1900 გრ. 40 სანტ.	2030 გრ. 40 სანტ.	+130 გრ. 0 სანტ.	6,84
გაშუქებამდის. გაშუქ. შემდგომ.				
საცადი { წონა ცხოვ. { სიგრძე	16:3 გრ. 40 სანტ.	1950 გრ. 43 სანტ.	+327 გრ. 3 სანტ.	20,2 7,5

საკონტროლო ცხოვლის საკვ. სიდ.—15×5 მ.  
საცადი ცხოველის საკვ. სიდ.—12×4 მ.



## ც დ ა № 2

ხანა 3 თვე

გაშუქება ოვარიალურ დოზით 10%  
დრო გაშუქებისა 15 წამი.

	9. 4. 1925 წ.	28. 4. 1925 ს.	მომატება (+)		მოკლება (-)	
			აბსოლიტ.	%/%	აბსოლიტ.	%/%
საკანტ. ოვ.	{ წონა სიგრძე	2100 გრ. 40 ს.	2110 გრ. 40 ს.	+10 გრ. +1 ს.	0,47 2,5	
საცდ. ცხოვ.	{ წონა სიგრძე	2200 გრ. 42,5 ს.	2560 გრ. 44 ს.	+365 გრ. +1,5 ს.	16,5 3,5	

გაშუქებამდის. გაშუქ. შემდგომ.

საკონტროლო ცხოვ. საკვერცხეს სიღ.—20 × 6  
საცდელი ცხოველის საკვერცხეს სიღ.—15 × 7

## ც დ ა № 3

ხანა 3 თვე

გაშუქება ოვარიალურ დოზით 30%  
დრო გაშუქებისა 22 წამი.

	10. 4. 1925 წ.	29. 4. 1925 წ.	მომატ. (-)		მოკლება (-)	
			აბსოლიტ.	%/%	აბსოლიტ.	%/%
საკონტ. ცხოვ.	{ წონა სიგრძე	2350 გრ. 40 ს.	2490 გრ. 42,5 ს.	+140 გრ. +2,5 ს.	5,9 6,2	
საცდ. ცხოვ.	{ წონა სიგრძე	2200 გრ. 43 ს.	2875 გრ. 44 ს.	+675 გრ. +1 ს.	30,6 2,1	

საკონტროლო ცხოვ. საკვ. სიღ.—14 × 6 გ. მ.  
საცდელი ცხოვ. საკვერცხეს სიღ. 13 × 5 „ „

3 8 5 No 4

ବୋନ୍ଦା: ୩ ଠତ୍ତା

საკონტროლო ცხოვ. საკვ. სიღ.— $14 \times 6$  მ. მ.  
 საკოდელი ცხოვ. საკვერც. სიღ.— $13 \times 15$  „ „  
 გაშუქ. ოვარალ. ღაზით 40% (60 კაც.)  
 დრო გაშუქებისა 30 წამ.

	10. 4. 1925 წ.	29. 4. 1925 წ.	მომატ. (+)	მოკლება (-)
			აბსოლიტ.	%/%
საკონტ. { ცხოვ. } სიგრძე	შონა 30 ს.	2350 გრ. 42,5ს.	2490 გრ. +140 გრ. +2,5	5,9 6,2
გაშუქებამდის. გაშუქ. შემდგომ.				
საცდ. { ცხოვ. } სიგრძე	შონა 49 ს.	2100 გრ. 43 ს.	2360 გრ. +260 გრ. +3 ს.	12,3 7,5

G 85 No 5

৬৫৬০: ৫ ঠাণ্ডা

საკონტროლო	ცხოვ.	საკვერცხეს	სიდიდე	14X6 მ.
საცდელი	ცხოველის	საკვ.	სიდიდე	19X10 მ.
გაშუქება	ოვარილური	დაზით	(30%)	45 კ.
დრო გაშუქებისა				22 წამი

	12.4. 1925 წ.	29.4. 1925 წ.	მომატება (+) მოკლება (-)		
			აბსლუტურა ურად	% %	
საკონტ- ცხოვ.	{ წონა სიგ.	1895 გრ. 43,5 ს.	2175 გრ. 43,5 ს.	+280 გრ. „ „	14,7 „ „
გაუქმებამდის.	გაშუქ. შემდგომ.				
საცდ. ცხოვ.	{ წონა სიგ.	2400 გრ. 41,5 ს.	2820 გრ. 44 ს.	+420 გრ. +2,5 ს.	17,5 7,2



## ც დ ა № 6

ხანი: 4 თვე

საკონტ. ცხოველის საკვ. სიდიდე 13X5 გ.  
 საცდ. ცხოვ. საკვერცხეს სიდიდე 13X4 გ.  
 გაშუქებულია ოვარიალური დოზით (30%) 45 კგ.  
 დრო გაშუქებისა 22 წ.

	12.4. 1925 წ.	1.5. 1925 წ.	მომატება (+) მოკლება (-)	აბსოლიტი-ურად.	% %
საკონტ. { წონა ცხოვ. } სიგ.	2300 გრ. 40 ს.	2450 გრ. 42,5 ს.	+150 გრ. +2,5 ს.	6,5 6,5	
	გაშუქებამდის.	გაშუქ. შემდგომ.			
საკონტ. { წონა ცხოვ. } სიგ.	2500 გრ. 41 ს.	2820 გრ. 43 ს.	+320 გრ. +2 ს.	12,8 4,8	

## ც დ ა № 7

ხანი: 5 თვე

საკონტროლო ცხოვ. საკვ. სიდიდე 14X6 გ.  
 საცდელი ცხოვ. საკვ. სიდიდე 14X4 გ.  
 გაშუქებულია ოვარიალური დოზით: 30%  
 დრო გაშუქებისა 22 წ.

	12.4. 1925 წ.	1.5. 1925 წ.	მომატება (+) მოკლება (-)	აბსოლიტი-ურად.	% %
საკონტ. { წონა ცხოვ. } სიგ.	2300 გრ. 40 ს.	2450 გრ. 42,5 ს.	+150 გრ. +2,5 ს.	6,5 6,5	
	გაშუქებამდის.	გაშუქ. შემდგომ.			
საცდ. { წონა ცხოვ. } სიგ.	2100 გრ. 401	2400 გრ. 43 ს.	+300 გრ. +3 ს.	14,2 7,5	

საკონტროლო ცხოვ. საკვერცხეს სიდიდე  
 საცდელი ცხოველის საკვ. სიდიდე 14--6  
 10--6

ც დ ა № 8

ხანა: 3 თვე

გაშუქება ოვარიალური დოზითა 20%  
დრო გაშუქებისა 15 წ.

	12.4. 1925 წ.	1.5. 1925 წ.	მომატება (+) მოკლება (-) აბსოლიტუ- ურად	% %	
საკონტ. ცხოვ.	შონა სიგ.	2200 გრ. 42 ს.	2320 გრ. 42,5 ს.	+120 გრ. +0,5	5,4 1,1
გაშუქებამდის. გაშუქ შემდგომ.					
საცდ. ცხოვ.	შონა სიგ.	2400 გრ. 41 ს.	2700 გრ. 42 ს.	+300 გრ. +1 ს.	12,5 2,1

ც დ ა № 9

ხანა: 4 თვე

საკონტ. ცხოველის საკვ. სიდიდე 19×7 ს.  
საცდ. ცხოვ. საკვერცხეს სიდიდე 14×6 ს.  
გაშუქებულია ოვარიალური დოზით 10%  
დრო გაშუქებისა 7 წ. 24 წ.

	14.4. 1925 წ.	1.5. 1925 წ.	მომატება (+) მოკლება (-) აბსოლიტუ- ურად	% %	
საკონტ. ცხოვ.	შონა სიგ.	2200 გრ. 42 ს.	2320 გრ. 42,5 ს.	+120 გრ. +0,5	5,4 1,1
გაშუქებამდის. გაშუქ. შემდგომ.					
საკონტ. ცხოვ.	შონა სიგ.	2331 გრ. 40 ს.	2725 გრ. 43 ს.	+394 გრ. +3 ს.	16,9 7,5

## ც ლ ა № 10

ხ ა ნ ა: 4 თვე

საკონტროლო ცხოვ საკვ. სიდიდე	19×7 ბ.
საცდელი ცხოვ. საკვ. სიდიდე	2×5 ბ.
გაშუქებულია ოვარიალური დოზით	20 <sup>0</sup> ბ.
დრო გაშუქებისა	15 ჭ.

	14.4. 1925 ჭ.	15. 5. 1925 ჭ.	მომატება (+) მოკლება (-)	აბსოლუტი-ურად	% %
საკონტ. ცხოვ.	2801 გრ. —	2841 გრ. —	+40	—	—
	გაშუქებამდის.	გაშუქ. შემდგომ.			
საცდ. ცხოვ.	2827 გრ. 45 ს.	2880 გრ. 4 5 ს.	+53	1,8	—

## ც ლ ა № 11


ხ ა ნ ა: 3 თვე

საკონტროლო ცხოვ. საკვერცხეს სიდიდე	15×3 ბ.
საცდ. ცხოველის საკვ. სიდ.	12×4 ბ.
გაშუქება ოვარიალური დოზით	30%
დრო გაშუქებისა	22 წამი

	14. 4. 1925 ჭ.	1. 5. 1925 ჭ.	მომატ. (+) მოკლებ. (-)	აბსოლუტი-ურად	% %
საკონტ. ცხოვ.	2750 გრ. —	2840 გრ. —	+90	—	—
	გაშუქებამდის	გაშუქ. შემდგომ			
საცდ. ცხოვ.	2800 გრ. —	2900 გრ. —	+ 100 გრ.	3,5	—

საკონტროლო ცხოვ. საკვ. სიდ. 14×5 ბ. 6.  
საცდელი ცხოველის საკვერ. სიდ. 14×4 „ „

16 მიკროსკოპიულ სურათიდან, რომელიც სრულებით ადასტურებენ ჩვენ დასკვნას, სიძვირის და ტეხნიკურ მოსაზრებათა გამო სამწუხაროთ მოვახერხეთ მოთავსება მხოლოდ ქვემო მოყვანილ ორი სურათისა.



სურ. 2. ბაჭიას საკვერცხე გაშუქება 30%.

### ქალის საკვერცხეების გამოკვლევანი.

რენტგენის სხივების მცირე დოზების ქალის საკვერცხეებზე მოქმედების გამოსაკვლევად ჩვენ ვსარგებლობდით იმ შემთხვევებით, როცა ნაჩენები იყო მათი ნაწილობრივი ან სრული ამოკვეთა ან არა და გადანერგვა. ამგვარი შემთხვევა გვქონდა ხუთჯერ.

ჩვენ ვაშუქებდით ( $10\%$ , HED ოვარიალური ღოზა) ერთ მხარეზე (მუდამ მარჯვენა საკვერცხეს), მეორე მხარე კი საკონტროლოდ რჩებოდა.

ტეხნიკა FHA—23 სანტ. Härtemann 100, პარალელური ნაპერწყალის მანძილი 42; MA—3; ფირფიტა 0,5, ცინკი 3 მ. მ. ალიმინიუმი.


ავადმყოფებს ასერაციას უკეთებდით რენტგენიზაციის შემდეგ მე-7—10 დღეს. გაშუქებულ საკვერცხეების შიკროსკოპიულ გამოკვლევებში აღმოაჩინეს ფოლიკულიარულ აპარატის გადაგვარების მოვლენანი.

ამასაც ადასტურებენ მრავალი მიკროსკოპიული სურათები რომელთა რიცხვიდან მოგვყავს მხოლოდ ორი:



ამგვარი დაკვირვებანი ქალის საკვერცხეების ცვლილებისა მცირე დო-  
ზებით გაშუქების შემდგომ ლიტერატურაში არსად არ მოიძებნება.

ამგვარად ცდები მცენარეებზე და აგრეთვე ქალის საკვერცხეების გა-  
მოკვლევები ერთ და იგივეს მეტყველობენ, სახელდობრ, რომ რენტგენის სხი-  
ვების მცირე დოზები ქსოვილის დაზიანებას იწვევენ; არავითარი გალიზიანე-  
ბის ნიშნები არც ერთ პრეპარატში არ აღმოჩნდა.



სურ. ვ. ბაჭიას საკვერცხე საკონტროლო.


როგორც ცნობილია ჰიპოტეზა ოენტგენის სხივების ე. წ. გამალიზიანებელ  
თვისების შესახებ დამყარებულია Arndt—Schultz-ეს კანონზე: „მცირე დოზები—  
ალიზიანებენ, საშუალო—აღამბლავებს, დიდი დოზები კი—ჰკლავენ“.

ამეამად არავის არ ეპარება ეჭვი იმის შესახებ, რომ ეს „ბიოლოგიური“  
კანონი სწორე არ არის. ამ მართლად დებულების დასამტკიცებლად Pordes-ს  
მოჰყავს აზრი ყოვლად ივტორიტეტულ ფარმაკოლოგებისა. აღმოჩენილია, რომ  
ალკოჰოლის მცირე დოზებს იმგვარივე დამბლის გამომწვევი გავლენა აქვს, რო-  
გორც დიდი დოზებს. თუ ალკოჰოლი გაღაზიანებას იწვევს—ეს არის შედეგი შე-  
მაკავებელ ცენტროების დამბლისა. სტრინინი მცირე დოზებში აძლიერებს ტო-  
ნუს, საშუალო დოზები იწვევენ კრუნჩხვას, დიდი დოზები—კი ტეტანუს და სიკვ-  
დილს. კურარე და კოკაინის შესახებ ითქმის იგივე. Pordes-ის აზრით თითქმის  
გაღიზიანება მცენარეებზე ცდების დროს აისნება შემაჩერებელ აპარატის და-  
ზიანებით ე. წ. გალიზიანების დროს. ჩვენ გვაქვს საქმე ფიზიოლოგიურ პლიუ-

თან კი არა, არამედ რენტგენის ინსულტის საშუალებით დაზიანებასთან, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ავრეთვე ზრდის გაძლიერება.

ამ დებულებათა დასამტკიცებლათ Pordes-ი მიგვითითებს Weber-ის ცდებზე იასამანზე: გაშუქებული მცენარეები იფუქჩებიან უფრო აღრე, ვინემ საკონტროლო, მაგრამ ძალიან მაღლ იღუპებიან.

მაგრამ მაინც რით აიხსნება მცირე დოზებით წამლობის ნაყოფიერი შედეგი ზოგიერთ ავადმყოფობათა დროს?



სურ. 4. ქალის საკერძო გაშუქება 10%.


Pordes-ი ყველა ამ შემთხვევებისათვის იძლევა განმარტებას, რომელიც ეჭვს გარეშეა უფრო სიმართლესთან ახლოს არის, ვინემ ხელოვნური ახსნა გალიზიანების თეორიის მომხრეებისა. მაგალითად, ამენორეის ნაყოფიერი წამლობა აიხსნება მეტად რაღიამგრძნობიარე, ძალიან მწითე ფოლიკულების დაშლით და როგორც ამის შედეგს, ჩვენ ვხედავთ პორმონების გაძლიერებულ გაჩენას სისხლში.

ტუბერკულოზის ნაყოფიერ წამლობას Pordes-ი ხსნის არა ახალგაზრდა შემაერთებელ ქსოვილოვან უჯრედების გალიზიანებით (Stephan და Fränkel-ი) არამედ იმითი რომ ტუბერკულოზის დროს პირველ რიგში ხდება დაშლა ლიმფოლიკოციტარულ ინფილტრატისა. დაშლილი ლიმფოციტები გამოჰყოფენ სისხლში ავტოტუბერკულინებს, რომელთაც Iselin-ის აზრით, აქტიურ იმუნიზატორული თვისებები აქვთ. სისხლის შედედების გაძლიერება ელენთის გაშუქების შემ-



დეგ აიხსნება აგრეთვე ლეიკოციტების დაშლით, როცა ხდება შედედების გა-  
მომწვევ ფერმენტის განთავისუფლება.

ლეიკოციტალური ინფილტრატი, რომელიც მწვავე ნეფრიტის დროს აწვება  
გლომერულებს, რენტგენის სხივების საშუალებით დაშლის პროცეს განიცდის,  
რასაც შედეგათ ზედაწოლის შემცირება უნდა მოჰყვეს და ამასთან ერთად ტკი-  
ვილების მოსპობა.



სურ. 5 ქალის საკვერცხე. საკონტროლო.

ზემოხსენებულით, რასაკვირველია, არ აძოიშურება მთელი არგუმენტაცია  
გალიზიანების<sup>1</sup>, ოეორიის წინააღმდეგ, მაგრამ ესეც სრულებით საქმარისია.

შესაძლებელია, რომ ზოგიერთ შემთხვევებში გაშუქების შემდგომ აქვს აღ-  
გილიამკენარეთა ზრდის გაძლიერებას, მაგრამ, როგორც წინად დავინახეთ, ამ  
მოვლენის ახსნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გალიზიანების ოეორიის  
საშუალებით.

ଠାବ ତଳା ନେ 8



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପୁରାଣ ଶର୍ମିଷ୍ଠାନ ପାଠ୍ୟ ପାଠ୍ୟ ପାଠ୍ୟ ପାଠ୍ୟ

503

$1^0/0$

ଫ.	ମ.	ଧ. ଭ.	
		ଫ.	ମ.
+1,6		ରାଗଙ୍କ. +25 ବୀଜ. (0,5)	

$2^0/0$

ଫ.	ମ.	ଧ. ଭ.	
		ଫ.	ମ.
+3,5		ରାଗଙ୍କ. +19 ବୀଜ. (+0,1)	

$3^0/0$

ଫ.	ମ.	ଧ. ଭ.	
		ଫ.	ମ.
+1,5		+7 (+10)	

$4^0/0$

ଫ.	ମ.	ଧ. ଭ.	
		ଫ.	ମ.
+0,5		+2 (+0,4)	

$5^0/0$

ଫ.	ମ.	ଧ. ଭ.	
		ଫ.	ମ.
+1		+16 +0,5	

$6^0/0$

ଫ.	ମ.	ଧ. ଭ.	
		ଫ.	ମ.
+8		+5 (+0,8)	

ଶ୍ରୀନିଶ୍ଚନ୍ଦ୍ରା: {  
ଫ. = କାନ୍ତିରାଜା  
ମ. = ରାଜିନୀତିକା (କାନ୍ତିରାଜାରେ)  
ଧ. ଭ. = ସମ୍ବଲପୁରି ପ୍ରଦେଶରେ

० ५ ८ ८

100

డ	1	2	గాను.	3	గాను.	4	గాను.	5	గాను.	6					
	3.	6.	3.	6.	3.	6.	3.	6.	3.	6.					
2	2	2,3	2,2 +0,1	—	3,7	3,4 +0,3	—	5	4,5 +0,5	—	5,6	5,2 +0,4	—	7,8	6,5

४	९		१०		११				
	५.	६.	७. ८.	९.	१०.	११. १२.			
		५.	६.	७.	८.	९.	१०.	११.	१२.
12	10.5 (0.8)	13 (0.5)	7 (0.5)	-1.5	-	१२० ६ ३५. -(0.3)	१३ १ (0.5)	१२ १ (0.8)	२० ५ १ -1 -15 ३५. -(0.3)

၁၃၆

2%

	1	2	განსტ.	3	განსტ.	4	განსტ.	5	განსტ.	6	განსტ.		
კ	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.		
1	1	2.5	2.5	--	4.5	3.5+1.0	--	5	4 +1	6.2	4.2+2 --	9	6 +3 --

డ.	9		గానిస్తువ్వాగ్గెలా				10		గానిస్తువ్వాగ్గెలా			
	శ.	ఏ.	శ.	ఏ.	శ.	ఏ.	శ.	ఏ.	శ.	ఏ.	శ.	ఏ.
13,5	8,7	$\frac{10}{(1,5)}$	9 (1,0)	4,8	-	$\frac{1}{(0,5)}$	-	16,5	14 (1,8)	$\frac{12}{(1,0)}$	+2,5	$\frac{-2}{(0,8)}$

135 № 2

განსტ.	7	გ. ა. ნ. ს ხ ვ ი ვ ა ბ ა	8	გ. ა. ნ. ს ხ ვ ი ვ ა ბ ა	9	გ. ა. ნ. ს ხ ვ ი ვ ა ბ ა	10	გ. ა. ნ. ს ხ ვ ი ვ ა ბ ა												
კ.	რ.	კ.	რ.	კ.	რ.	კ.	რ.	კ.	რ.											
1,3	-	9,5	7,8	2(0,5)	2(0,3)	+1,7	-	+0,2	-	10	9	10	(0,5)	(0,5)	+1	(0,5)	(0,5)	5	+5	-

11				განსხვავდება				12				განსხვავდება			
გ.	რ.	გ. ღ.	გ. ღ.	გ.	რ.	გ. ღ.	გ. ღ.	გ.	რ.	გ. ღ.	გ. ღ.	გ.	რ.	გ. ღ.	გ. ღ.
		გ.	რ.			გ.	რ.			გ.	რ.			გ.	რ.
14	13,5	30 1 (1,0)	12 (1,2)	+0,5	-	ორივე	—	17,6	16	46 1 0,2	15 1 1,5	+1,6	-	ოროვე ნივე +(0,5)	-

B 5 No 3

7			ກະທົບສັງລວມດູ				8			ກະທົບສັງລວມດູ			
ດຸ.	ໜ.	ດ. ຕ.	ດຸ.	ໜ.	ດ. ຕ.	ດຸ.	ໜ.	ດ. ຕ.	ດຸ.	ໜ.	ດ. ຕ.	ດຸ.	ດ.
		ດ.		ດ.	ດ.	ດຸ.		ດ.	ດຸ.		ດ.	ດ.	ດ.
11	6,5	4 (0,2)	3 (0,1)	1 +1,5	-	ຮາຍຕູກ, +1 ນາງ, +0,1	-	12	7 (0,7)	9 (0,4)	6 +5	-	ຮັງຕູກ, +3 ນາງ, +(0,3)

11		განსხვევება				12		განსხვევება			
ქ.	რ.	გ. ტ.	გ.	გ. ტ.	გ.	გ. ტ.	გ.	გ. ტ.	გ.	გ. ტ.	გ.
		ქ.	რ.	ქ.	რ.	ქ.	რ.	ქ.	რ.	ქ.	რ.
17,0	15	29 1 (1,7)	16 1 (1,7)	+2	-	19,5 +13 -0,2	16 1 (1,9)	36 17 +3,5 (2)	-	19 19 (0,1)	-

୬୩୮୩  
3%

Digitized by srujanika@gmail.com

ଓ ৬ ৮ ৩  
৪<sup>০</sup>/০

డ	1	2	గాచిల్డ.	3	గాచిల్డ.	4	గాచిల్డ.	5	గాచిల్డ.	6	గాచిల్డ.
	అ.	జ.	అ.	క.	అ.	జ.	అ.	జ.	అ.	జ.	అ.
-	0,5	0,5	2	2	-	-	2,5	3	-0,5	-	4

卷之三

४	९				१०				११			
	३. ट.		४. ट.		३. ट.		४. ट.		३. ट.		४. ट.	
	मा.	रु.	मा.	रु.	मा.	रु.	मा.	रु.	मा.	रु.	मा.	रु.
—	6.5	8	11 (0.6)	6 (0.6)	-1.5	—	+5	—	9 (0.7)	10 (0.7)	15 i (0.7)	10 — (0.7)

რენტგენის სხივების ე. შ. გამალიშვიანებელ თვისტების შესახვა

135 No 4

3 5 No 5

7		განსხვავება				8		განსხვავება			
რი.	გ. ტ.	გ. ტ.	რი.	გ. ტ.	რი.	გ. ტ.	რი.	გ. ტ.	რი.	გ. ტ.	რი.
		კ.	რ.	კ.	რ.	კ.	რ.	კ.	რ.	კ.	რ.
6,7	5 (0,4)	—	-1,7	—	—	5,5	6,8 (0,5)	8 0,5	6 0,5	-1,3	—
		როგორ,	+5	ნივ.	+1(0,4)					რიცდვ.	+2

11		განსხვავება				12		განსხვავება			
რი.	გ. უ.	გ.	რი.	გ. უ.		გ.	რი.	გ. უ.		გ.	რი.
				გ.	რი.			გ.	რი.		
10,5	2,3 1 (1,5)	22 (1,2)	-0,5	-	+1 $\log_{10}$ +2 $\log_{10}$	-	13	12,5 (1,6)	1 (1,2)	26 +0,5 +2 $\log_{10}$	24 - (1,4)

ტ ა ბ უ  
50%

ტ	ტ	ტ	განსხ.	ტ	განსხ.	ტ	განსხ.	ტ	განსხ.	ტ	განსხ.								
ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ								
2	2	3,5	4	-0,5	-	5,6	5	+0,6	-	6	6	-	-	9	8+1	-	12	10+2	-

ტ	ტ	განსხვავება	ტ	ტ	განსხვავება													
ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ													
13,5	13	+5 (0,3)	4 (0,3)	+0,5 -(+0,2)	-	+11 +10,5	-	16,5 (1,0)	16	30 1 0,5	27 +0,5 -(+0,5)	-	+3 +3 -3	-				

ტ ა ბ უ  
10%

ტ	ტ	ტ	განსხ.	ტ	ტ	განსხ.	ტ	ტ	განსხ.	ტ	განსხ.								
ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ								
2	2	2	2,5	-0,5	-	6	5,5	+0,5	-	7	6+1	-	7,5	7,0	+0,5	-	11	9+2	-

ტ	ტ	განსხვავება	ტ	ტ	განსხვავება													
ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ													
14	10	17 (0,5)	13 (0,4)	+4 -(+0,1)	-	+4 +3 -3	-	16	11 (0,6)	20 (0,5)	14 +1 -(+0,1)	+1	+6 +6 -6	-				

## ლ ა № 6

7		განსხვავება				8		განსხვავება										
ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ							
12,5	12	(0,2)	2	-	+0,5	-	+2 +3 -3	-	12,5	12,2	(0,3) (0,2)	2	2	-	სიგ. (+0,1)	-		

11		განსხვავება				12		განსხვავება									
ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ						
17,0	16	42 (1,2)	28 (0,6)	+1	-	+14 +14 -1	-	17,5	16,5 (1,5)	49 (1,0)	33 +1	+1	-	+16 +16 -3	-		

## ლ ა № 7

7		განსხვავება				8		განსხვავება									
ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ						
12	9	3 (0,2)	4 (0,1)	+3	-	+1 -1	-	13,5	9,5 (0,3)	10 1 0,3	8 1 +1	+1	-	+2 +2 -1	-		

11		განსხვავება				12		განსხვავება									
ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ						
17,8	12	23 (1,2)	21 (0,8)	+6,8	-	+1 -1	-	20,5	12,5 (2,0)	29 1 (1,2)	24 1 +8	+8	-	+5 +5 -3	-		



## መ ቃን የ የ የ

1. H. Jven. Neuere Untersuchungen über die Wirkung der Röntgenstrahlen auf Pflanzen Strahlenthherapie Bd. XIX Heft 3 1925.
2. Martoni. Die Abhängigkeit der Stärke der biologischen Wirkung von der Intensität der Röntgenstrahlen u. s. v. strahleutherapie Bd. XVIII Heft. 2.
3. Ychwarz czeppa und schindler, Zum Problem ber wachstums fordernden Reizwirkung ber Röntgenstrahlen. Fortschr. aut d. g. d. Röntg. 1922 29.
4. Alois Czepa Der Einfluss der Röntgenbestrahlung auf den keimungsprozess ber Pilanzensamen. Fortschr. a. d. gel. d. Röntgenstr. 1924. p. 65.
5. Pordees., Zur biologischen Wirkungsmechanismus ber Röntgenstrahlen Strahlentherapie 1925 Bd. XIX. H. 2 p. 307.
6. Pordes, Lst. zur Erklärung Der Röntgenwirkung die Annahme von Funktions—und Wachstumsreiz notwendig? Strahlentherapie Bd. XV Heti 5. 1923. p. 640.
7. Geller. Über die wirkung Schwacher Eierstocksbestrahlung auf grund tierexperimenteller Untersuchungen stahleutherapie 1925 Bd. XIX H. p. 1 22.
8. Altmann, Roehl und Gleichgewicht. Über den entwicklungsbesehleunigenden und entwicklungsemmenden Eihfuss der Röntgenstrahlen Fortschr. a. d. deb. d. Röntgenstr. 1923.
9. Geller, Die Wirkung der Röntgenstrahlen auf jugendliche organismen Ke woch. 1924. № 14.
10. Hastings, Beckton and wedd, Arch. Middlesex Hosp. Canc. Rep. 1912
11. Halberstädtter und Simons. Zum problem der Reizwirkung der Röntgenstrahlen Fortschr. auf d. geb. d. Röntgenstr. 1921, 28.
12. Hoffmann., Über Erregang unb Lähmungstilrischpr Zellen durch Röntgensstrahlen. Strahlentherapie 1923, 14.
13. Holzknecht, giebt es eine Reizwirkung der Röntgenstrahlen M. m. w. 1923. № 24..
14. Jüngleing, Untersuchungen Zur chirurgischen Röntgentietentherapie Strahleutherapie 1920, 10.
15. Lazarus-Barlow, Die Wirkungen radioaktiver Substanzen und deren Strahlen auf normales und pathologisches Gewebe. Strahlentherapie 1923 Bd. 3.
16. Martius, Die Reizkörpertherapie in der gynäkologie monatschrift. f. Geb. und Gyn. 1923.
17. Schmidt, Experimintelle Untersuchungen Über die wirkung kleiner. und drasserer Röntgenstrahlenmengen auf Junge Zellen. B. kl. W. 1910, № 21.
18. Sierp. und Roblers, Über die wirkung der Röntgenstrahlen auf das Wachstum der Pflanzen Strahlentherapie 1923, 14.
19. Steinach und Holzknecht Erhöhte wirkungin der inneren Skcretion bei Hyperetrohie der Gubetätsdrüsen Arch. t. rntwicklungsmechan 42.
20. Wetterer, Beitrag Zur Kenntnis der biologischen Wirkung der Röntgenstrahlen auf das Wachstum der Pfeanzen D. m. W 1912 № 7.

პროც. ა. გაფავარიანი.

ფაფულტეტის ქირურგიულ კლინიკის გამგე.

## შიდა ნაწლავის დავალების საკითხის შესახებ.

უკანასკნელი 25—30 წლის განმავლობაში საკითხი ჭიაყელა ნაწლავის დაავადების შესახებ მსოფლიო მკურნალობაში განუწყვეტლივ ირჩევა და დღემდე კიდევ ბევრ გამოურკვეველს წარმოადგენს, საკითხი ჭიაყელა ნაწლავის დაავადების და კურნების შესახებ მოსაზღვრო ქირურგიის ერთ-ერთი საყურადღებო თვით.

სამკურნალო მწერლობაში თითქმის ყოველ დღე ამა თუ იმ სნეულების შესახებ ახალი საკითხი იძალება, მაგრამ ბევრი მათგანი წარმოიშვება თუ არა, უკვე კურდება ან რამდენიმე ხნის მწვავე მსჯელობის შემდეგ აღელვება საკითხის ირგვლივ ცტრება, ის ქრონიკულ მდგრაბარებაში გადადის და ლაბორატორიის და კლინიკის სიჩუმეში მუშავდება.

რაც შეეხება ჭიაყელა ნაწლავის დაავადების საკითხს, თითქოს ამ ორგანოს ანატომო-ფიზიოლოგიური უმნიშვნელობის მიუხედავად, ალბად ჯერჯერობით გამოურკვევლობის გამო, ის მაინც დიდი დაკვირვების და ნაირნაირი მსჯელობის და ბასის ობიექტია ეთოლოგიის და სიმპტომატოლოგიის მხრივ:

თუ არამდენად ეს სნეულება დამოუკიდებელია ან დაკავშირებულია სხვა სნეულებასთან და მასი მხოლოდ ერთ-ერთი გამოსახვაა, ზაბლონური უნდა იყოს მისი თერაპია და რამდენად მიზანშეწონილია აპენდეკტომია Iarga manu—ყველა ეს წარმოადგენს დებულებას, რომლის შესახებ ჯერჯერობით ერთსულოვანი შეთანხმება მიხწეული არ არის.

სწორედ ამ მოსაზრებით საკუთარი მასალის დამოუკიდებელი განხილვა და ამ მასალის მიხედვით საკუთარი აზრის გამოთქმა, იმისდა მიუხედავად, იქნება ის მხოლოდ უკვე თქმულის განმეორება ან, მით უფრო, რაიმე საბასო საკითხის დადასტურება, ზედმეტი არ უნდა იყოს ჩვენი აზრით.

ქრონიკული აპენდიციტის გამოცნობა ხშირად დიდ სიძნელეს წარმოადგენს. დაავადებული ჭიაყელა ნაწლავის ხელით გასინჯვა და აღმოჩენა მუცულის ლრუს პალპაციაში დიდ დახელოვნებას და გამოცდილებას მოითხოვს და ამისდა მიუხედავათ ხშირად მაინც შედეგს ვერ იძლევა. ჩვენს კლინიკაში არა ერთხელ აღნიშნულა, როდესაც მიუხედავათ პალპაციის უარყოფითი დასკვნისა, ოპერაციის დროს დაავადებული და გადაგვარებული ჭიაყელა ნაწლავი ამოკვეთილი იყო.



ჭიაყელა ნაწლავი ხელს თუ არა ხვდება, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ის სალია. შესაძლებელია ბუნებრივ კუნთთა ტონუსი ძლიერი იყოს, შესაძლებელია დანარჩენ ქსოვილთა სიმკერივე, შეიძლება კანქვეშა ცხიმი მეტად განვითარებული იყოს ან თვით ჭიაყელა ნაწლავი ძალიან პატარა იყოს; ხშირად ჭიაყელა ნაწლავს არაჩვეულებრივი მდებარეობა აქვს. რა ლაპარაკი უნდა, ყველა ამ შემთხვევაში ჭიაყელა ნაწლავი ვერ გაისინჯება. ხშირად ცვლილება ჭიაყელა ნაწლავის მხოლოდ შიგნი შრეთი განისაზღვრება და მაშინაც გინდ მჭლე და მოშობილი საფარი იყოს, ჭიაყელა ნაწლავის დაავადებას ხშირად ხელით ვერ აღმოვჩენთ. როდესაც ყოფილი პერიტიფლიტის ნაშთი არ იმჩნევა, ჭიაყელა ნაწლავის კედელი საგრძნობლად გასქელებული არ არის, მისი hydroxeps-i, ან emper yema არ არსებობს, ქრონიკული აპენდიციტის დასმა მხოლოდ პალკაციის საშვალებით შეუძლებელია, მით უფრო თუ მტკივნეულობაც სუსტად გამოსახულია. ამ შემთხვევაში მუტრნალი აპენდიციტს მხოლოდ გრძნობს, მაგრამ საუბედუროთ დიდათ გამოცდილ კლინიკისტის გრძნობაც გამოცნობის ობიექტურ გზა-წესად ვერ ჩაითვლება.

არ არის ავრეთვე სავსებით საიმედო ის მტკივნანობითი წერტილთა მთელი რიგიც, რომელსაც სხვადასხვა კლინიკისტი აღნიშნავს. მხოლოდ დაავადებულ ჭიაყელა ნაწლავისათვის ამაში პათოგნომიური არასუერი არის; არა ერთხელ ბევრი მათგანი შეგვიმჩნევია, როდესაც ჭიაყელა ნაწლავი სალი იყო და არ აღმოვგიჩენია მაშინ, როდესაც ჭიაყელა ნაწლავი დანამდვილებით დასწეულებული იყო. ამ წერტილთა შორის ყველაზედ ხშირია M. Burney'ის და Lanz-ის წერტილი. უფრო საიმედოა Lanz'ის წერტილი. რაც შეეხება M. Burney'ის წერტილს ის ასე საიმედო არ არის, რადგანაც ხშირად აქ მტკივნეულობა შეიძლება თვით ბრმა ნაწლავით გამოწვეული იყოს.

უფრო საიმედოა ტკივილის ირადიაცია. მტკივნეულობა თვით ბრმა ნაწლავით გამოწვეული ირადიაციას ჩვეულებრივ არ იძლევა; ჭიაყელა ნაწლავზედ დამოკიდებული მტკივნეულობა უმეტეს შემთხვევაში გულის კოეზისაკენ, ჭიპისაკენ და ხანდისხან მარცხენა თეძოსაკენ ირადიაციას იძლევა; ეს ადვილი გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ ჭიაყელა ნაწლავის ჯორჯალს, რომელიც თითქმის ყოველთვის კარგათ გამოსახულია. სწორედ ამ ჯორჯალის მექანიური ან ანთებითი გაღიზიანება ტკივილის ირადიაციას უნდა იწვევდეს.

ქრონიკული აპენდიციტის ერთად ერთი თითქმის მუდმივი და საიმედო ნიშანია მტკივნეულობა პალპაციის დროს. საზოგადოთ ნაირნაირი პირს, ნაირნაირ პირობაში ნაირნაირი ინტენსივობის მტკივნეულობა ემჩნევა.

ყურადღელებია ის არა სასიამონო გრძნობა, რომელსაც დაავადებული ადამიანი განიცდის ილეოცეკალურ მიდამოში: სიმძიმე, ყუვილი; ხანდისხან ადამიანი გრძნობს თითქოს ილეოცეკალურ მიდამოში რაღაცა გაბერილი ან დაჭიმულია; თვითონებლივ ტკივილი ხან მუდმივია ხან პერიოდული ხასიათისაა; ტკივილს ხანდისხან გაჭინთვა და მოძრაობა იწევს.

რაც შეეხება ქრონიკული აპენდიციტის სიმტკომკომპლექსის დანარჩენი ნიშნებს იგინი ზოგადი ხასიათისაა და მხოლოდ ჭიაყელა ნაწლავის დაავადებისათვის სპეციფიურ არასფერს წარმოადგენენ.



ყაბზობა აპენდიციტის დროს ხშირი მოვლენაა; ხშირად ის იმდენად მტკიცეა, რომ კურნებასაც არ უთმობს. მეტეორიზმი ხშირია. არც ისე იშვიათია ჭიალისებრი ტკივილი, რომელსაც ლორწოს გამოყოფა მოყვება. კარგი მადის მიუხედავად აღამიანი საჭმელით მაღლე ქმაყოფილდება და გულის კოვზის მიღამოს გარდა სიმძიმეს ილეოცეკალურ მიღამოშიც განიცდის.

არც ისე ბევრია ამ ნიშნებში, რომელიც აპენდიცისათვის გარკვეულ ობიექტიურ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს; მაშასადამე დიაგნოზი უმთავრესად ანამნესტიურ ცნობათა შეფასებისაგან უნდა გამომდინარეობდეს და პალპაცია აპენდიციტს მხოლოდ ადასტურებს და კი ვერ უარყოფს.

აპენდიციტი ინფექციური სნეულებაა, მას მცირე სხეულთა მთელი რიგი იწვევს; მათ შორის უფრო ხშირათ და ჩვეულებრივ bacterium coli commune და სტაფილოკოკი. ყველა ხსენებული მცირე სხეული ნორმალურ პირობაში კოლინ-ჯში და ჭიაყელა ნაწლავში სიმბიოტიურ მდგომარეობაში იმყოფება და აღამიანს არ ვცნებს. საჭიროა რაღაცა განსაკუთრებული მიზეზი, არაჩვეულებრივი პირობა და გავლენა, რომელიც მცირე სხეულის მოქმედებას ხელს შეუწყობს, მას პათოგენურად გახდის და ვირულენტობას გამოაჩენინებს. როგორც ყოველი სნეულების დროს, აპენდიციტის დროსაც უშუალო მიზეზების გარდა, საჭიროა პირობები; რომელნიც სნეულების განვითარებას ხელს უწყობენ.

Mikulicz-ი დიდ მნიშვნელობას ჭიაყელა ნაწლავის სანათურში წნევის მომატებას აწერს. წნევის მომატების გავლენით კანიდან და მით უფრო ლორწოიან გარსიდან ბაკტერიის შესრუტვა ძლიერდება. Mikulicz-ის აზრით ამგვარი წნევის მომატებისათვის საქართვისია Gerlach-ის საცობის ლორწოიან გარსის შესიებაც. Talamoni-ის აზრით ჭიაყელა ნაწლავის სანათურში წნევის მომატება-ზედ უმთავრესი და უხშირესი მნიშვნელობა სკორესებრი ქვას აქვს. Talamoni-ის აზრით სკორესებრი ქვა არის სწორედ ის საცობი, რომელიც ჭიაყელა ნაწლავს „up vase clos“ ხილის; სანათურში, რომელიც ამგვარად დაცობილია, გამონაყოფი გროვდება; ამ გამონაყოფზედ ინფექცია იკვებება, მრავლდება და ვირულენტურად იქცევა. სხვათაშორის Talamoni-ი იმასაც აღნიშნავს, რომ სკორესებრ ქვას შეუძლია დაზიანოს ჭიაყელა ნაწლავის კედელი და ამ გარემოებამაც ინფექციას ხელი შეუწყოს, მაგრამ ამ მომენტს Talamoni-ი თითქოს მეორე ხარისხოვანად სთვლის.

Talamoni-ის მიერ ამგვარად გამოთქმულ აზრს და დებულებას ჩვენი მასალის მიხედვით ვერ გავიჩიარებთ მთლიანად. ვერ ვეთანხმებით Sonnenburg-საც, რომელიც სკორესებრი ქვას ეთიოლოგიურ მხრივ არავითარ მნიშვნელობას ჰყუთნის, პირიქით, მას აპენდიციტის შედეგად სთვლის.

დავადებულ ჭიაყელა ნაწლავის სანათურში ნაირნაირ დონეზედ და ხშირად თვით ფსკერთან სკორესებრი ქვა 18%-შია ჩვენს მიერ შემჩნეული 82%-ში ქვა არ ყოფილა. გარდა ერთი შემთხვევისა ქვა არასოდეს სანათურში მჭიდროთ გაჭედილი არ იყო და არც გამონაყოფის გროვა მის ქვემო ემჩნეოდა.

ქვა სანათურში შედარებით თავისუფლად მოთავსებული იყო და მხოლოდ სანათურის კედლის ნაწილს აჭერდა.



18% ში ქვის აღმოჩენა შემთხვევითი მოვლენად ვერ ჩაითვლება. ჩეეულებრივ ქვის მდებარეობის ადგილი ჩაზექილი, პიპერემიული, ზერელეთ ან ლრმათ დაწყლულებული იყო; მაშასადამე, სისხლის მიმოქცევის მოშლის ან პირდაპირი ტრაგმის გამო კედლის ადგილობრივი დაზიანება არსებობდა. სწორედ ეს ქვით 23 გამოწვეულა ტრავმა, ჩვენი აზრით, ინფექციას და მის მომყოლ ანთებას ხელს უწყობდეს.

15%-ში ჭიაყელა ნაწლავში ჭია შემჩნეული. უმეტეს შემთხვევაში oxyuris vermicularis იყო; ის, თითქოს ეკალი თავისი ბოლოთი ლორწოიან გარსში ჩასობილი იყო ან ნახევრამდე მასში ჩაულული იყო. ვერც ამ გარემოებას შემთხვევითი მოვლენათ ჩავთვლით როგორც ჩვენი მასალა ადასტურებს და როგორც ამოწმებს გოვორები: აპენდიციტის ღროს helmenthiasis ხშირად, შემჩნეულია. თითქმის 28%, ჭია ნახა ჭიაყელა ნაწლავში.

Aschoff-ი აღნიშნავს, რომ ჭიაყელა ნაწლავში მომხდარი ჭია იწვევს აპენდიციტის ნიშნებს—appendicopathia oxyuris; გოვორების მოწმობით მიხელესინ-ის მიერ აწერილია შემთხვევა გოვორების როდესაც ჭიას კვერცხის მიერ მიყენებულ გალიზიანებით საზარდულ-ბარძაყის ნაოჭუში ექზემატოზური პარტახტი გამოწვეული იყო. გოვორების უთითებს აგრეთვე პატარა ქალთა Vulvo-vaginitis-ის, რომელსაც ჭია იწვევს. აქაც თუ პირველი მიზეზი ჭიაა, ის შემდეგში ინფექციის შთანერგვას ხელს უწყობს, ამბობს გოვორები და აღნიშნავს, რომ ჭიის მოშორება შედარებით ადგილია, მაგრამ ძნელია ამ ნიადაგზედ მეორად ინფექციის განკურნება. ჭიას კედლის დაზიანება შეუძლია, ამას ჩვენ ვერ უარვყოთ, ამას ადასტურებს ის მრავალობითი წერტილისებრი. სისხლჩაქვეა ლორწოიან გარსში, რომელიც ამ შემთხვევაში შემჩნეული იყო; მაშასადამე აქაც ტრავმა ყოფილა და თუ ტრამვა არის, არის ნიადაგიც ანთების განვითარებისათვის. რა ლაპარაკი უწყდა, როდესაც მხოლოდ ერთი ან ორი ჭია სანათურში მომხდარი შეიძლება ამას არავითარი გართულება მოყვეს, მაგრამ როდესაც ჭია მრავლად არის მოთავსებული და ყოველ მათგანს ტრამვა მოაქს, ეს უკვე მნიშვნელოვანი და საგრძნობელია.

1%-ში გარე სხეულია შემჩნეული: ჯაგარი, ემალის-ნამტვრევი, ხორბალი, ყურძნის კურქა. ჯაგარი და ემალი ჩასობილი იყო ლორწოიან გარსში და მის ირგვლივ რეაქტიული მოვლენანი ემჩნეოდა. აქაც ტრავმას ადგილი ქონია.

მაშასადამე ყველა სამ შემთხვევებში ჭიაყელა ნაწლავის ლორწოიანი გარსის მთლიანობის და შლას ადგილი ქონდა ანდა სისხლის მიმოქცევის დარღვევას. სწორედ ამ შემთხვევებში განსაკუთრებით იმჩნეოდა ტკივილი ჭვალი-სებრი ხასიათისა, რაც პერიოდულად თავს იჩენდა; იერიშის შემდეგ დროებით, ყრუ და ჩლუნგი ტკივილი რჩებოდა, რომელიც თანდათანობით ცხრებოდა. ვფიქრობთ, ჭვალისებრი ტკივილი ჭიაყელა ნაწლავის პერისტალტიური მორბობით გამოწვეული უნდა ყოფილიყო; ნაწლავი ცდილობს როგორმე თვის სანათური-დან გამოაგდოს მასში მომხდარი სხეული; და ლორწოიანი გარსი ხასუნის და კომპრესიის გამო ტრავმას განიცდის.

ამგვარ შემთხვევაში, როდესაც ჭიაყელა ნაწლავის სანათურში რამე სხეული იყო, აპენდეკტომიას თითქმის ყოველთვის სასურველი შეღევი მოყვებოდა,

ადამიანი სავსებით იკურნებოდა და სნეულების ყველა ნიშნები ისპობოდა. ყურადსალებია, რომ სწორედ ამ გვარ შემთხვევაში წარსულში ერთი ან ორი მკაცრი, მწვავე იერიში აღენიშნება, რომელსაც ტიპიური პერიტიფლიტური ინჭილტრაციაც მოყვება. სნეულების ქრონიკულ მსვლელობაში გარდა ტკივილისა და დგილობრივი ცვლილებისა სხვა ნიშნები სუსტად გამოსახულია. ჩივილის ლეიტმოტივი მხოლოდ ტკივილია. ყაბზობა შეიძლება არც იყოს.

როგორც ზემოთ მოხსენებული იყო, 34%-ში აპენდიციტის დროს სანათურში სკორე, ჭია ან გარე სხეულია შემჩნეული. ყველაზედ ხშირად სკორესებრი ქვას ვნახულობდით. დანარჩენ 66%-ში ჭიაყელა ნაწლავის სანათურში არავითარი უცხო სხეული არ აღმოგვიჩენია მიუხედავათ იმისა, რომ ჭიაყელა ნაწლავი ნაირნაირ ცვლილებას განიცდიდა. — სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, უფრო მისაღებია Dieulafoy'ს შეხედულობა: ის აღნიშნავს les appendicites avec calculs et les appendicites sans calculs. მაგრამ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ჭიაყელა ნაწლავში ქვა არ არის, Dieulafoy, როგორც Talamon'ი მაინც ანთებას საფუძლად წნევის მომატებას უდებს, რასაც ლორწოს შესიება და სანათურის შევიწროვება ხელს უშე�ობს. რომ აპენდიციტი sans calculs შესაძლებელია, ამას ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით, მაგრამ რომ ყოველ შემთხვევაში, თთქოს წნევის მომატებაა ანთებითი პროცესის მიზეზი, ამას ვერ გავიზიარებთ. ბოლო და ბოლოს Talamon'ი და Dieulafoy' ერთი აზრისა არიან. იგინი ფიქრობენ: აპენდიციტის გამოსაწვევად საჭიროა ჭიაყელა ნაწლავის წნევის. წნევა მატულობს მიტომ, რომ გამონაყოფი გროვდება და მატულობს, გამონაყოფი გროვდება: რადგან სანათური იხურება, სანათური კი იხურება იმიტომ რომ ლორწოიანი გარსი შესიებულია ან ჭიაყელა ნაწლავში ფიბროზული ბოჩკოები ვითარდება, რაც სანათურს შემუშნის, მაგრამ... ლორწოიან გარსის შესიება, გამონაყოფის ჰიპერპროდუქცია, ფიბროზული პროცესი—ეს ყველა ხომ თვით ანთებითა პროცესის გამოსახვაა; მაშასადამე ამა თუ იმ სახის აპენდიციტი უკვე არსებობს და თუ ეს ასეა ყველა ამ მოვლენას და მათ შორის წნევის მომატებასაც ხელშემწყო პირობად ვერ ჩაეთვლით, პირიქით ეს თვით ანთებაა ან ანთების შედეგი უნდა იყოს. ხელშემწყო და გამომწვევი მიზეზი სხვა რაღაცა უნდა იყოს. საკითხი იბადება თუ რამ ამ შემთხვევაში აპენდიციტი რომ გამოიწვია, როდესაც არც სკორესებრი ქვა, არც ჭია და არც სხვა რაიმე გარესხეული მის სანათურში არ იმყოფება.

იმისდა მიუხედავად, რომ ქრონიკული აპენდიციტი გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე მწვავე, ყურადსალებია ის გარემოებაც რომ მწერლობაში ვერსად ვხვდებით ქრონიკულ აპენდიციტის სიმპტომატოლოგიის და კლინიკური სურათის დამაკმაყოფილებელ აწერას. ყოველთვის შთაბეჭდილება რჩება თითქოს ყველაფერი ნათქვამი არ არის: თქვენ სნეულების თავისებურების აწერას ვერ პოულობთ.

საკუთარი მასალაზედ დაკვირვებამ და შესწავლამ თითქოს ეს გაუგებრობა გამოვგირკვია. ქრონიკულ-აპენდიციტის ვერც ერთ შემთხვევაში გარკვეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კლინიკური სურათი ჩვენ ვერ შევამჩნიეთ.

ჩვეულებრივ ადამიანი ილეოცეკალურ მიღამოში ტკივილს უჩივის; ეს ტკივილი ხან მთელ მიღამოშია გაფრცელებული, ხან M. Burney'ის წერტილშია

მოგროვილი. ამ შემთხვევაში ტკივილი ხშირად ირაღიაციას არ იძლევა; ტკივილი ტეხნიკი-მიუწვებული და უფრო მუდმივი ხასიათისაა და მძლავრი არ არის. კამის შემდეგ ადამიანი ილეოცეკალურ მიდამოში გავსებას და სიმძიმეს გრძნობს. ყაბზობაც სწორედ ამ გვარ შემთხვევაშია ჩვეულებრივი; ის ხშირად ძალიან მტკიცე ხასიათისაა, ყაბზობას ბერვა მოყვაბა, განსაკუთრებით ბრმა და გარდი გარდმო ნაწლავის მიდამოში. მტკიცე ყაბზობას დროგამოშვებით, მოულოდნელად, ჩვეულებრივი კვების დაურღვევლად ერთეული უხვი სიფალარათე მოყვება, რის შემდეგ ხელახლავ ყაბზობა გრძელდება. არა ერთხელ განავილს ლორწო ან ლორწოვანი აპკი გამოყოლია.—თუ აპენდიქსი ამ გვარ შემთხვევაში ხელს ამ ხვდება, აპენდიციალისათვის დამახასიათებელი არასური რჩება, არსებობს მხოლოდ ნამდვილი ქრონიკული კოლიტის სურათი. მიუხედავად ამისა, აპენდიციონის დროს ვნახულობდით დაავადებულ ჭიაყელა ნაწლავს, რომელიც ხშირად შიგნი შეეგბში დიდ ანატომიურ ცვლილებას განიცდიდა.

მიუხედავათ დაავადებულ ჭიაყელა ნაწლავის ამოცლისა, სნეულების სიმპტომოკომპლექსი თითქმის მთლიანად ჩეხბოდა; ყაბზობა ისევ ის იყო ან კოდევაც ძლიერდებოდა ან და თუ ოპერაციის შემდეგ პირველ ხანაში ცხრებოდა შემდეგ ხელახლავ ვისარდებოდა. ხანდისხან მიუხედავათ გაურთულებელ შეხორცებისა ილეოცეკალურ მიდამოში ტკივილიც მატულობდა. ამ გვარი ავადმყოფნი ხშირად ოპერაციის შემდეგ პირველ დროს ძალიან წუხდებიან მეტეორიზმისაგან.

ავადმყოფთა დაკითხვიდან ირკვევოდა, რომ იგინი უკვე დიდი ხანია ყაბზობას და სხვა ნიშნებს განიცდიან და ტკივილი, რომელსაც ჩვენ ჭიაყელა ნაწლავს ვაკუუმინიდით მხოლოდ დავიანებით უკანასკნელ ხანაში ამჩნევნ. თუ ამ გვარ შემთხვევაში helmenthiasis იმჩნეოდა, ხანდისხან საქმარისი იყო სათანადო კურნების გატარება, რომ ე. წ. აპენდიციოტი განკურნულიყო.

ერთ შემთხვევაში, სადაც ავადმყოფი მძიმე კოლიტის ნიშნებს იძლეოდა და განავალში ჭია ქონდა ჩვენ იძულებული ვიყავით აპენდეკტომია გაგვეკეთა, რაღაც ავადმყოფი ილეოცეკალურ მიდამოში მძლავრი იერი-შისებრი ტკივილი დაწყო. მთელი ჭიაყელა ნაწლავი ტენიათი გამოვსებული აღმოჩნდა. ჭიაყელა ნაწლავის კედელი შესიებული და ლორწოიანი გარსი გალიზიანეული და თუ არ ვცდები დაწყლულებულიც იყო. მიუხედავათ თითქმის მიზანშეწონილ ოპერაციის გაკეთებისა მთელი სიმპტომოკომპლექსი დარჩა და იძულებული ვართ helmenthiasis'ს ვებრძოლოთ.

ძალა უნდა საკითხი იბადება, ნუ თუ ყოველი აპენდიციოტი, განსაკუთრებით ბაშინ, როდესაც წარსულში მწვავე შეტევას დაგილი არ ქონია, თვითნებლიერ, დამოუკიდებელ სნეულებად უნდა ჩაითვალოს და მთელი სიმპტომოკომპლექსი მასზედ დამყარებულად უნდა ითვლებოდეს ან და უნდა ესცნოთ შემთხვევები, როდესაც აპენდიციოტი colitis ან helmenthiasis სიმპტომოკომპლექსის ერთ ერთ ნიშანს წარმოადგენს და ძირითადი სნეულება კი helmenthiasis'ი ან კოლიტია. ზემოდ მოყვანილი მაგალითი და მთელი რიგი ამ გვარივე შემთხვევებისა გვაოწმუნებს ჩვენ რომ ხშირად აპენდიციოტის გამომწვევი მიზეზია ჭია, უფრო სწორეთ რომ ვსოდეთ helmenthiasis'ი) რომელიც კოლინჯიდან შეიკ-

რება ხოლმე ჭიაყელა ნაწლავში და მისი ლორწოიანი გარსის დაზიანების გამო მის ანთებას იწვევს.

ჩვენ, როგორც ეხლა ოღნიშნეთ ვფიქრობთ აგრეთვე, რომ ხშირად აპენ-დიციტი კოლიტის შედეგს, გართულებას და გაგრძელებას წარმოადგენს.

ბოლო და ბოლოს ჭიაყელა ნაწლავი კოლინჯის განუწყვეტლივი ანატო-მიური გაგრძელება; Herlach'ის საკობი არც ისე საიმედო ყოფილა, რომ მას შე-ეძლოს ჭიაყელა ნაწლავის დაცვა; მაშასადამე ანთებითი პროცესს კოლინჯიდან და ბრმა ნაწლავიდან ჭიაყელა ნაწლავშედ შეუძლია გადავიდეს.

Sonnenburg-ის მოწმობით Finkelstein-ი ტიფის, ხოლერის და დიზენტერიის დროს ჭიაყელა ნაწლავის პროცესში მონაწილეობას ადასტურებს. რაზედ არ შეუძლია სხვა ხასიათის ანთებასაც კოლინჯიდან ჭიაყელა ნაწლავშედ გადასხვლა. ადვილად შესაძლებელია, ჩვენში, სადაც ამების მიერ გამოწვეული colitis-ი ფრიად გახშირებულია ეს უკანასკნელიც აპენდიციტის მიზეზად ჩაითვალოს. შემდეგში კოლიტი შეიძლება კიდევაც განიკურნოს, მაგრამ ჭიაყელა ნაწლავის ანატომიური თავისებურების გამო პროცესი აქ ისე ადვილად ვერ იქურნება და კიდევაც როტულდება. გარდა ამისა, რომ ანთებითი პროცესი კოლინჯიდან ჭიაყელა ნაწ-ლავშედ უშუალოდ გადადის, შესაძლებელია; Rostovtsev-ის სიტყვით, ბრმა ნაწ-ლავის ანთების ნიადგზედ შესივბულმა ლორწოიანმა გარსმა ჭიაყელა ნაწლავის სანათური შეავიწროვოს ან სულ დახუროს; ამას სანათურში წნევის მომატება მოყვება და ეს უკანასკნელი გარემოება ჭიაყელა ნაწლავის ანთების განვითარებას ხელს შეუწყობს.

მაშასადამე დროზედ კოლიტი რომ განიკურნოს და ლორწოიანი გარსის შესივება დაცხრეს, სანათური გაიღება, გამონაყოფი არ დაგროვდება და აპენდი-ციტს მოესპობა საბაბი განვითარების.

Borchardt-ი და Deawer-ი აღნიშნავენ, რომ პერიტიტლიტს ყაბზობა ხშირად წინ მიუძლვის. განავალის შეჩერება, კოპროსტაზი ჭიაყელას გამონაყოფის გამოყოფას აბრკოლებს, რასაც გამონაყოფის ჩაგუბება და დაშლა მოყვება. ქრონიკული აპენდიციტის დროს ნაწლავის გაწმენდის შემდეგ ავადმყოფს თითქმის ყოველ-თვის გაუმჯობესება ეტყობა. ხშირად მწვავე აპენდიციტი არაჩვეულებრივ გა-დამეტებულ ჭამას მოყვება, რაც უპირველეს ყოვლასა კოლიტის ნიშნებს იძლევა:

Reclus, Dumontpallier, Plicque colitis membranacea-ს ჭიაყელა ნაწლავის დაავადების მიზეზად სთვლიან. Gzerny, Haedaeus, Schoemaker-ი აპენდიციტის დროს აღნიშნავენ განვალში უხვად ლორწოს.

Talamon-იც აპენდიციტის და კოლიტის შორის ერთგვარ კავშირს მაინც სცნობს; ის ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში ნაწლავის დაავადებული კედელი არათა-ნასწორად იკუმშება, ლორწოიან გარსში ვითარდება მცირე ჯიბეები, სადაც გროვდება კონკრემენტი, რომელიც შემდეგ ჭიაყელა ნაწლავში ხედება.

ბავშვა პერიტიტლიტის ეთიოლოგიაში, როგორც აღნიშნავს Rostovtsev-ი, Talamon-ი იმოლ ლორწოვან კოლიტს დიდ მნიშვნელობას აწერს.

უკელა ზენამთქვამი და ჩვენი მასალის შესწავლა თითქოს საბუთს იძლევა ვითარებოთ, რომ მთელ რიგ შემთხვევაში ქრონიკული აპენდიციტი მეორად სწეულებას წარმოადგენს და ამა თუ იმ ხასიათის კოლიტით გამოწვეულია. ხში-

რად ქრონიკული აპენდიციტი hypothyreosis და ქლოროზის დროს იმჩნევა, როდესაც კოლიტიც საგრძნობლად გამოსახულია. გაივლის რა ქლოროზი გაუმჯობესდება რა hypothyreosis, იურნება კოლიტი და ოგრეოვე აპენდიციტიც.

ჩვენი აზრით პროფილაკტიკა კოლიტის ასაცდენად და დროზედ მიზანშეწონილად გატარებული მისი წამლობა საგრძნობლად ქრონიკულ აპენდიციტის რიცხვს შეამცირებს.

საქართველოში კოლიტი და აპენდიციტი საქმარისად გავრცელებულია და ამას ერთ გვარი საბაბი ხალხის თვით კვებაში უნდა ქონდეს. როგორც სამხრეთის ერი ჩვენ ძალიან ვეტანებით მჟავეს, ცხარეს და საზოგადოდ მწვავე გამაღიზიანებელ საკმელს. აბხაზეთში ხშირად სუთრაზედ პირპილონა არყულს მარილს ხმარობენ. კახეთში სოფელ კალაურში და ვაჩინაძიანში გაკვირვებული ვიყავი აუკარებელი კოლიტებით და ბრძან ნაწლავის მიღამოში გაღიზიანების მოვლენით. ბერვა და ტკივილი გულის კოვზის და ილეოცეკალურ მიღამოში ჩვეულებრივი ჩივილი იყო. Mk. Burney-ის წერტილში თითქმის ყოველთვის მტკივნეულობა იმჩნევა და თვით ჭიაყელა ნაწლავიც ისნიჯებოდა. ოუ მხედველობაში მივიღეთ მძიმე პური, არაყ და ლვინო, რაც ჩვეულებრივ საკვებ მასალას წარმოადგენს მათთვის, ვფიქრობ ძნელ ამოცანას არ წარმოადგენს, რა იწვევს ამ გვარ დაავადებას, ე. ი. არამიზანშეწონილი კვება კოლიტს იწვევს და ეს უკანასკნელი კი ქრონიკული აპენდიტს.

ყურადღებია, როდესაც ამ გვარი ავადმყოფი სხვა რაიმე სნეულების გამო საავადმყოფოში ხვდება, როდესაც კვების ხასიათი იცვლება, კოლიტი და აპენდიციტი თავის თავად ხშირად ცხრება და კვლავ ღორძინდება გაშერის შემდეგ, როდესაც ადამიანი ჩვეულებრივ მისოვის კვებას უდგება. როგორც ჩანს კვებას ამ შემთხვევაში სნეულებაზედ გავლენა უნდა ქონდეს.

წარმოიშობა რა ამ ნიადაგზე კოლიტი, მას აპენდიციტი მოყვება, რომელიც პირველ ხანებში კატარალური უნდა იყოს. შემდეგში თვის ანატომიური თავისებურების ვამო ჭიაყელა ნაწლავი დამოუკიდებლივ კოლიტისა შეიძლება თავის გზით წავიდეს და განიცადოს მისოვის ჩვეულებრივი ცვლილება; ეს ცვლილებანი კი ყოველთვის უქაღის ადამიანს ხიფათს. ამ მოსაზრებით ამგვარი ჭიაყელა ნაწლავიც ამოკვეთილი უნდა იყოს, მაგრამ მის შემდეგ კოლიტის გულდასმითი კურნება მაინც გატარებული უნდა იყოს, რადგანაც აპერაცია მართალია, ფრიად სახიფათო, მაგრამ სნეულების მხოლოდ შედეგს და არა თვით სნეულებას სპობს. ძირითადი სნეულება რჩება, ის ადამიანის სხეულშედ გავლენას ახდენს, ხშირად მის აუტოინტოქსიკის იწვევს ყველა მისი შედევით.

უკანასკნელ ხანებში აპენდიციტის გახშირებას ჩვენ ვერ უარყოფთ, მაგრამ ეს არც ისე დიდი უნდა იყოს, შესაძლებელია აქ სტატისტიკის მოგვარებას მნიშვნელობა ქონდეს, შესაძლებელია რომ ეხლა უკეთ დიაგნოზს ვსვამთ, რაღაც განაც აპენდიციტის გახშირებასთან ერთად საოცრად შემცირდა ტიფლიტი, კოპროსტაზი, ილეოცეკალური, რეტროცეკალური აბსცესი და ე. წ. იდიომატიური ჩირქოვანი პერიონიტი და თუ მაინც ფაქტიურად გახშირებას ადგილი აქვს, ეს განსაკუთრებით მეორად ქრონიკულ აპენდიციტს შეეხება, რომელიც ალბათ კოლიტის ნიადაგზედ წარმოიშო და ეს უკანასკნელი გამოწვეულია ან და



გამწვავებულია წარსულ წელთა არანორმალურ და დღესაც მიზანშეუწოდეს კვებით. ვითარდება კოლიტი, კოლიტი აპენდიციტს იწვევს, აპენდიციტი თავის მხრივ კოლიტშე გავლენას ახდენს და ამგვარად circulus vitiosusი ვითარდება.

თუ ყველა ზემონათქვამი მხედველობაში მივიღეთ, ვფიქრობ ე. წ. ქრონიკული აპენდიციტის თერაპიის ხასიათიც ირკვევა.

იმ შემთხვევაში, როდესაც კლინიკურ სიმტომოების ში პირველ რიგში ადგილობრივი მოვლენანი გამოსახულია, განსაკურთხებით მაშინ, თუ სნეულება მოულოდნელად მწვავე და მყაცრი იერიშით დაიწყო ან ერთ ორჯერ ამ გვარი იერიში განმეორდა, უპირველეს ყოვლისა ოპერაცია აუცილებელია. რომ ჭიაყელა ნაწლავი ობლიტერაციასაც განიცდიდეს, მაინც ოპერაცია მართლდება იმ შეწებების გამო, რომელიც ჭიაყელა ნაწლავის და სხვა ორგანოთა შორის არსებობს.

ოპერაციის შედეგიც შილებულ ზომას ამართლებს.

ჩვენი აზრით არ უნდა დავადგეთ ამ გზას შაბლონურად მაშინ, როდესაც ჭიაყელა ნაწლავის ქრონიკული ანთება მეორადი ხასიათისაა და პირველ რიგში ზოგადი კოლიტის ნიშნებია გამოსახული. პრინციპიალურად აქაც აპენდეკტომიას არ უარყოფთ. მაგრამ ის ხაქმარისი არ არის და ხანდახან კიდევაც ჟელმეტია. როდესაც ჭიაყელა ნაწლავის ქრონიკულ ანთების ადგილობრივი ნიშნები სუსტად გამოსახულია, როდესაც წარსულში მწვავე შეტევას ადგილი არ ქონია და განავალში ჭიებია, უპირველეს ყოვლისა მათ წინაამდეგ უნდა იყოს მიღებული ზომა ან კოლიტის დროს ამ უკანასკნელის კურნებას უნდა შეუდგეო და შეიძლება განკურნებასაც მივაღწიოთ, რაღაც ჭიაყელა ნაწლავი ჯერ დიდ ცვლილებას არ განიცდის და შეიძლება კიდევაც თვით კოლიტი იყოს მიზეზი დანარჩენ ნიშნებისა, არამედ ტკივილისა; ამ შემთხვევაში ჭიაყელა ნაწლავის restitutio ad intergrum-იც შეიძლება მოხდეს; ამ შემთხვევებში ოპერაციის მივმართავთ მხოლოდ, როდესაც სათანადო კურნების დაჯინებითი გატარების შემდეგაც არც კოლიტი და არც აპენდიციტი გაუმჯობესებას არ იძლევა. რა ლაპარაკი უნდა, როდესაც ჭიაყლა ნაწლავი ღრმა ცვლილებას განიცდის, გინდ ის მეორადი ხასიათის იყოს თერაპია უძლურია და ჭიაყელა ნაწლავი აუცილებლივ ამოცლილი უნდა იყოს.

ყველა ზემოხსენებული ნებას გვაძლევს გამოვსთქვათ შემდეგი:

1. ქრონიკული აპენდიციტის გამოცნობა ხშირად დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

2. პალპაციის დროს ცნობილი მტკივანი წერტილთა მთელი რიგი დიაგნოსტიურ მხრივ არც ისე საიმედოა.

3. აპენდიციტისათვის უფრო დამახასიათეთებელია ტკივილი, რომელიც ნაირნაირ მიმართულებით ირადიაციას იძლევა.

4. მხოლოდ პალპაცია აპენდიციტს ვერ უარყოფს.

5. ქრონიკული აპენდიციტი შეიძლება პირველადი ან მეორადი ხასიათის იყოს.

6. შესაძლებელია პირველადი აპენდიციტის გამომშვევი მიზეზი სკორესებრი ქვა, ჭია ან, უფრო იშვიათად, რაიმე გარე სხეული იყოს.



7. ყოველი ხსნებული სხეული ნაწლავის ტრაგმას იშვევს და უმთავრეს სად ეს უკანასკნელი ანთების განვითარებას ხელს უწყობს.
8. მეორადი ქრონიკული აპენდიციტი helmenthiasis-მა შეიძლება გამოიწვიოს.
9. ხშირად მეორადი აპენდიციტი კოლიტის შედეგია.
10. უკანასკნელ დროს შემჩნეული აპენდიციტის გახშირება შეიძლება კოლიტის გახშირებით გამოწვეული იყოს.
11. ფრიად სასურველია გამორკვევა ჩვენში, ხომ არ იმყოფება დაავადებულ ჭიაყულა ნაწლავის სანათურში დიზნტერიის ამება, რომელიც მის ანთებას ხელს უწყობს.
12. პირველად კონსერვატიული ქრონიკული აპენდიციტის დროს, როგორც კურნების რაღიკალური გზაწესი აპენტექტომია აუცილებელია.
13. მეორადი ქრონიკულია აპენდიციტის დროს, როდესაც ადგილობრივი ნიშნები სუსტად გამოსახულია, უპირველეს ყოვლისა ძირითადი სნეულების მკურნალობა გატარებული უნდა იყოს.
14. როდესაც, მიუხედავად ძირითადი სნეულებისა წამლობისა ზოგადი ნიშნები მაინც დაჯინებით გამოსახულია, ოპერაცია ნაჩვენებია.
15. მეორადი ქრონიკული აპენდიციტის ოპერაცია აუცილებელია, როდესაც სნეულების ადგილობრივი ნიშნები მძლავრად გამოსახულია.
16. ამგვარი ოპერაცია რაღიკალურად ვერ ჩაითვლება და მის შემდეგ ძირითადი სნეულების თერაპიული წამლობა მაინც აუცილებელია.
17. მეორადი აპენდიციტი, როდესაც ჭიაყულა ნაწლავი საგრძნობელ ანატომიურ ცვლილებას განიცდის აგრეთვე სახიფათოა, როგორც პირველადი აპენდიციტი.
18. კვებას, როგორც კოლიტზე, აგრეთვე აპენდიციტზე გავლენა აქვს.

## გ. ლორთიფანიძე.

კლინიკის ორდინატორი

### მეტრეილიზი მეანობაში.

(სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნი კლინიკიდან გამგე—პროფ.  
 ი. თიკანაძე).

ქირურგის იმ მაღალ წერტილამდე განვითარებამ, რომელსაც მან ამ ბოლო ხანებში მიაღწია დიდი გავლენა იქონია, გინეკოლოგიის განვითარებაზედაც, მაგრამ ოპერატიული მეთოდით დახმარების სურვილმა გადააჭარბა ქირურგიის და ოპერატიული გინეკოლოგიის საზღვრებს, შეიძრა მეანობის ფარგლებშიც და სულ სხვა ელფერი მისცა მას—ოპერატიულმა მკურნალობამ მეანობა სწრაფი ნაბიჯით წასწია წინ და შედეგებიც ასეთი მკურნალობისა სასურველი და მიზანშეწყნილი გამოდგენ. ამის გამო თანამედროვე მეანები ძალიან ხშირად მიმართავენ ხოლმე სხვადასხვა სისხლიან ოპერაციებს და ეს გარემოება კი სხვა დარგის სპეციალისტებში ეჭვსაც კი ბადებს მეანობაში სისხლიანი ოპერაციების ასეთ ხშირ საჭიროებაში და ხშირად გაისმის მათი შეკითხვა: შესაძლებელია თუ არა ასეთი სისწრიადით იზრდებოდეს დადებით ჩვენებათა რიცხვი სამეცნი ოპერაციების წარმოებისათვის.

მეანობაში ოპერატიული მკურნალობის განვითარების პირველ დღეებიდანვე მეცნიერები ორ ჯგუფად გაიყვნენ, როდესაც ერთი ნაწილი მეცნიერებისა მომხსენი იყვნენ მეანობაში სისხლიანი ოპერაციების წარმოების მეორენი—უარსა ჰყოფდენ ასეთს მკურნალობას. ამჟამად კი დამტკიცებული და უდაოა მეანობაში ოპერატიული მკურნალობის საჭიროება და ბასრ დანას მეანობის ხელსაწყოთა შორის ერთი საპატიო ადგილი უკავია.

სხვა სამეცნი ოპერაციათა შორის, ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია იმ ოპერაციებს, რომლის საშუალებითაც მეანები იწვევენ საჭიროების და მინედვით მუცელის მოწყვეტას ან ნააღრევად მშობიარობას. ამ ოპერაციებმა შედარებით სხვა სამეცნი ოპერაციებთან გვიან მოიპოვეს პოპულიარობა პრაქტიკულ ასპარეზზედ. მათი ასეთი დაგვიანებითი შემოლება აიხსნება იმით, რომ ეს არ იყო რაიმე შემთხვევითი გარემოების მიერ წამოყენებული იდეა, არამედ ამ ოპერაციების საჭიროებაზედ და მის დადებით თუ უარყოფით მხარეებზედ მრავალი მეცნიერი ფიქრობდა ათეულ და ასეული წლების განმავლობაში. მის პრაქტიკულ მეანობაში გადმოტანას მრავალი ცდა და დაგვირვება მიუძღვდა წინ. ამ მიზნით ზედმი-



შევნით იყო შესწავლილი ქალის მენჯის და ნაყოფის თავის ზომები. შესწავლილი იქნა მშობიარობის მექანიზმი, ნაყოფის თავის კონფიგურაციის უნარი და ამავე მიზნით არა ნაკლებ ყურადღებას იძყრობდა ის საკითხი, თუ რამდენი კვირის ბავშვია სიცოცხლის უნარიანად ცნობილი, თუ ის რაიმე მიზეზის გამო გამოყვანილ უნდა იქნეს დედის მუცლიდან 10 სამთვარით თვის ადრე.

ნაადრევად მოსამშობიარებელ ოპერაციებს, როდესაც ის იქნა გამოქვეყნებული ყავდა როგორც მომხრენი მაგ: Rosner, Macaulay, C. Vensel, Litzman, Vyder, Leopold, Barnes, Ciles, Parve და სხვანი, აგრეთვე მოწინააღმდეგებნიც მაგ: Winter, Osiander, Sänger, Kehrer, Pinar, Zveifel, Spigelman და სხვები (Spigelman-ი შემდეგში მიემხრო ნაადრევად მოსამშობიერებელ ოპერაციების მომხრეთა ჯგუფს). მეთოდები მუცლის მოსამალ ან ნაადრევად მოსამშობიარებელ ოპერაციებისა მრავალია, მათ მე აქ არ შევვები—ვინაიდან ჩემი მიზანია განვიხილო მეტრეირიზის მნიშვნელობა მეანობაში, ე. ი. შევაფასო მეთოდი მეტრეირიზით მუცლის მოშლისა ან ნაადრევად მშობიარეობისა ჩვენი კლინიკის მასალების შეხვეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ რაც მეანობაში მეტრეირიზი იქნა შემოღებული დიდი ხანი არ არის, სულ რაღაც წ1 წელია მას შემდეგ, რაც საშოში მოთავსებული რეზინის ბალონი (კოლპეირინტერი) საშოლგან საშვილოსნოს შიგნითა ყელის იქით, საშვილოსნოს ღრუში შეიტანეს და კარგი შედეგიც მიიღეს. ამ მეთოდის მომხრეთ და დამცველად 1893 წ. ქ. ქ. ბრესლავში მომხდარ მეანთა და გინეკოლოგთა კონგრესზედ გამოვიდა Dührssen-ი.

იდეა კი მეტრეირიზისა ეკუთვნის ვენის კლინიკის ასისტენტ Maduroviev-ს, რომელმაც 1864 წელს Placentu praevia totalis ერთს შემთხვევის დროს რეზინის ბალონი შეიტანა საშოში კი არა არამედ საშვილისნოში და მიიღო კარგი შედეგი. ეს შემთხვევითი მეთოდი მაღლ დავიწყებას მიეცა და 20 წლის შემდეგ Schauta ურჩევდა მეანებს მის ხმარებას. მანვე ეს მეთოდი გამოიჭვეუნა როგორც თავის მეთოდი სათაურით „ახალი მეთოდი საშვილოსნოს ყელის გაგანიერებისა მშობიარობის დროს“.

ამ ყამად მეტრეირიზის შესახებ მრავალი ლიტერატურული მასალა არის დაგროვილი და ის ავტორები, რომელნიც თვალყურს ადევნებენ მეტრეირიზის ხმარების შემდეგს მიღებულ შედეგებს და თვითონაც აქვთ საკმაო და მრავალი რიცხვიანი დაკავილევებიც თითქმის ერთხმად აღიარებენ მის დადგენითი მხარების ჭარბობას უარყოფითი მხარეებზედ.

Phannenstiel-ის აზრით ექიმი კერძო პრაკტიკაში, როდესაც აუცილებელია მუცლის მოშლა ან ხელონურად ნაადრევი მშობიარეობის გამოწვევა, ყველაზედ უფრო ხშირად უნდა მიმართავდეს მეტრეირიზს, რასაკვირველია, ეს არ შეეხება, ისეთს შემთხვევებს, როდესაც საჭიროა სწრაფად მშობიარეობის დამთავრება, მაგალითად, Eclampsia, Placenta praevia totalis და სხვა.

აღნიშნული ავტორი კერძო პრაკტიკაში აბდომიმინალური ან საშოს შხრივი საკეისრო გაკვეთის წინააღმდეგებია და გვირჩევს ასეთი ოპერაციები ვაწარმაოდ საკეისრო გაკვეთის წინააღმდეგებია და გვირჩევს ასეთი ოპერაციები ვაწარმაოდ სონალი საკმარისია და ასეპტიკა და ანტისეპტიკაც სათანადო დონეზედ არის და-

ყენებული. სხვა „შემთხვევაში კი საშვილოსნოს ყელის გაგანიერება უნდა ხდებოდეს მეტრეირიზის საშუალებით.

Jung-იც იმ აზრისაა, რომ მეტრეირიზი, ერთად ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია, რომელსაც უნდა მიმართოს ექიმმა, როდესაც მას სურს ორსულობის შეწყვეტა და ან ნაადრევი მშობიარების გამოწვევა. იმ შემთხვევაში კი როდესაც მშობიარის ინტერესი მოითხოვს მშობიარების სასწრაფოდ დასრულებას Jung-i მომხრეა სხვა საშოს მხრივი ან აბდომინალური საკეისრო გაკვეთისა, მაგრამ კლინიკის ან საავადმყოფოს პირობებში და თუ ასეთ დაწესებულებაში ავადმყოფის მოთავსება რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელია სხვა მეთოდთა შორის, მისივე აზრით ექიმი ვალდებულია ისევ მეტრეირიზის მასცეს უპირატესობა.

Rubeska—რომელიც პრაგის საბებიო ინსტიტუტში ხშირად ხმარობდა მეტრეირიზის, აღტაცებით აღნიშნავს, რომ „მეტრეირიზი ყველაზედ დიდი მიღწევა არის მენობაში ამ ბოლო წლების განმავლობაში“. პროფესორ—Bar-ის დაკვირვებით პირველ მშობიარეთ, რომელთაც ტკივილები ჯერ არც კი აქვთ დაწყებული, დიდი ბალონის გამოძევება შეიძლება მავალშით 8—10 საათის განმავლობაში; იმ პირველ მშობიარეთ კი რომელთაც ტკივილები უკვე დაწყებული აქვს, დიდი ბალონი გამოუარდებათ ხოლმე 4 საათის განმავლობაში; მრავალ მშობიარეთ კი 2 საათის ან უფრო მცირე დროის განმავლობაში. ამავე ავტორის ცნობების მიხედვით მეტრეირიზის ხმარების დროს დედათა სიკვდილიანობა უდრის 1.75%, ნაყოფისა კი 37.4%.

Kalefeldi-ის დასკვნათა მიხედვით მეტრეირიზის უარყოფითი მხარედ ის ჩაითვლება, რომ ამ მეთოდით გამოწვეულ მშობიარეობის დროს იღუპება დედების მხოლოდ 1 3%.

Ahlfeld-მა შეადარა Kause-ს (ბუჟებით) და Tarnier-ის (მეტრეირიზით) მეთოდით გამოწვეულ ნაადრევ მშობიარობათა შედეგები და მივიღა იმ დასკვნამდე, რომ უფრო ხელსაყრელია ნაადრევად მშობიარობის გამოწვევა მეტრეირიზიზის საშუალებით ვიდრე სხვა რაიმე მეთოდით. მისი ცდის ობიექტს შეადგენდა 108 მშობიარე, რომელთაც მან ნაადრევი მშობიარეობა გამოიწვია მეტრეირიზიზის საშუალებით და არც ერთს შემთხვევაში ამ მშობიარეთ ლოგინობის ხანაში არავითარი გართულება არ დართვია. რაც შეეხება ნაყოფს—ამავე ავტორის სტატისტიკით ბუჟებით გამოწვეულ მშობიარობის დროს იღუპება 60.4%, მეტრეირიზით მშობიარობის დროს კი 44.8%.

ყველაზედ მეტი მასალა რომელიც მე შემხვდა აქვს მოყვანილი Zimmerman-ს, მას სხვების და თვეის შემთხვევებთან ერთად შეუკრებია 645 შემთხვევა მეტრეირიზის მენობაში ხმარებისა და მისი აზრით ხელოვნურად ორსულობის შეწყვეტაში მეტრეირიზის აქვს შემდეგი დადებითი მხარეები: I. სწრაფი და უეჭველი გახსნა საშვილოსნოს ყელისა და საშოს რბილი ნაწილებისა, რაც ამცირებს მშობიარეობის ხანას და II. ამ დროს დაცულია სანაყოფო ბუშტის მთლიანობა საშვილოსნოს ყელის სრულ გახსნამდე. ე. ი. ასევებოს ფიზიოლოგიური, ნორმალური პირობები მშობიარეობის ნორმალურად ჩასატარებლად,—ამავე დროს, თუ სანაყოფო ბუშტი ჩვენ მთელი შეენახეთ საშვილოსნოს ყელის სრულს გახსნამდე ჩვენ ინჯექციის უფრო ნაკლებად უნდა გვეშინოდეს.



მეტრეირიზას აქვს, რასაკვირველია, უარყოფითი მხარეებიც, რომელზედაც ქვემოდ მოგახსენებთ, მაგრამ მის უდიდეს ღირებულებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მისი ხმარება ძლიერ იოლია და კარგს შედეგებსაც იძლევა.

Հռացործ յժմունքը կազմութեալ է առաջին առաջնաշահութեան վեհական պատճեանը:

Հռացործ յժմունքը Կոչևեցկի մասունք գալութեաւունք է մուսական առաջնաշահութեան վեհական պատճեանը:

Հռացործ յժմունքը կազմութեալ է առաջին առաջնաշահութեան վեհական պատճեանը:

შეანობასა და გინეკოლოგიაში მეტრეირიზის ხმარობენ სხვა და სხვა შემთხვევებში, ჩვენს კლინიკაში კი მეტრეირიზს მივმართავთ ხოლმე როდესაც გვსურს:

- I. ნააღრევად მშობიარეობის გამოწვევა, II. თუ ქალს მუცელს უშლით და ორსულობა 3 თვეს აღმატება, III. თუ სამშობიარო ტკივილები სუსტია და ყელი გვიან და ნელ-ნელა იხსნება, IV. თუ მშობიარეს ტემპერატურამ აუჭია, V. თუ რაიმე საფრთხე მოელის დედას ან ნაყოფს და საჭიროება მოითხოვს ამ დროს შედარებით სასწავლაში მშობიარობას, VI. თუ არის მომყოლის სრული წინამდებარეობა და VII. თუ არის მომყოლის ნაწილობრივ წინამდებარეობა. ამ ორუკანს უნდა შევაწყო შემთხვევებში ჩვენ სანაყოფო ბუშტისა ცხევთ და მეტრეირიზინტერი შეგვაქვს სანაყოფო ბუშტის შიგნით. ასეთი მეთოდი კარგს შედეგს იძლევა, ვინაიდან მეტრეირიზი აწვება მომყოლის წინამდებარე ნაწილზედ, რომელიც ყელთან ძიებარეობს და ამით ხელს უწყობს სისხლის დენის შეწყვეტას. გარდა ამისა საშვილოსნოს ყელი იხსნება და მშობიარეობა უფრო ჩქარა მიმდინარეობს. *Eclampsia*-ს დროს, მეტრეირიზის ჩვენი კლინიკა იშვიათად მიმართავს, ვინაიდან მთელი ჩვენი ყურადღება მაქცეულია ამ შემთხვევაში იმისაკენ, რომ ოც შეიძლება საშვილოსნოს ღრუ მალე იქნეს განთავისუფლებული ნაყოფისა და მომყოლისაგან და 3—4 საათი რომელიც დასჭირდება მეტრეირიზის საშვილოსნოს ყელის გასახსნელად შესაძლებელია საბედისწერო შეიქმნეს ავაღმყოფისათვის.

აქ მინდა მოვიყვანო ერთი შემთხვევა მეტრეირიზის ხმარებისა, როდესაც ჩვენ საქმე გვქონდა დროული მშობიარობის დროს, ნორმალურ ადგილზედ მიმაგრებული ნააღრევად მოცილებულ მომყოლის შემთხვევასთან.

1924 წლს 28 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო მოვიდა მოქ. მ-ც სამშობიარო ტკივილებით. (ივადმყოფის ისტორია № 1255). მშობიარე: სომეხი, დიასახლისი, 20 წლის, უმუშევრის ცოლი, დაბადებული ქ. ყარში, სკხოვრობს თბილისში, პირველად არის ორსული. ორსულობამდე იყო კარგად, არავითარი ივაღმყოფობით ავად არ ყოფილა. პირველი თვიური მოსვლია 14 წლისას, მოსდიოდა ყოველ 4 კვირაზედ, 3—4 დღეს, უტკივნელოდ, არ ასუსტებდა. უკანას ნერი თვიურისა და ნაყოფის ნძრევის თვე და რიცხვი არ ახსოვს.

მშობიარე საშუალო ტანის არის, ძელის და კუნთოვანი სისტემა ნორმალურად განვითარებული. t<sup>o</sup> კლინიკაში მოყვანის დროს 36, 2 C. მაჯა 84 წ. ში, მუცელის უდიდესი გარშემოწერილობა 99 cm. მუცელის კედლის, ძეძუების და სასქესო ორგანოების არანორმალობა არ ემჩნევა. მენჯის ზომები ნორმალური. საშვილოსნოს ფსკერი დგას მე-X თვის ორსულობის დონეზე. გარეგანი გასინჯვით წვრილმან ნაწილები მარჯვნით, გულის ცემა მარცხნით ჭიპის ქვემოდ 2 სანტიმეტრით, კარგად გარკვევით 150 წუთში. შინაგანი გასინჯვით, საშვილოსნოს ყელის გარეთა პირი გახსნილია ერთს თითზე, შიგნითა პირი კი სრულიად, სასუყის ბუშტი მრთელი, წყლები დაუღვრელი. საშვილოსნოს ყელის კიდეები გათხელებული, წინამდებარე ნაწილი თავი, შემოჭრილი მცირე მენჯში, ისრისებრი ნაერი მარჯვენა ირიბ ზომაში, მცირე ყიფლიბანდი მარცხნით და ქვემოდ. 29 სექტემბერს 11 საათზედ დილით მშობიარეს სამშობიარო ოთახში სეირნობის



დროს უეკრად დაეღვარა წყლები და აუტყდა ძლიერი სისხლის დენა საშვილოსნო-დან. ავადმყოფი ძლიერ დასუსტდა ბევრი სისხლის დაკარგვის გამო და ნაყოფის, გულისცემის რომლისაც მოსმენა გარკვევით ვისმენდით აქამდე, ეხლა უკვე შეუძლებელი გახდა აქარების გამო. დაკრწმუნდით იმაში, რომ ჩვენ საქმე გვქონდა მომყოლის ნაადრევად მოცილების შემთხვევასთან და ეს უკანასკნელი საფრთხეს უქადიდა როგორც ნაყოფს, ისე მშობიარესაც. გადავწყვიტეთ ავადმყოფისათვის საკეისრო გაკვეთის გაეთება. ამაზე ავადმყოფი არ დაგვთანხმდა. ამის შემდეგ მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა—სისხლი სდიოდა მშობიარეს და ჩვენ იძულებული ვიყავით რაიმე საშუალებისათვის მიგვემართა; რომ საშვილოსნოს ყელი ორს თითხედ მაინც გახსნილი ყოფილიყო მე მივმართავდი ნაყოფის ფეხზედ მობრუნებას, მაგრამ—საშვილოსნოს ყელი ერთ თითხე იყო გახსნილი, როგორც ზემოდ ავლნიშნეთ—ამისთვის მე მიზნად დავისახე სასწრაფოდ საშვილოსნოს ყელის გავანიერება რაიმე მეთოდით და სხვა მეთოდებთან შედარებით ამოვირჩიე მეტრიტიზი, რომლის მეტწეობითაც შესაძლებელია უსისხლო, სწრაფი და მოფთხილებით საშვილოსნოს ყელის გაგანიერება. 29 სექტემბერს 12 საათზედ საშვილოსნოს ღრუში, წინასწარ სათანადო მომზადების შედეგ, შეტანილ იქნა მეტრეირინტერი, რომელშიაც ჩავასხი 400.0 გაუსნებოვანებული სითხე. მეტრეირიზერის ყელს მოვაბით სიმძიმე, რათა გავეძლიერებინა მექანიკური გალიზინება ყელის შედარებით სწრაფი გახსნის მიზნით. ამავე დღეს 12 ს. 30 წუთზედ, ე. ი. ნახევარი საათის შემდეგ მეტრეირინტერი გამოვარდა საშვილოსნოს ღრუდებან და ყელი კი გახსნილი იყო  $2\frac{1}{2}$  თითხედ. ვინაიდან საშვილოსნოს ყელის გახსნა ნებას მაძლევდა, ჩემს მიერ ნაყოფი იქნა ფეხზედ მობრუნებული გარეგან შინაგანი მეთოდით, ჩამოვიტანეთ მარცხენა ფეხი მივაბით სიმძიმე და დავტოვეთ ამ მდგომარეობაში. უნდა აღვნიშნო, რომ მეტრეირიზის საშვილოსნოში შეტანის შემდგომ სისხლის დენა შეწყდა; როდესაც მეტრეირინტერი საშვილოსნოდან გამოვარდა სისხლის დენამ კვლავ იჩინა თავი, მაგრამ მოვაბრუნეთ თუარა ნაყოფი ფეხზედ და ჩამოვიტანეთ ფეხი, სისხლის დენაც მაშინვე შეწყდა. მეტრეირიზის ზეგავლენით პირველად და შემდეგ კი საშვილოსნო ყელში და საშოში მოთავსებული ფეხის გალიზინების ზეგავლენით, მშობიარეს ტკივილებმა უმატა და შეტევებიც გაუძლიერდა და 29 სექტემბერს 3 საათზე დღით, ე. ი. მეტრეირინტერის ჩადების 3 საათის შემდეგ ჯდომა დაიწყო შეჭრა, ყელი ამ დროს უკვე სრულიად იყო გახსნილი და ჩვენს მიერ ნაყოფი იქნა გამოყვანილი. დაბადებული ნაყოფი დედრობითი სქესისა, წონით 3,500 gr. სიგრძით 49 სანტიმეტრი იყო ღრმა ასფიქსიაშიდ, რომელიც ჩემს მიერ იქნა მოსულიერებული Schultsze-ს მეთოდით.

აქვე ვსარგებლობ შეხთხვევით და ულმეს მადლობას უცხადებ კლინიკის ასისტენტ ექ. მ. ს. არჯავანიძეს რომელმაც ამ ოპერაციის წარმოება მომანდო მე.

როგორც ზემოდ მოგახსენეთ სრულიად ჩვენდა უნდებლიერ, ისეთს შემთხვევაში, რომელიც იყო ჩვენი შემთხვევა და რომლის ღროსაც ნაჩვენებია ბოქვენის ზემო ან საშოს მხრივი საკეისრო გაკვეთა მე მივმართე მეტრეირიზის და ნაყოფის ფეხზედ მომრუნებას და მივიღე კარგი შედეგი, როგორც დედის, ისე ნაყოფისათვის. ჩემი კარგი შედეგით მე არ მინდა ვსოდვა, რასაკვირვეველია, რომ ყო-



ველ იმ შემთხვევაშიდ, როდესაც არის ხოლმე ნააღრევად მომყოლის მოცილების ნიადაგზედ ძლიერი სისხლის დენა ექიმებმა მიმართონ მეტრეირიზს და ნაყოფის ფეხზედ მობრუნებას, არა მე ეს შემთხვევა მომყავს აქ როგორც საინტერესო და იშვიათი შემთხვევა, სადაც საკეისრო გაკვეთის ნაცვლად მეტრეირიზმა და ფეხზედ ნაყოფის მობრუნებამ იხსნა ხიფათისაგან როგორც ნაყოფი ისე მშობიარეც. ვამეორებ რომ ეს შემთხვევა არის „ბედნიერი“ შემთხვევა, რომელიც მეანმა სოფლის მოუწყობელ პირობებში გაჭირვების დროს უნდა იქონიოს მხედველობაში.

მას შემდეგ, რაც აშერიკელმა მეანებმა შემოიღეს წინამდებარე მომყოლის დროს საკეისრო გაკვეთა, Krönig-ი და Sellheim-იც მას მიემხრენ, ამან კი გრძელიანის და საფრანგეთის მეანეთა და გინეკოლოგთა წრეში დიდი კამათი გამოიწვია, მაგრამ შედეგად მივიღეთ ის, რომ აღნიშნულ ქვეყნების მეანეთა და გინეკოლოგთა უმეტესობა დარჩა ისევ ძველი (მეტრეირიზის) მომხრეებად.

Thies-ს მოჰყავს 178 კლინიკისა და საავადმყოფოს ცნობები, სადაც მეტრეირიზით ნააღრევად მშობიარობის, თუ მუცულის გაცუდების დროს დედათა სიკვდილიანობა 3% ვერც კი აღწევდა. აქედან მას ის დასკვნა გამოყავს, რომ არა ვითარი უფლება არ აქვს ექიმს ეს მეთოდი შესცვალოს სხვა მეთოდზედ და ისიც საკეისრო გაკვეთაზედ. რაც შეხება ნაყოფის სიკვდილიანობას Thies-ი ფიქრობს, რომ თუ ნაკლებად იქნება ხმარებული ნაყოფის ფეხზედ მოტრიალების ოპერაცია იმ შემთხვევაში ნაყოფთა სიკვდილიანობისა 0%—იც შემცირდება. ამ შეხედულობას ამართლებს მის მიერ შვეკებილი სტატისტიკური ცნობები, სადაც მარტო მეტრეირიზის ხმარების დროს ნაყოფთა სიკვდილიანობა დაეცა 18% მდე. Richter-მა გადაათვალიერა რა ყველა ის შემთხვევები დრეზდენს კლინიკისა, როდესაც მომყოლის წინამდებარეობის დროს იყო ნახმარი მეტრეირიზი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჯერ-ჯერობით მეანობაში არ მოიპოვება წინამდებარე მომყოლის სამკურნალო-მეთოდი უკეთესი, ვიდრე მეთოდი Braxton-Hicks-ისა და მეტრეირიზის ხმარებისა.

Hannes-მა, რომელმაც მომყოლის წინამდებარეობის 119 შემთხვევაში მიმართა მეტრეირიზს, ცოცხალი ნაყოფი გამოიყანა 57.5% შემთხვევაში და დედათა სიკვდილიანობა კი ამ მეთოდის ხმარების დროს არ აღმატებოდა 5%—ს.

პროფ. Pfannenstiel-ის სტატისტიკის მიხედვით საშოს ტამპონაციის და Braxton Hicks-ის მეთოდის ხმარების დროს წინამდებარე-მომყოლის შემთხვევებში დედათა სიკვდილიანობა უდრის 10%, ნაყოფისა კი 81% ამისათვის აღნიშნული ავტორი მოწინააღმდეგე იყო დასახელებული მეთოდებისა და უჩევდა მეტრეირიზის ხმარებას წინამდებარე მომყოლის დროს.

საკეისრო გაკვეთის შესახებ Pfannenstiel-ი ამბობს რომ „ექიმი ხშირად შეხვდება ისეთს დაბრკოლებებს, როდესაც ის უარს იტყვის ამ ოპერაციების წარმოებაზედ და დაბოლოს მე მწამს, რომ მომავალში მეანები წინამდებარე მომყოლის თერაპიას უფრო ფრთხილად მოებყრობიან და ეცდებიან ასეთს შემთხვევებში უფრო ნაკლებად იქნეს წარმოებული სისხლ დამღვრელი ოპერაციებით“ Zimmerman-ის აზრით მეტრეირიზის ხმარება წინამდებარე მომყოლის დროს მისაღებია, მხოლოდ ის ერთგვარ საშიშროებას ხედავს ნაყოფისათვის ში-



ნაგანი სისხლის დენის დროს. და ასეთს გართულების დროს სასურველად სთვლის. მეტრეირიზის გამოვარდნის შემდგომ ნაყოფის სწრაფ გამოყვანას.

ფრანგი მეანი Labusqui ère-გვირჩეს მეტრეირიზ მიემართოდ წინამდებარე მოყოლის დროს.

სისხლიანი ოპერაციების წარმოება ასეთს შემთხვევაში მას მიაჩნია შესაძლებლად მხოლოდ კლინიკასა და კარგად მოწყობილს საავადმყოფოებში — „დანარჩენს შემთხვევაში ექიმი ვალდებულია მეტრეირიზ მიმართოს“ — ამბობს აღნიშნული ავტორი.

Mouchotte 183 შემთხვევის დაკვირვების და შეფასების შემდეგ Boudelocque ს. კლინიკიდან, სცდილობს დაამტკიცოს, რომ კლასიკური ან ბოქვენს ზედა საკეისრო გაკვეთა სრულებითაც არ იძლივა უკეთეს შედეგებს ვიდრე Pinar-ის კონსერვატიული მეთოდი წინმდებარე მოყოლის წამლობისა; რომელიც გამოხატება იშიში, რომ ევალმყოფი მოსვერნებით გვიწევს და უკეთები 40° R. წყლით საშოს პკურებას და თვალყურს ვადევნებთ ავალმყოფის მაჯას, თუ ეს უკანასკვნელი 100 მეტად აჩქარდა წუთში, მაშინ საშვილოსნოს ლრუში შეგვაქს მეტრეირიზი. ასეთი მეთოდით მკურნალობის დროს დედათა სიკვდილიანობა უდრის 2.18% და ნაყოფთა სიკვდილიანობა კი 44.8%,-ს,

ლენინგრადის სამშობიარო სახლებს თუ მივაჭცევთ ყურადღებას აქაც, როდესაც წინამდებარე მომყოლის მკურნალობას აწარმოებდენ მეტრეირიზის საშუალებით მაშინ ნაყოფთა სიკვდილიანობა უფრო მცირე იყო, ვიდრე სხვა მეთოდებით მკურნალობის დროს (Гусаков).

ყოველივე ზემოდ მოყვანილის შემდეგ მსუსას ორიოდე სიტყვით შევეხო მას, თუ როგორ მოქმედობს საშვილოსნოს ლრუში შეტანილი მეტრეირინტერი. ზოგიერთ მეცნაერთა აზრით მეტრეირინტერი საშვილოსნოს შიგნითა ყელის შიგნით შეტანილი იწვევს საშვილოსნოს ლრუში წნევის მომატებას და ამაზედ არის. დამოკიდებული საშვილოსნოს ხანდაზმითი შეკუმშვა, შეტევითი და მოვლითი კტივილები. ზოგნი კი ფიქრობენ, რომ მეტრეირინტერი საშვილოსნოს ლრუში შეტანილი თავისი ცერვიკალური ნაწილით აწვება საშვილოსნოს ყელს, აღიზიანებს იქ მოთავსებულ ნერვიულ განგლიებს და ამ უკანასკნელთა გაღეზიანების შედეგია სამშობიარო ტკივილები, რასაც მოყევბა საშვილოსნოს შეკუმშვა და საშვილოსნოს ყელის გახსნა, შემდეგ ყელის გახსნისა მივიღებთ ხოლმე ნაყოფის საშვილოსნოდგან გამოძევებას.

გალიზინებით აიხსნება აგრეთვე მეტრეირინტერის ყელზედ სიმძიმის მიპამა, როდესაც ჩევნ გვესაჭიროება საშვილოსნოს ყელის შედარებით სწრაფი გახსნა.

რაც შეეხება ბალონის საშვილოსნოს ლრუში შეტანის ტეხნიკას ის მარტივია, მაგრამ ამავე დროს სახითათო: ვინაიდან უვიცა და სწრაფი გაგანიერების დროს მოსალოდნელია საშვილოსნოს ყელის დაზიანება; გასევა — აღსანა, შენავია, რომ ასეთს შემთხვევაში უფრო ხშირად იხევა საშვილოსნოს ყელის შიგნითა პირი, ვიდრე გარეთა. შეიძლება გაგანიერების დროს სანაყოფო ბუშტი გაცხიოთ, ნაყოფის გარემო წყლები ამ შემთხვევაში ნააღრევად დაიღვრება და ეს რომ არა სასურველი მოვლენა არის ზემოთაც მოგახსნეთ.

მეთოდი საშვილოსნოს ღრუში ბალონის შეტანისა მრავალგვარია, ზალი ნის საშვილოსნოში შესატანად სპეციალური მაშებიც კი იყო მოგონილი; მე მათ ოღურას აქ არ შეუდგები, მხოლოდ მოკლედ აღწერ იმ მეთოდს, რომელსაც ჩვენი კლინიკა მიზანშეწონილად სთვლის და საჭიროების დროს მიმართავს ხოლმე. როდესაც ჩვენ გადავწყვეტთ, რომ ავათმყოფს ამა თუ იმ მიზეზის გამო გაუკეთოთ მეტრეირიზი, ისეთს შემოხვევაში, როდესაც ივათმყოფი ნამშობიარები არ არის, ან დიდიბნის ნამშობიარებია და გვეშინია საშვილოსნოს ყელის გახევის გაგანიერების დროს მისი სიმკვრივის გამო, ჩვენ ავადმყოფს საშოში უდებთ წინადლით ცამპონს რათა ცამპონმა გააღიზიანოს და გაარბილოს საშვილოსნოს ყელი, რომ შემდეგში გაგანიერების დროს უფრო ნაკლები შიში გვქონდეს ყელის გახევისა. აღნიშნული მომზადების შემდეგ ივადმყოფი აგვიავს საოპერაციო მავიდაზედ, გარეთა და შიგნითა სასქესო ორგანოებს ენერგიულად ვბანთ საპნით, შემდეგ სულემის ხსნარით გამოვრეცხთ. ამის შემდეგ საშოში შეტანილ სარკეების შემწეობით გამოვაჩინთ საშვილოსნოს ყელს, რომლის ზემოთა ჩარგზედ დავადებთ ორკაპა ტყვიის მაშას და ქვევით ჩამოვწევთ. ამ დროს ჩვენ საშვილოსნოს ყელს და თაღებს ვასუთავებთ სპირტის და იოდის ხსნარის წასმით, შემდეგ კი ზონდის საშუალებით ვგებულობთ საშვილოსნოს სიდიდესა და მის მდებარეობას, როდესაც სიდიდე და მდებარეობა გამოკვლეული ვაკეს, საშვილოსნოს ყელს ვაგანიერებთ Hegar-ის ჩხიორებით. გაგანიერებას ვიწყებთ Hegar-ის № 1-დგან და ავდივართ № 20—22-დე (გაგანიერებას ვაწარმოებო, სიფრთხილით და ხანდაზმით). როდესაც საშვილოსნოს ყელი გაგანიერებიული ვაკეს სასურველ დონეზედ, რეზინის ბალონს, რომელიც წინასწარ გაუსნებოვანებული ვაკეს, შევახვევთ მაგრად და ისე შევიტან საშვილოსნოს ღრუში; საშვილოსნოს ღრუში შეტანილ ბალონში დიდი შპრიცის საშუალებით ვასხამდ გაუსნებოვანებულ სითხეს მანამდე, სანამ სითხის ოდენობა თითქმის არ უახლოვდება ბალონის ჩამტეობას (ბალონის ჩამტეობა ჩვენ წინასწარ გვაქს შესწავლილი). შემდეგ ბალონის ყელს მაგრად გადავსკვნით, რომ სითხე ბალონში მოთავსებული არ დაიღვაროს, ვაკეთებთ საშოს ტამპონაციის და ავადმყოფი გადაგვიავს საწოლზედ, ვაწვენთ გულამა და მეტრეირინტერის ყელს ვაბამთ მარლის ბანდის საშულებით რაიმე სიმძიმეს, რომელიც გადასწვდება საწოლის ფერნითი კიდეს, ვადაივლის იქ სპეციალურად ამისათვის მოწყობილ ჭაღზედ და დადაეშვება ძირს იატაკისაკენ (სიმძიმე უდრის დაახლოვებით 1—2 კილოს) სიმძიმე, რასაკვირველია, იატაკს არ უნდა ეხებოდეს, მას უნდა ქონდეს თაგისი სიმძიმის შემწეობით თანდათან ქვევით ჩამოიწიოს მანამდე—სანამ ბალონი (მეტრეირინტერი) საშვილოსნოს ღრუდან არ გამოვარდება. ასეთს მდგომარეობაში ივადმყოფს ვსროვებს და თვალყურს ვადევნებთ, თუ როდის დაეწყება მუცლის ტევილი, შეტევით, მოვლითი ხასიათისა.

ამავე დროს ჩვენ გვაინტერესებს ავადმყოფის t<sup>0</sup>, მაჯა, გულის ცემა, გუნებ-განწყობილება და იმის და მიხედვით თუ რა გართულება დაერთობა ავადმყოფს ვღებულობთ შესაფერ ზომებს. აღსანიშნავია, რომ უმთავრეს შემთხვევაში არავითარი გართულება არ მოყვება მეტრეირინტერის საშვილოსნოში შეტანას, გარდა იმისა რომ ძლიერ იშვიათს შემთხვევაში აიწევს ხოლმე t<sup>0</sup> მეტრეირინტერის

მეთოდი საშვილოსნოს ღრუში ბალონის შეტანისა მრავალგვარია, ბალონის საშვილოსნოში შესატანად სპეციალური მაშებიც კი იყო მოვონილი; მე მათ ოღწერას აქ არ შეუდგები, მხოლოდ მოკლედ აღწერ იმ მეთოდს, რომელსაც ჩვენი კლინიკა მიზანშეწონილად სთვლის და საჭიროების დროს მიმართავს ხოლმე. როდესაც ჩვენ გადავწყვეტთ, რომ ივათმყოფს ამა თუ იმ მიზეზის გამო გაუკეთოთ შეტრეირიზი, ისეთს შემოხვევაში, როდესაც ავათმყოფი ნამშობიარები არ არის, ან დიდინის ნამშობიარებია და გვეშინია საშვილოსნოს ყელის გახევის გაგანიერების დროს მისი სიმკვრივის გამო, ჩვენ ავადმყოფს საშოში უდებთ წინადლით ცამპონს რათა ცამპონმა გააღიზიანოს და გაარბილოს საშვილოსნოს ყელი, რომ შემდეგში გაგანიერების დროს უფრო ნაკლები შიში გვქონდეს ყელის გახევისა. აღნიშნული მომზადების შემდეგ ავადმყოფი აგვიავს საპერაციო მაგიდაზედ, გარეთა და შიგნითა სასქესო ორგანოებს ენერგიულად ვბანთ საპნით, შემდეგ სულემის ხსნარით გამოვრეცხთ. ამის შემდეგ საშოში შეტანილ სარკების შემწეობით გამოვაჩენთ საშვილოსნოს ყელს, რომლის ზემოთა ჩარგზედ დავადებთ ორჯაპა ტყვიის მაშას და ქვევით ჩამოვწევთ. ამ დროს ჩვენ საშვილოსნოს ყელს და თაღებს ვასუფთავებთ სპირტის და იოდის ხსნარის წასმით, შემდეგ კი ზონდის საშუალებით ვეგბულობთ საშვილოსნოს სიდიდესა და მის მდებარეობას, როდესაც სიდიდე და მდებარეობა გამოკვლეული გვაქვს, საშვილოსნოს ყელს ვაგანიერებთ Hegar-ის ჩხირებით. გაგანიერებას ვიწყებთ Hegar-ის № 1-დგინ და ავდივართ № 20—22-მდე (გაგანიერებას ვაწარმოებოთ, სიფრთხილით და ხანდაზმით). როდესაც საშვილოსნოს ყელი გაგანიერებიული გვაქვს სასურველ დონემდე, რეზინის ბალონს, რომელიც წინასწარ გაუსნებოვანებული გვაქვს, შევაზვევთ მაგრად და ისე შევიტანთ საშვილოსნოს ღრუში; საშვილოსნოს ღრუში შეტანილ ბალონში დიდი შპრიცის საშუალებით ვასხამდ გაუსნებოვანებულ სითხეს მანამდე, სანამ სითხის ოდენობა თითქმის არ უახლოვდება ბალონის ჩამტეობას (ბალონის ჩამტეობა ჩვენ წინასწარ გვაქს შესწავლილი). შემდეგ ბალონის ყელს მაგრად გადავსკვნით, რომ სითხე ბალონში მოთავსებული არ დაიღვაროს, ვაკეთებთ საშოს ტამპონაციას და ავადმყოფი გადავვყავს საწოლზედ, ვაწვენთ გულაღმა და მეტრეირინტერის ყელს ვაბამთ მარლის ბანდის საშულებით რამე სიმძიმეს, რომელიც გადასწვდება საწოლის ფერხითი კიდეს, ვაღაივლის იქ სპეციალურად ამისათვის მოწყობილ ჭალზედ და დადაეშვება ძირს იატაკისაკენ (სიმძიმე უდრის დაახლოვებით 1—2 კილოს) სიმძიმე, რასაკვირველია, იატაკს არ უნდა ეხებოდეს, მას უნდა ქონდეს თავისი სიმძიმის შემწეობით თანდათან ქვევით ჩამოიწიოს მანამდე—სანამ ბალონი (მეტრეირინტერი) საშვილოსნოს ღრუდან არ გამოვარდება. ასეთს მდგომარეობაში ავადმყოფს ვსროვებს და თვალყურს ვადევნებთ, თუ როდის დაეწყება მუცლის ტკივილი, შეტევით, მოვლითი ხასიათისა.

ამავე დროს ჩვენ გვაინტერესებს ავადმყოფის t<sup>0</sup>, მაჯა, გულის ცემა, გუნებ-განწყობილება და იმის და მიხედვით თუ რა გართულება დაერთობა ავადმყოფს ვლებულობთ შესაფერ ზომებს. აღსანიშნავია, რომ უმთავრეს შემოხვევაში არავითარი გართულება არ მოყვება მეტრეირინტერის საშვილოსნოში შეტანას, გარდა იმისა რომ ძლიერ იშვიათს შემთხვევაში აიწევს ხოლმე t<sup>0</sup> მეტრეირინტერის

მეთოდი საშვილოსნოს ღრუში ბალონის შეტანისა მრავალგვარია, ბალონის საშვილოსნოში შესატანად სპეციალური მაშებიც კი იყო მოვონილი; მე მათ ოღწერას აქ არ შეუდგები, მხოლოდ მოკლედ აღწერ იმ მეთოდს, რომელსაც ჩვენი კლინიკა მიზანშეწონილად სთვლის და საჭიროების დროს მიმართავს ხოლმე. როდესაც ჩვენ გადავწყვეტთ, რომ ავათმყოფს ამა თუ იმ მიზეზის გამო გაუკეთოთ შეტრეირიზი, ისეთს შემოხვევაში, როდესაც ავათმყოფი ნამშობიარები არ არის, ან დიდინის ნამშობიარებია და გვეშინია საშვილოსნოს ყელის გახევის გაგანიერების დროს მისი სიმკვრივის გამო, ჩვენ ავადმყოფს საშოში უდებთ წინადლით ცამპონს რათა ცამპონმა გააღიზიანოს და გაარბილოს საშვილოსნოს ყელი, რომ შემდეგში გაგანიერების დროს უფრო ნაკლები შიში გვქონდეს ყელის გახევისა. აღნიშნული მომზადების შემდეგ ავადმყოფი აგვიავს საპერაციო მაგიდაზედ, გარეთა და შიგნითა სასქესო ორგანოებს ენერგიულად ვბანთ საპნით, შემდეგ სულემის ხსნარით გამოვრეცხთ. ამის შემდეგ საშოში შეტანილ სარკების შემწეობით გამოვაჩენთ საშვილოსნოს ყელს, რომლის ზემოთა ჩარგზედ დავადებთ ორჯაპა ტყვიის მაშას და ქვევით ჩამოვწევთ. ამ დროს ჩვენ საშვილოსნოს ყელს და თალებს ვასუფთავებთ სპირტის და იოდის ხსნარის წასმით, შემდეგ კი ზონდის საშუალებით ვეგბულობთ საშვილოსნოს სიდიდესა და მის მდებარეობას, როდესაც სიდიდე და მდებარეობა გამოკვლეული გვაქვს, საშვილოსნოს ყელს ვაგანიერებთ Hegar-ის ჩხირებით. გაგანიერებას ვიწყებთ Hegar-ის № 1-დგინ და ავდივართ № 20—22-მდე (გაგანიერებას ვაწარმოებოთ, სიფრთხილით და ხანდაზმით). როდესაც საშვილოსნოს ყელი გაგანიერებიული გვაქვს სასურველ დონემდე, რეზინის ბალონს, რომელიც წინასწარ გაუსნებოვანებული გვაქვს, შევაზვევთ მაგრად და ისე შევიტანთ საშვილოსნოს ღრუში; საშვილოსნოს ღრუში შეტანილ ბალონში დიდი შპრიცის საშუალებით ვასხამდ გაუსნებოვანებულ სითხეს მანამდე, სანამ სითხის ოდენობა თითქმის არ უახლოვდება ბალონის ჩამტეობას (ბალონის ჩამტეობა ჩვენ წინასწარ გვაქს შესწავლილი). შემდეგ ბალონის ყელს მაგრად გადავსკვნით, რომ სითხე ბალონში მოთავსებული არ დაიღვაროს, ვაკეთებთ საშოს ტამპონაციას და ავადმყოფი გადავვყავს საწოლზედ, ვაწვენთ გულაღმა და მეტრეირინტერის ყელს ვაბამთ მარლის ბანდის საშულებით რამე სიმძიმეს, რომელიც გადასწვდება საწოლის ფერხითი კიდეს, ვაღაივლის იქ სპეციალურად ამისათვის მოწყობილ ჭალზედ და დადაეშვება ძირს იატაკისაკენ (სიმძიმე უდრის დაახლოვებით 1—2 კილოს) სიმძიმე, რასაკვირველია, იატაკს არ უნდა ეხებოდეს, მას უნდა ქონდეს თავისი სიმძიმის შემწეობით თანდათან ქვევით ჩამოიწიოს მანამდე—სანამ ბალონი (მეტრეირინტერი) საშვილოსნოს ღრუდან არ გამოვარდება. ასეთს მდგომარეობაში ავადმყოფს ვსროვებს და თვალყურს ვადევნებთ, თუ როდის დაეწყება მუცლის ტკივილი, შეტევით, მოვლითი ხასიათისა.

ამავე დროს ჩვენ გვაინტერესებს ავადმყოფის t<sup>0</sup>, მაჯა, გულის ცემა, გუნებ-განწყობილება და იმის და მიხედვით თუ რა გართულება დაერთობა ავადმყოფს ვლებულობთ შესაფერ ზომებს. აღსანიშნავია, რომ უმთავრეს შემოხვევაში არავითარი გართულება არ მოყვება მეტრეირინტერის საშვილოსნოში შეტანას, გარდა იმისა რომ ძლიერ იშვიათს შემთხვევაში აიწევს ხოლმე t<sup>0</sup> მეტრეირინტერის

საშვილოსნოს ღრუში შეტანის რამოდენიმე საათის შემდეგ. რაც დამოკიდებული უნდა იყოს საშვილოსნოდგან გამონადენი სერიოზული სითხის შეწრუდვაზე, ვინაიდან ამ სითხეს ბალონის საშვილოსნოს ყელში არსებობის გამო არ აქვს ნორმალური გზა მდინარეობისათვის და ამის გამო ხდება მათი საშვილოსნოს ქვემო სემეტში დაგროვება და შექრუტვა.

ასეთს შემთხვევაში და მით უმეტეს, თუ თქვენ ეჭვი გაქვთ რამე ინფექციაზედ მეტრეირინტერი უნდა გამოილოთ საშვილოსნოდგან და  $t^0$ -ც თუ ის სეპტიოური არ არის დაეცემა და შემდებარება აღარ აიშევს. ჩვენს კლინიკაში მიღებული გვაქვს მეტრეირიზიზი საშვილოსნოს ღრუში 12 საათის მეტი არ დავტოვოდ თუნდაც  $t^0$  ნორმალური იყოს და თუ  $t^0$ -მა აიშია მაშინ ბალონი გამოგვაქვს 8 საათის შემდეგ ან უფრო დარე.

ზემოდ ნათქვამის შემდეგ მე განვიხილავ ჩვენი კლინიკის იმ შემთხვევებს, სადაც მეტრეირიზისათვის მიგვიმართავს და აღვნიშნავს მის დადებით და უარყოფით შედეგებს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნ კლინიკაში 1920 წლიდან 1925 წლის 20 მაისამდე მეტრეირიზი ყოფილა სულ 53 შემთხვევაში ხმარებული.

მეტრეირიზი გვიხმარია ნააღრევად მშობიარეობის გამოსაწვევად სხვადასხვა ჩვენების გამო 12 შემთხვევაში.

ერთხელ კი ღრუშლ მშობიარეობის ღროს შეჩერებულ ტკიფილების აღსაძვრელად. მუცლის გაცუდების მიზნით მეტრეირიზისათვის მიგვიმართავს 40 შემთხვევაში; ჩვენების დამიხედვით ეს შემთხვევები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

1. Placenta praevia . . . . .	8	შემთხ.
2. Abortus incompletus . . . . .	8	"
3. Eclampsia . . . . .	6	"
4. T. B. C. Pulm. . . . .	5	"
5. Nephritis acut . . . . .	4	"
6. Hyperemesis Gravidar . . . . .	2	"
7. გულას მანკი . . . . .	4	"
8. სოციალური ჩვენება . . . . .	3	"

ს უ ლ . . . . . 40 შემთხვევა.

ერთს შემთხვევაში, როდესაც ავაღმყოფა შემოვიდა კლინიკაში ქონდა ძლიერი სისხლის დენა, იყო მათვის ორსული და აღნიშნავდა, რომ მას ეს სისხლის დენა აუტყდა სრულიად უმიზეზოდ Mirion-ის შეშაბუნების შემდეგ. აღნიშნულ პრეპარატს ავაღმყოფი ლებულობდა ჯირკვლების ტუბერკულოზის ჭინააღდეგ, რომლითაც ის იყო შეცყრობილი.

მეორე შემთხვევაში ნეფრიტთან ერთად ავაღმყოფს ქონდა მალარიის შეტევებიც.

მეტრეირინტერი შეტანილი საშვილოსნოს ღრუში მისი ყელის გასაგანიერებლად—თავისით გამოვარდნილა საშვილოსნოს ღრუდან  $57\%$ -ში, ჩვენ გამოგვილია  $t^0$  მომატების ან რამე სასწრაფო მიზეზის გამო  $43\%$  შემთხვევაში

შეტრეიირონტერის გამოვარდნის თუ გამოლების შემდეგ საშვილოსნოს ყელი გახსნილი აღმოჩნდა:

1. መრახევარ თითზედ . . . . .	12	შემთხვევაში.
2. სამ თითზედ . . . . .	10	"
3. სამნახევარ თითზედ . . . . .	14	"
4. ოთხ თითზედ . . . . .	9	"
5. სრული გახსნით . . . . .	8	"

ის დრო, რაც მეტრეირინტერი ყოფილა საშვილოსნოს ორუში დატოვებული შუათანა რაცხვი უდრის 6 ს. 45 წუთს. (განმეორებით აღვნიშნავ, რომ ჩვენ 12 საათზედ მეტს არა ვსტოვებთ მეტრეირინტერს საშვილოსნოში და ხშირად სხვადასხვა მოსაზრებით თუ სხვადასხვა მიზეზების გამო 8 საათზედ გამოგვერდა ხოლმე).

სანაყოფო ბუშტი ხელოვნურად გავიხვევია მეტრეარინტერის გამოვარდნისა თუ გამოღების შემდეგ პა შემთხვევაში და შემდეგ გვიწარმოებია ნაყოფის ფეხზედ მობრუნებბა პა ჯერ, ორჯერ კი ნაყოფი მოუბრუნებლად კორნცანგით გამოვგილია. ორს შემთხვევაში სანაყოფო ბუშტი საშვილოსნოს ყელის გაგანიერების დროს უნებურად გაგეხვევია Hegar-ის ჩხირით. 16 შემთხვევაში სანაყოფო ბუშტი თავისით გამსკდარა და ამას მოყოლია ბუნებრივი ძალებით ნაყოფის გამოქვება.

კველა პვ შემთხვევიდან ცოცხალი ნაყოფი დაბალებულა 14 ე. ი. 26.4%, აქედან გარდაცვლილა 5 ე. ი. 35.7% / 0. 9 კი ე. ი. 64.2% ცოცხალი გაუყვანიათ კლინიკიდან, მათ შორის 4 ე. ი. 44.4% დროლი, 5 კი ე. ი. 55.5% დღენაკლინი.

მკვდარი დაბადებულა 39 ე. ი. 73.2%, ნაყოფისათვის ფეხზედ მობრუნების შემდეგ მომდევნო თავის პერფორაცია გაგვიკეთებია, 33 ნაყოფისათვის ე. ი. 84.3%, 4 კორნცანგით გამოგვიტანია, ერთისათვის მაშები დაგვიდებს, ერთ შემთხვევაში კი გვიწარმოებია წინამდებარე თავის პერფორაცია.

აგილმყოფები ამ ოპერაციის შემდეგ იწვენ კლინიკაში საერთოდ 9, 4 დღეს; ამ ხნის განმავლობაში უმაღლესი საშუალო  $t^0$  უდრიდა  $36.1\ ^\circ\text{C}$ . უნდა აღვნიშნო, რომ 9,4 დღეს საავადმყოფოში დარჩენა ამ ოპერაციის შემდეგ ძალიან დიდ დროთ უნდა ჩაითვლოს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს აიხსნება ძიგი გარემოებით, რომ საერთო დროის ჯამი გაადიდა ერთმა ექლამბსით დაავადებულმა, რომელიც კლინიკაში იწვა 17 დღე.

მეორე შემთხვევა კიდევ ეკლამპსიანი, რომელსაც დაერთო, როგორც  
გართულება—ფრიქოზი. ამ ივაღმყოფის სპეციალურ სამკურნალოში მოთავსება  
მოვახერხება მხოლოდ 28 ლიტ შემდეგ მისი კლინიკაში მოყვანისა.

მესამე შემთხვევა კი ეხება ფილტგების ტუბერკულოზით შეპარობილ ქალს, რომელიც თავს ძლიერ ცუდათ გრძნობდა, პროცესი სწრაფად ვითარდებოდა და თერაპევტიზმის რჩევით მე-12 დღეს იქნა გადაყვანილი სხვა საავადმყოფოში.

ანამნეზიდან სჩანს, რომ ავალმყოფს სახლში მაღალი  $t^0$  ( $38.1^{\circ}\text{C}$ .) ქონია და კლინიკური მოსვლის რამოდენიმე დღით ადრე პირიდან სისხლი ამოულებინებია. აქედან ხაზგასმით მინდა ალვინიშნო, რომ ჩეცნს 53 შემთხვევაში. როდესაც ხმარე-

მეტრეირინტერის გამოვარდნის თუ გამოლების შემდეგ საშეილოსნოს ყელი კახსნილი აღმოჩნდა:

ის დრო, რაც მეტრეირინტერი ყოფილა საშვილოსნოს ორუში დატოვებული შუათანა რაცხვი უდრის 6 ს. 45 წუთს. (განმეორებით აღვნიშნავ, რომ ჩვენ 12 საათზედ მეტს არა ვსტოვებთ მეტრეირინტერს საშვილოსნოში და ხშირად სხვადასხვა მოსაზრებით თუ სხვადასხვა მიზეზების გამო 8 საათზედ გამოგვერდა ხოლმე).

სანაყოფო ბუშტი ხელოვნურად გავიხვევია მეტრეარინტერის გამოვარდნისა თუ გამოღების შემდეგ პა შემთხვევაში და შემდეგ გვიწარმოებია ნაყოფის ფეხზედ მობრუნებბა პა ჯერ, ორჯერ კი ნაყოფი მოუბრუნებლად კორნცანგით გამოვგილია. ორს შემთხვევაში სანაყოფო ბუშტი საშვილოსნოს ყელის გაგანიერების დროს უნებურად გაგეხვევია Hegar-ის ჩხირით. 16 შემთხვევაში სანაყოფო ბუშტი თავისით გამსკდარა და ამას მოყოლია ბუნებრივი ძალებით ნაყოფის გამოქვება.

კველა პვ შემთხვევებიდან ცოცხალი ნაყოფი დაბალებულია 14 კ. ი. 26.4%,  
აქედან გარდაცვლილა 5 კ. ი. 35.7% / 0. 9 კი კ. ი. 64.2% ცოცხალი გაუყვანიათ  
კლინიკიდან, მათ შორის 4 კ. ი. 44.4% დროლი, 5 კი კ. ი. 55.5% დღენაკ-  
ლიტო.

მკვდარი დაბადებულა 39 ე. ი. 73.2%, ნაყოფისათვის ფეხზედ მობრუნების შემდეგ მომდევნო თავის პერფორაცია გაგვიკეთებია, 33 ნაყოფისათვის ე. ი. 84.3%, 4 კორნცანგით გამოგვიტანია, ერთისათვის მაშები დაგვიდებს, ერთ შემთხვევაში კი გვიწარმოებია წინამდებარე თავის პერფორაცია.

აგილმყოფები ამ ოპერაციის შემდეგ იწვენ კლინიკაში საერთოდ 9, 4 დღეს; ამ ხნის განმავლობაში უმაღლესი საშუალო  $t^0$  უდრიდა  $36.1\ ^\circ\text{C}$ . უნდა აღვნიშნო, რომ 9,4 დღეს საავადმყოფოში დარჩენა ამ ოპერაციის შემდეგ ძალიან დიდ დროთ უნდა ჩაითვლოს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს აიხსნება ძიგი გარემოებით, რომ საერთო დროის ჯამი გაადიდა ერთმა ექლამბსით დაავადებულმა, რომელიც კლინიკაში იწვა 17 დღე.

მეორე შემთხვევა კიდევ ეკლამპსიანი, რომელსაც დაერთო, როგორც  
გართულება—ფრიქოზი. ამ ივაღმყოფის სპეციალურ სამკურნალოში მოთავსება  
მოვახერხება მხოლოდ 28 ლიტ შემდეგ მისი ქლინიკაში მოყვანისა.

მესამე შემთხვევა კი ეხება ფილტვების ტუბერკულოზით შეპყრობილ ქალს, რომელიც თავს ძლიერ ცუდათ გრძნობდა, პროცესი სწრაფად ვითარდებოდა და ორაპერატორის რჩევით მე-12 დონეს იქნა გადაყვანილი სხვა საავადმყოფოში.

ანამნეზიდან სჩანს, რომ ავალმყოფს სახლში მაღალი  $t^0$  ( $38.1^{\circ}\text{C}$ .) ქონია და კლინიკური მოსვლის რამოდენიმე დღით ადრე პირიდან სისხლი ამოულებინებია. ავეთ ხაზგასმით მინდა ალვინიშნო, რომ ჩვენს 53 შემთხვევაში. როდესაც ხმარე-

ბული იყო მეტრეირიზი არ მოგვდომია არც ერთი მშობიარე და მათ არც ოპერაციის დროს და არც ოპერაციის შემდეგ არავითარი თვალსაჩინო გართულება არ დაჰყოლიათ.

ზემოდ მოყვანილ ჩვენი მასალების გადათვალიერების და შეფასების შემდეგ, ჩემს თავს ნებას ვაძლევ გამოვიტანო შემდეგი დასკვნები მეტრეირიზის მნიშვნელობის შესახებ მეანობაში:

I. ჩვენი მასალის მიხედვით მეტრეირიზის ხმარების დროს დედათა სიკვდილიანობა უდრის 0 %, ნაყოფისა კი 35.7%.

II. მეტრეირიზი ერთ უძვირფასესთაგანია სამეანო ოპერაციათა შორის,— რომელსაც უნდა მიმართავდეს პრაქტიკი ექიმი, თუ მას სურს მოფრთხილებით, უვნებლათ და შედარებით სწრაფად საშვილოსნოს ყელის გაგანიერება.

III. საშვილოსნოს ყელის გასაგანიერებელი ბალონი პრაქტიკ ექიმს მუდამ თან უნდა ქონდეს სხვა სამეანო იარაღებთან ერთად, როგორც უსაჭიროესი ხელ-საწყო ყოველდღიურს პრაქტიკაში.

IV. მეტრეირიზის საშუალებით საშვილოსნოს ყელის გაგანიერება ძლიერ უახლოვდება ფიზიოლოგიურს და თუ ეს ოპერაცია არის სასურველად წარმოებული სრულიად უსაშიშროა დედისათვის.

V. მეტრეირიზი უნდა იხმარებოდეს კველა იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა რაიმე მიზეზის გამო მუცლის გაცუდება 3 თვეზედ გვიან ან საჭიროა ნააღრევი მშობიარეობის გამოწვევა და კიდევ იმ შემთხვევებში როდესაც საჭიროა საშვილოსნოს ყელის შედარებით სწრაფი გახსნა.

VI. მეტრეირიზინტერმა საშვილოსნოს ღრუში შეტანილმა, კიბლარის წინამდებარეობის დროს შეიძლება ეს უკანასკვნელი ააცილოს მენჯის ძვალოვან ნაწილზედ მიჰყლეტას და ამით ნაყოფიც გადაარჩინოს დაღუბვას.

VII. მომყოლის სრული წინამდებარეობის დროს, როდესაც ძლიერი სისხლის დენა არის, მეტრეირიზის ხმარებას უნდა უფრთხილდეთ ვიდრე სხვა შემთხვევებში.

დასასრულ ულრმეს მადლობას, ვსწირავ ძვირფას მასწავლებელ პროფესიონ. ი. ე. თიკანაძეს, რომელმაც არამც თუ ნება დამრთო კლინიკის მასალებით მესარგებლა, არამედ უშუალო ხელმძღვანელობასაც კი მიწევდა მის დამუშავებაში.

### ლიტერატურა:

1. Проф. В. В. Стrogанов.— „Сборник акушерских задач“ за 1914 г.
2. М. П. Рогов— „Метрейриз в акушерстве“ за 1914 г.
3. И. Брудняк— „к вопросу о применении кольпейриза при лечении выворота матки“ Дисерт. 1895 г.
4. А. А. Новицкий— „Способы родоразрешения при узком тазе“ Дис. 1892 г.
5. С. Х. Фихтнер. „К вопросу о терапии родов при узком тазе“ Дис. 1910 г.

6. Е. Д. Подгорецкий. „hysterotomy vaginalis“ Дис. 1912 г.
7. Н. И. Побединский „Материалы к учению о предлежании детского места“ Дисер. 1894 г.
8. Н. А. Дмитровский. „Механическое расширение матки на трупах“. Экспериментальное исследование Дис. 1895 г.
9. M. Hofmeier: Die Künstliche Untereichung der Schwangerschaft 1925 წ.
10. В. В. Строганов. „О Метреиризе“ Жур. Акушерства и Женских болезней за 1902 г.
11. В. Кочевецкий „О Метреиризе“ Журнал Акушерства и Женских болезней за 1905 г.
12. С. В. Цехановский. „Материалы к статистике искусственных преждевременных родов“ Жур. Акушер. и Женских болезней за 1894 г.
13. Н. И. Побединский. „Искусственное расширение маточного зева“ Журн. Акушерс. и Женских болезней за 1894 г.

## გრ. ხუციშვილი.

კლინიკის ორდინატორი.

### აკენდიციტების შემთხვევები კლინიკის მასალის მიხედვით.<sup>1)</sup>

(ტფილისის უნივერსიტეტის ჰისპიტალური ქირურგიული კლინიკიდან  
 გამგე პროფ. გ. მუხაძე.

1919—25 წლ. კლინიკაში გაუვლია 6708 ქირურგიულ ავადმყოფს, ამათში აპენდიციტით ყოფილი ავად 322, რაც შეადგენს მთელი რაოდებობის 4,9%.

აპენდიციტის შედარებით მცირე 0% ჩვენს მასალაში აიხსნება იმით, რომ ჩვენს კლინიკის ავადმყოფთა კონტინგენტს შეადგენს უმთავრესად პროვინციებიდან ჩამოსულნი (უფრო მეტი სოფლებიდან), ხოლო უკანასკნელთა შორის აპენდიციტი შედარებით იშვიათი მოვლენაა. ეს გარემოება ჩვენის აზრით უნდა აიხსნას იმით, რომ სოფლელი ექიმს საერთოდ ძლიერ იშვიათად მიმართავს ხოლმე, მეტადრე ისეთ ავადმყოფობის გამო, როგორიც არის აპენდიციტი, რომელიც თუ ქრონიკულ მდგომარეობაში გაღავიდა უმეტეს შემთხვევაში არც თუ ისე ძლიერ აწუხებს ავადმყოფს. სოფლელი ექიმს უფრო ხშირად მიმართავს, როდესაც ავადმყოფობა თავისი გართულებით მას საშიშ მდგომარეობაში ჩააყენებს.

მისალებია მხედველობაში ის გარემოებაც, რომ პროგრინციაში მყოფი დოსტაქრები თვითონ აწარმოებენ ავერაციებს ხსნებულ დავადების გამო და ჩვენთან აგზავნიან შეტ. წილად ისეთ ქირურგიულ შემთხვევებს, რომელთა გატარება სხვადასხვა მიზეზების გამო ადგილობრივ ძნელია.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია აგრეთვე სოფლის კვებაც. თუ გავითვალისწინებთ უკანასკნელ ხანებში წამოყენებულ ე. წ. ალიმენტარულ თეორიას, უნდა გიფიქროთ, რომ სოფლელები შორის საერთოდ, აპენდიციტი შედრებით იშვიათი მოვლენა უნდა იყოს, რადგან ისინი უმთავრესად ნახშირწყლოვან ნივთიერებით იქვებებიან.

ყოველ შემთხვევაში აპენდიციტით დაავადებული სოფლელი ჩვენს მასალაში ძლიერ მცირეა, 322 აპენდიციტის შემთხვევიდან სოფლელი მხოლოდ 28, ე. ი. 8,6%. თუ გავიხსნებთ, რომ სოფლელები ჩვენ ავადმყოფთა საერთო რიცხვის დიდ რაოდენობას შეადგენენ და ჯანმრთელობის სახალხო კომისრის განკარგულებისამებრ მათ პირველ რიგშიც ვიღებთ საავადმყოფოში, მაშინ ზემოდმყვანილ ციფრებს შორის განსხვავება უფრო თვალსაჩინო იქნება.

<sup>1)</sup> მოხსენდა ქირურგთა კონფერენციის სხდომაშე ა/ჭ. 15 აპრილს.

წლების მიხედვით ჩვენი აპენდიციტების შემთხვევები ნაწილდება შემდეგ-ნაირად:

1919	1920	1921	1922	1923	1924
13	41	39	57	92	80

მოყვანილი ცხრილი ნათლად გვიჩვენებს აპენდიციტების რიცხვის თანდა-თანობით ზრდას, რომელიც უფრო დიდია 1922, 23 და 24 წლ., მიუხედავათ იმისა, რო აღნიშნულ წლებში ტფილისში დაარსდა კიდევ სხვა ახალი ქირურ-გიული დაწესებულებანი.

წლოვანობის მიხედვით ჩვენი შემთხვევები ნაწილდება:

1—10 წ.	11—20 წ.	21—30 წ.	31—40 წ.	41—50 წ.	51—60 წ.
7	78	147	65	18	7

ვინაიდან ჩვენი კლინიკა ემსახურება მხოლოდ მოზრდილთ, ამიტომ ბავშვებს იშვიათად ვხედებით. ზემოდ მოხსენებული 7 შემთხვევა (1—10 წლ.) არის შემთხვევითი და არ შეიძლება ჩაითვალოს იმის მაჩვენებლად, თუ რამდენად ხშირად გვხვდება აპენდიციტი აღნიშნულ წლებში. ავაღმყოფთა ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის 21—30 წლ., რაც საესებით ესაბამება ყველა დღემდე არსებულ სტატისტიკას. 40 წლ. შემდევ აპენდიციტების რიცხვი, როგორც ჩვენი, ისე სხვა სტატისტიკის მიხედვითაც, საერთოდ ძლიერ კლებულობს.

სქესის მიხედვით განაწილების დროს ვიღებთ ასეთ ციფრებს:

მამობრივი დედობრივი

129 193

როგორც ჩვენი მასალიდან სჩანს, დედაკაცთა რიცხვი შესამჩნევად აღემა-ტება მამაკაცთა რიცხვს და შესაბამება ისე, როგორც  $1,5 : 1$  ამავე დროს ძვე-ლი სტატისტიკის მიხედვით მამაკაცები გაცილებით ტშირად ხდებიან ავად აპენ-დიციტით, რასაც ხსნიდენ მამაკაცთა დანამატის უფრო სუსტი კვებით და იმ მძიმე მუშაობით, რომელსაც მამაკაცები დედაკაცებზე ხშირად ეწევიან.

Talamon-ი მაგალითად, მამაკაცთა და დედაკაცთა შორის აპენდიციტის სიხშირის შესახებ იძლევა შემდევ შედარებას პირველთა სასარგებლოდ— $4 : 1$ . Sonnenburg-ს ამ მხრივ მოულია უფრო მცირე განსხვავება, მაგრამ მაინც მამა-კაცთა სასარგებლოდ— $1,5 : 1$ .

ჩვენთვის საყურადღებო ნიტკინ-ის სახელობის მოსკოვის საავადმყოფოში ექ. Нейман-ის მიერ 1924 წელში შექრებილი 10 წლ. მასალა აპენდიციტების შესახებ. ამის მიხედვით განსხვავება მამაკაცთა და დედაკაცთა შორის უკანას-კნელთა სასარგებლოდ კიდევაც უფრო მეტია, ვიდრე ჩვენს მასალაში:

ჩვენს მასალაში ბორტ. სახ. საავადმყ. მასალ. მიეხედვით

$1 : 1,5$ . 1 : (თითქმის) 2.

ექ. Нейман-ის აზრით ამის მიხეზი არის მამაკაცთა უმრავლესობის ჯარში გაწვევა ომების გამო; ეს სწორედ ის წლებია, რომლებიც აპენდიციტით ავად-მყოფთა უმრავლესობას იძლევა, ე. ი. 20—30 წ. წ.

შეიძლება ამ მოვლენას ჩვენი შემთხვევებისათვისაც ქონდეს რაიმე მნიშვ-ნელობა, მაგრამ მთელი რიგი წინააღმდეგობის გამო (მაგ. მშვიდობიან წლებში დედაკაცთა მაინც ჭარბობა) ჩვენს მასალაში, რასაც აღნიშნავენ აგრეთვე სხვა.



ავტორებიც, მოხსენებული საკითხი უნდა ჩაითვალოს ჯერ-ჯერობით სადაცოდ, რომელიც მოითხოვს ბეჯით დაკვირვებას და შესწავლას.

დაავადების ხანგრძლივობის მხრივ ჩვენი შემთხვევები ნაწილდება ასე: 6 თვეშდე — 116 შემთხვევა; 1 წლამდე 66 შემთხვევა და რამდენიმე წელიწადი — 116 შემთხვევა.

ყველაზე მცირე დრო ავადმყოფობის დაწყებიდან უდრის 2 საათს, ხოლო ყველაზე დიდი 20 წელიწადს.

რაც შეეხება კლინიკური სურათის მსვლელობას შეტევათა რიცხვის და სიმძლავრის მიხედვით, ვიღებთ შემდეგს: ერთი მძლავრი შეტევა გადაიტანა 99 კაცმა; განმეორებითი მძლავრი შეტევა 139 კაცმა; განმეორებით მსუბუქი შეტევა — 36 კაცმა. დანარჩენ 48 შემთხვევაში შეტევათა რიცხვი და სიმძლავრე არ არის ნაჩვენები.

მტკივნეულ წერტილების კლინიკურ ლირებულების შესახებ აპენდიციტის დროს, ჩვენი მასალის მიხედვით რაიმე საბოლოო დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, რაღაც კლინიკაში ამ მხრივ ერთი ყველასათვის სავალდებულო წესი შემოღებული არ ყოფილა. მასალიდან სჩანს, რომ კლინიკის თანამშრომელნი არ აქცევდენ ყურადღებას ერთ რომელიმე სიმპტომს. ისეთი შეშთხვევები კი სადაც ერთსა და იმავე ავადმყოფის შესახებ რამოდენიმე სიმპტომი იყოს ნაჩვენები, ძლიერ ცოტაა.

მტკივნეული წერტილები და მიღებული შედეგი:

Mk—Bourney-s	სიმპტომი	ყოფილა	დადებითი	177	შემთხ.
" "	"	"	უარყოფითი	6	"
Rovsing-ის	"	"	დადებითი	30	"
"	"	"	უარყოფითი	10	"
Lanz-ის	"	"	დადებითი	19	"
Blumberg-ის	"	"	"	9	"
Kummell-ის	"	"	"	5	"

დანამატის ხელით აღნიშვნა ოპერაციამდე პალპაციის საშუალებით ჩვენს მასალაში ყოფილა (სულ 92 შემთხვევა) 74 დადებითი და 18 უარყოფითი შედეგით.

აპენდიციტის პათოგენეზის საკითხი მოითხოვს უფრო ვრცელ განხილვას და ამიტომ ამაზე უფრო დაწვრილებით შევქერდებით.

ჭიაყელასებრივი დანამატის ანთების გამომწვევ მიზეზებს საერთოდ ყოფენ სამ დიდ ჯგუფად: 1. უშუალოდ თვით დანამატზე მომქმედი მიზეზები; 2. ზოგადი მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ მის დაავადებას; 3. და სპეციფიური დაავადებანი.

დიდ მნიშვნელობას აწერენ განავალის ქვებს და გარეშე სხეულებს. ჭიაყელასებრივი დანამატის ანთების გამომწვევ მიზეზად სთვლიან აგრეთვე ჭიებს. Dieulafoy თავისი დახურული ლრუების თეორიით, სადაც ის ამტკიცებს, რომ ბაქტერიები, რომლებიც ნორმალ პირობებში არავითარ ჭიანს არ აყენებენ ორგანიზმს, დახურულ ლრუს პირობებში ვირულენტობის გაზრდის გამო, უკვე საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. ზოგი დანამატის დაავადების მიზეზად სთვლის მის ანატომიურ შენობას სისხლის მიმოქცევის ცუდი პირობებით. უთითებდნენ მის



სიმღილეზე ლიმფოიდური ქსოვილით და კიდევაც ადარებდენ მას ამ მხრივ ნუმისებრივ ჯირკვალს. ზოგი ტრაუმას აქცევს ზედმეტ ყურადღებას და სთვლის მას აპენდიციტის გამომწვევ მიზეზად. ბევრი კი ზედმეტ მნიშვნელობას აწერს კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებას. ზოგი კი მხოლოდ და მხოლოდ გემატოგენური გზით ხსნის მის დაავადებას და ამბობს, რომ დანამატს აქვს ოვისება თავის ღრუში სისხლიდან გამოჰყოს ბაქტერიიები და თუ ამ დროს მისი სანათური დაბულია, — მაშინ ბაქტერიების ვირულენტობა ძლიერდება და იწვევს მის დაავადებას.

ჩვენს მასალაში გემატოგენური გზით გამოწვეული აპენდიციტი არ არის აღნიშნული.

ჩვენი მასალა გვაჩვენებს, რომ აპენდიციტის ეტიოლოგიაში საერთოდ პირველი ადგილი უჭირავს ენტეროგენურ გზას.

კერძოდ, გარეშე სხეულებს რომელიც ჩვენ შეგხვდა ორ შემთხვევაში, (ალუბლის კურკის ნატეხი და ყურძნის კურკა) ისეთი დიდი მნიშვნელობა არ უნდა ქმნდეს.

კლინიკის უკანასკნელი სამი წლის მისალაში განავალის ქვები და ჭიები შეგვხვდა სულ 30 შემთხვევაში. ამათში იყო შემთხვევები, როდესაც განავალის ქვები ან გარეშე სხეულები და ჭიები გვხვდებოდენ ერთად. იყო შემთხვევებიც, სადაც ორი სხვადასხვა ჭია ერთად იყო, მაგ. *oxyuris vermicularis* და *trichocephalus dispar*'ი.

ჩვენს მასალაში აღმოჩნდა:

განავალის ქვები 12 შემთხვევაში.	Trichocephal. disp. . . . .	13 შემთხ.
	Oxyuris vermicul. . . . .	" 3 "
	Tenia solium-ის 2 პროგლოტ. 1	" 1 "

ვფიქრობთ, პირველ სამ წელშიც რომ შეგვესწავლა დანამატის ღრუს შემაღენლობა და აგრეთვე გვეწარმოებინა ყველა შემთხვევაში მიკროსკოპიული გამოკვლევა, — მაშინ ჭიების მიერ გამოწვეული აპენდიციტის შემთხვევები ბევრად გაიზრდებოდა.

აპენდიციტის ხელის შემწყობი მიზეზი — ყაბზობა და კოლიტები ჩვენ ავაღმყოფთა შორის აღნიშნულია 50%.

უკანასკნელ წლებში წამოიკრა ე. წ. ალიმენტარული თეორია, რომლის მიხდვითაც აპენდიციტების წარმოშობის სიხშირისათვის დიდი მნიშვნელობა ქონია საკვები რაციონის შემცირებას და უმთავრესად მცენარეულობას და საერთოდ ნახშირ-წყალოვან ნივთიერებებს. გერმანელი ვეტორები (Bergmann, Hirschmann, Öbner და Hofmann-ი) აღნიშნავენ აპენდიციტისაგან გამოწვეულ სიკვდილიანობის შემცირებას. უკანასკნელ ხანებში Seifert და Augustin's (König's კლინიკიდან) მოყავთ ცხრილი ვაურცელერგიის და ვენის უნივერსიტეტის კლინიკის მსალილან აპენდიციტით დაავადების შესახებ, საიდანაც სჩანს, რომ აპენდიციტი მოიანობის წლებში ძლიერ შემცირებულა. შესადარებლად მოყავთ ნეიტრალურ სახელმწიფოს შევიცარიის ერთ კანტონის ვირტენტურის საავაღმყოფოს მასალა, სადაც შემცირების მაგივრად, აპენდიციტით დაავადებას პირიქით უმატია.



აპენდიციტების შემცირებას ადასტურებენ რუსი ავტორებიც (მაგ. Heraeb-ი (+), Rossinijskiy). ამ მოვლენას ქონია ადგილი აგრეთვე ვოლგის დამშეულთა შორისაც (Великорецкий, Кузнецова—Мануилова და სხვ.).

Великорецкий-ს გადაუთვალიერებია 15606 გაკვეთის ოქმი და დარწმუნებულია, რომ აპენდიციტი 1918 – 22 წ.წ. როგორც სიკვდილის მიზეზი ძლიერ იშვიათი მოვლენა ყოფილა. ალმენტარულ თეორიას სხვათა შორის ამტკიცებს აპენდიციტის გეოგრაფიული გავრცელება. ამერიკა, ინგლისი და საფრანგეთი აპენდიციტით დაავადების მხრივ უცვლელია, ხოლო ავსტრიაში, გერმანიაში და რუსეთში (კერძოდ ვოლგის დამშეულთა შორის) აპენდიციტის რიცხვი შემცირებულია. აღნიშნულ თეორიას ადასტურებს აგრეთვე დიდი ხანია შემჩნეული ეროვნული გავრცელება. მაქსიმალური ჩრდილო ამერიკელებ შორის,—მინიმალური იაპონელებ შორის და უფრო ხშირი დაავადება აღნიშნული სენით უქმედლებში და ორშაბათობით ((Плотинов-ი, Lentz-ი და სხვ.).

ჩვენ რაიმე საბოლოო აზრის გამოთქმა ალმენტარულ თეორიის შესახებ არ შეგვიძლია, ვინაიდან ჩვენში მკურნალობა საერთოდ ფართე მასშტაბით ეხლა იყიდებს ფეხს და ამიტომ ჩვენი აპენდიციტების მასალის შედარება იმ დროსთან, როდესაც არავითარი დამუშავებული მასალა არ არსებობდა, რასაკვირველია, არაფერს მოგვცემს. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენი მასალის მიხედვით სოფლელთა შორის აპენდიციტით უფრო იშვიათ დაავადებას, შეიძლება ითქვას, რომ ალმენტარულ თეორიას მართლაც აქვს ნიაღავი. ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი ძლიერ საინტერესოა და მოითხოვს შემდეგში დაკვირვებას და შესწავლას.

დაავადების ხასიათის მიხედვით ჩვენ აპენდიციტებს კლინიკურად კუთხით, თითქმის ყველგან მიღებულ Sonnenburg ის კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგ სახეებად:

Append. ac.	Appendic. subac.	Appendic. chron.	App. tbc.
47	19	250	6

ამრიგად მწვავე აპენდიციტების რიცხვი ჩვენს მასალაში უდრის 47, ხოლო თუ ამას მიუმატებთ ქვემწვავე აპენდიციტების 19 შემთხვევას, მივიღებთ მწვავე აპენდიციტების ცხ შემთხვევას, რაც შეადგენს აპენდიციტების მთელი რაოდენობის 20,5%.

ნამდვილ მწვავე აპენდიციტის 47 შემთხვევიდან აბერაცია გაკეთდა 33 შემთხვევაში; არ გაკეთდა 14 შემთხვევაში. ამ რიცხვიდან ორი გარდაიცვალა უოპერაციოდ კლინიკაში შემოსვლის პირველ 24 ს. ამ ჯგუფის დანარჩენი 12 შემთხვევა (ავადმყოფობის დაწყების დროს მიხედვით) ნაწილდება დაწყებული მეორე დღის ბოლოდან დაახლოვებით ორ კვირამდი. ამ შემთხვევების საერთო დაბახასიათებელი მოვლენა არის ის, რომ რამდენადც შემთხვევა ძველია, იმდენად საერთო მდგომარეობა უფრო კარგი და პერიტონეალური მოვლენებიც უფრო ნაკლებად არის გამოხატული. ასეთ ავადმყოფებს ჩვენ ვწამლობდით: სასტიკი დიეტა, მოსვენებული წოლა, ნარკოტიკები—უმთავრესად მორფინუმი sub cutis. მწვავე ტკივილების დრის სიცივე, შემდეგ კი სითბო. სასაქმებელს ვაძლევდით მხოლოდ პერიტონეალურ მოვლენების სრული განელე-

ბის შემდეგ. ოღნიშნული ავალმყოფები 8—12 დღის წოლის შემდეგ კლინიკაში, როდესაც ავალმყოფობა ქვემწვავე მდგომარეობაში გადადიოდა ჩვეულებრივად ეშვერებოდნენ კლინიკიდან სათანადო დარიგებით დიეტის და მუშაობის მხრივ.

Sonnenburg-ის ქვემწვავე აპენდიციტების რიცხვი, როგორც ცხრილიდან სჩანს, იყო 19. ამათ ახასიათებს ის, რომ მწვავე მოვლენები აქ უკვე გამჭრალია, მაგრამ მწვავე შეტევის შედეგი ინფილტრატი ჯერ კიდევ საქსებით არ შეწრუტულა. ასეთ შემთხვევებში ჩვენ ოპერაციას არ ვაკეთებდით და ზემოდ—მოხსენებულ დარიგებით ვწერდით კლინიკიდან.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ოპერაცია გაკეთდა ვ3 შემთხვევაში, აქედან პირველ 36 საათში 11; 36—48 ს.—8; მე 3 დღეზე 4; მე 4 დღეზე—2; მე 6—3; მე 8—1; მე 11, 14, 15 და 18 დღეზე თითო შემთხვევაში.

დიაგნოზის დადასტურება მწვავე აპენდიციტის დროს ზოგ შემთხვევაში ძნელია, ამას გვიმტკიცებს ჩვენი მასალაც. ჩვენ შეცდომითი დიაგნოზი მივიღეთ ათ შემთხვევაში. ერთ შემთხვევათაგანში გვქონდა hernia inguinal. dex. recidiva, რომელიც ყოველთვის სწორდებოდა მუცულის ღრუში, ხოლო უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ოპერაციამდი უკან აღარ შებრუნდა. ტკივილები სუსტად ქონდა გამოხატული. თიაქართ კვეთის დროს თიაქრის პარქში აღმოჩნდა მწვავე ჩირქიანი აპენდიციტი რომელიც ისახლვრებოდა მუცულის ღრუდან თიაქრის პარკის ყულში გაჩენილ შეხორცებების წყალობით. მეორე შემთხვევაში იყო დასმული მწვავე აპენდიციტის დიაგნოზი. ოპერაციის დროს აღმოჩნდა მწვავე დიუზუზური პერიტონიტი, განვითარებული int. ilei-ს პერიორაციის გამო მუცულის ტიფის ნიადაგზე. რვა დანარჩენ შემთხვევაში ileus'ის დიაგნოზით ნაწარმოებმა ოპერაციებმა დაადასტურა, რომ განუვალობის პირდაპირი მიზეზი იყო მწვავე აპენდიციტის შემდეგ გაჩენილი შეხორცებები.

ჩვენი საოპერაციო მასალა იყოფა ორ ჯგუფად: 1) ჭიაყელასებრივი დანამატის ამოქვეთით 26 შემთხვევა; 2) 7 შემთხვევა, სადაც დანამატი არ იქნა ამოქვეთილი. ეს ის შემთხვევებია, სადაც დანამატის ირგვლივ იყო განვითარებული დიდი შეხორცებები და ოპერატორს ბუნების მიერ შექმნილი ზღუდები არ უნდოდა დაერღვია. ამ შემთხვევებში კეთდებოდა უბრალო გაკვეთა ჩირქის გამოსაშევებად.

განაკვეთი ჩვეულებრივად გაგვიავდა Mk—Bourney-ს ხაზზე კუნთების ჩლუნგი გაწევით (Gosset). პერიტონიტის შემთხვევებში კი განაკვეთი უფრო ფართო და ზოგგან რამოდენიმეც გვჭირდებოდა მუცულის ღრუს უფრო კარგი დრენაჟისათვის.

ოპერაციის შემდეგ განვითარებული თიაქრები პირველ განაკვეთის შემდეგ ჩვენ არ შეგვხვედრია. მეორე განაკვეთის შემდეგ განვითარებული თიაქრები—ორჯერ. ორივე ავალმყოფს თუმცა პირველი ოპერაცია ქონდათ გაკეთებული სხვაგან, მაგრამ როგორც ობიექტით გამოკვლევიდან სჩანდა, ორივეს ქონდა გაკეთებული ოპერაცია მწვავე ჩირქოვანი აპენდიციტის გამო უბრალო განაკვეთების საშუალებით.

აქვე აღსანიშნავია ორი შემთხვევა, სადაც მწვავე აპენდიციტის გამო გაკეთებულ ოპერაციას თან დაერთო განაგალის ხვრელი (fist. stercoralis) ორივეს



ექმნათ გაკეთებული პლასტიური ოპერაცია. შედეგი: სიკვდილი ერთ შემთხვევაში. მეორეში კი განკურნება. მეორე ორ შემთხვევაში იყო უბრალო ფისტულა აგრეთვე განვითარებული მწვავე აპენდიციტის ნიადაგზე გაკეთებულ ოპერაციის შემდეგ. ორივე შემთხვევაში განკურნება.

საკითხი მწვავე აპენდიციტების ღროს ოპერატიულ დახმარების აღმოჩენის შესახებ ჩვენს კლინიკაში სდგას ასე: ყველა პირველ 36 ს. მწვავე აპენდიციტით შემოსულ ავადმყოფს, როგორც წესი, სასწრაფოდ უკეთდება ოპერაცია.

რაც შეეხება უგვიანეს შემთხვევებს, აქ ოპერაციას ვაკეთებთ მხოლოდ სათანადო ჩვენების ღროს, მაგრამ ეს ოპერაცია ასე ვთქვათ კეთდება იძულებით, რომელიც ორის გამოწვეული ავადმყოფის მძიმე და საშიშ ძლიერობით.

პირველ 36 ს. ჭრილობა დაიხურა ყრუდ 8 შემთხვევაში. 36—48 ს. კი 2; ამრიგად ჭრილობა ყრუდ დაიხურა სულ 10 შემთხვევაში. შეხორცება ყველგან per primam intentionem. ამგვარი ავადმყოფები საშუალოდ იწვენ კლინიკაში 12 დღე.

ლიად დატოვილ ჭრილობის შემთხვევების ღროს კლინიკაში წოლის სულ მცირე ღრო უდრის 23 დღეს; მაქსიმალური — 97. ორთა-შუა რიცხვით ასეთი ავადმყოფები იწვენ კლინიკაში 32 დღე.

მთელი ჩვენი მწვავე აპენდიციტების შემთხვევებიდან გარდაიცვალა სულ 20 ანუ 30,3%. თუ ამ რიცხვებს შევადარებთ მხოლოდ ოპერაცია გაკეთებულ შემთხვევებთან (33—20), მაშინ სიკვდილიანობის % გაიზრდება 60,6%. სიკვდილის მიზეზი 16 შემთხვევაში იყო დიფუზური პერიტონიტი, ხოლო ორ შემთხვევაში ჩაპარებული, ადგილობრივი პერიტონიტი. ორ დანარჩენ შემთხვევაში, როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, ავადმყოფები გარდაიცვალენ აპერაციის გაუკეთებლად მოყვანის პირველ 24 ს. ერთ ამათგანს გაკვეთის ღროს აღმოაჩნდა დიფუზური ჩირქვოვანი პერიტონიტი, რომელიც იყო განვითარებული int. ilei-ს ბოლო ნაწილის პერფორაციის შემდეგ—მუცელის ტიფის ნიადაგზე. მეორე შემთხვევაში კლინიკური ნიშნები იძლეოდა დიფუზურ პერიტონიტის სურათს. სამწუხაროდ ამ შემთხვევაში გავვეთა ორ მოუხდენიათ.

თუ გავარჩევთ ოპერაციის შედეგს ავადმყოფობის ხნოვნობის მიხედვით დავინახავთ, რომ პირველ 36 ს. გაკეთებულ 11 ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა 1—9%. 36—48 ს. 8 შემთხვევიდან გარდაიცვალა 4—50%, მე 3, 4, 6 და 8 დღეზე გაკეთებულ ოპერაციის შემდეგ ყველა გარდაიცვალა — 100%. მე 11, 14, 15 და 18 დღეზე გაკეთებული ოთხი ოპერაცია დამთავრდა ორი სიკვდილით — 50%.

ქრონიკულ აპენდიციტით გვყავდა 250 ავადმყოფი. ოპერაცია გაკეთდა 239 შემთხვევაში. დანარჩენ 11 შემთხვევაში სხვადასხვა მიზეზის გამო ოპერაცია ორ გაკეთებულა. (უარი ოპერაციას გაკეთებაზე, რაიმე თანდართული ავადმყოფობა და შემთხვევითი მიზეზები და სხვა).

აღსანიშნავია როგორც იშვიათი შემთხვევა ბრმა ნაწლავის და მისი დანამატის მდებარეობა თეძოს მარცხენა ფოსოში.

აპენდექტომიასთან ერთად 5 შემთხვევაში გაკეთდა ოპერაცია აგრეთვე სხვა ქირურგიულ ავადმყოფობის გამო.



კლინიკაში მიღებულ წესის თანახმად ავადმყოფის მზადებას ვიწყებთ ოქტომბრის ორი დღის წინ. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გასაწმენდად ჩვეულებრივად ვებმარობთ ol. ricini-ს 25—30,0 რაოდენობით. საოპერაციო არეს ვამზადებთ Gross-sich-ის წესით. წინა ღამეს და ოქტომბრის დღეს დილით ვაძლევთ Bismutum, subnitr., salol აა 0,5. ოპერაციის 15—20 წ წინ უკეთებთ კან-ქვეშ 1% morph. muriat. ხსნარის—1,0.

ორ შემთხვევაში დიდი შეხორცებების გამო გაკეთდა სუბსეროზული აპენდექტომია.

განაკვეთი გატარდა Mk—Bourney-ს ხაზზე 223 შემთხვევაში; Lenander-ის წესით—13 შემთხვევაში; Sonnenburg-ის—3; Camerer-ის 2 და ერთ შემთხვევაში თეთრ ხაზზე, უკანასკნელ შემთხვევაში ივაღმყოფს ქონდა აგრეთვე ჭიბის თასქარი, რის გამოც იყო გამოწვეული ზემოდ აღნიშნული განაკვეთის გაკეთება.

კლინიკაში მიღებული ოპერაციის წესი: Mk—Bourney-ს განაკვეთი. კანის ჭრილობის სიგრძე 8—10 cm. აპონევროზი იყვეთება კანის ჭრილობის მიმართულებით—გასწორივად. მუცელის შიგნითი ირიბი და გარდიგარდმო კუნთები იყოფა ჩილუნგი გზით ბოჭკოების მიმართულებით (Gosset). მუცელის აპკის გასწორივად გაკვეთა, დანამატის მონაზვის შემდეგ მის ჯორჯალის ლიგატურით გადასკვნა და დანამატისაგან მოცილება. უკანასკნელს, ენტეროტრიბით გაჭულების შემდეგ, ფუძეზე ვადებთ ლიგატურას. შემდეგ ბრმა ნაწლავის კედელზე ქისისებრივი ნაკერი. დანამატის მოკვეთა და ტაკვზე იოდის ხსნარის წასმა. შემდეგ მისი ჩაბრუნება ქისისებრივ ნაკერში. კიდევ განმეორებითი ქისისებრივი ნაკერი ისევ ბრმა ნაწლავზე და შიგ ჩაბრუნება. დასასრულს დანამატიდან მოკვეთილ ჯორჯალს ვამაგრებთ ტაკვზე თავისივე ლიგატურის საშუალებით. უკანასკნელ წლის შემთხვევებში ჯორჯალის მიმაგრებას ალარ გაწარმოებთ, რადგანაც ვფიქრობთ, რომ ზოგიერთ შემთხვევებში appendectomy-ს შემდეგ აღნიშნული ტეივილები შესაძლებელია იყოს გამოწვეული მიმაგრებული ჯორჯლის დაჭიმვით. ამის შემდეგ მუცელის კედლების დახურვა: პირიტონეუმზე განუწყვეტილი ნაკერი, კუნთებზე და აპონევროზზე კვანძოვანი. კანზე ნაწილობრივ ძაფის ნაკერები, ნაწილობრივ მიშელის ბჭყალები. ჭრილობაზე ბანდის დამჭილი ნახვევი. 1924 წ. ვებმარობდით აგრეთვე მასტიზოლის ნახვევს. ჭრილობაზე მუდმივი ზედდაწოლისათვის მივმართავდთ სილის პარარა პარკებს.

სერფინებს ესტონდათ მე-5—6 დღეს, ხოლო ძაფის ნაკერებს მე-7—8-ზე. ავაღმყოფს ვაყენებდით ფეხზე მე-10—11 დღეს.

ოპერაციის შემდეგი დიეტა: პირველ დღეს abs., მე-II, III, IV და V დღეებზე ბულიონი და ჩაი. შემდეგ ჩაქ, ფაფა და ორცხობილი.

ოპერაციის შემდეგ ავაღმყოფს ვწერდით შემდეგ დარიგებით: პირველ ხანებში მსუბუქი მუშაობა, შესაფერისი დიეტა და რამოდენიმე თვის განმავლობაში სარტყელის ტარება.

ფილტვების ანთებით გართულება გვქონდა ორ შემთხვევაში.

ზოგადი ნარკოზი იყო ნახარი 89% აღვილობრივი 11% შემთხვევაში.

ყრუდ დახურულ 215 ნაოპერაციებ ჭრილობიდან დაჩირქება მივიღეთ 8 შემთხვევაში ე. ი. 3,8%.



ავაღმყოფები ჭრილობის პირველად შეხორცების დროს იწვენ კლინიკაში 9—15 დღე, საშუალო 12,5 დღე.

მთელ ჭრილო აპენდიციტების შემთხვევიდან გვქონდა ერთი სიკვდილი 0,4%. სიკვდილის მიზეზი — მწვავე დიუუზური პერიტონიტი.

ახლა მოგახსენებთ დანამატზე და მის ცვლილებებზე.

ჩვენს შემთხვევებში აღნიშნულია დანამატის შემდეგი მდებარეობა:

რეტროცეკალური	12	შემთხ.
ზემოდ	7	"
მენჯისკენ	23	"
შიგნით და ქვემოდ	13	"

უნდა ვითიქროთ, რომ იქ სადაც არაფერია აღნიშნული, დანამატის მიმართულება იყო შიგნით და ქვემოთვენ. როგორც უფრო ხშირი მოვლენა ეს უკანასკნელი მდებარეობა არ იწერებოდა ავაღმყოფობის ისტორიაში, სადაც ინიშნებოდა უმეტეს შემთხვევაში დანამატის შედარებით იშვიათი მდებარეობის სახე.

დანამატის სიგრძე აღნიშნულია 68 შემთხვევაში:

1—10 წლ.	აღნიშნულია	1	შემთხვევაში	საშუალო სიგრძე	15 ctm.
11—20	"	33	"	"	11,3 ctm.
21—30	"	36	"	"	10,75 ctm.
31—40	"	17	"	"	10,3 ctm.
41—50	"	1	"	"	20 ctm.

პატოლოგიურ-ანატომიური სურათის მიხედვით მივიღეთ:

Append. catar. Append. perf. Append. gangr. Append. tbc.

164	17	6	5
-----	----	---	---

დანარჩენ შემთხვევებში ამ მხრივ არაფერია აღნიშნული.

როგორც შედარებით იშვიათი შემთხვევები გვქონდა:

empyema appendicis— პ. Hydrops-ი—2.

დანამატის ჯორჯალი სრულიად არ იყო გამოხატული ოთხ შემთხვევაში. სამ შემთხვევაში შეგხვდა ჯორჯალის ვენების ტრომბოზი.

ბალებინის შეზრდა დანამატთან აღნიშნულია შეიდ შემთხვევაში.

სპეციფიური აპენდიციტების ჯგუფიდან შეგვხვდა ტუბერკულოზ აპენდიციტის 6 შემთხვევა.<sup>1)</sup>

### დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი:

1. სქესის მხრივ აპენდიციტების სიხშირე საბოლოოდ ჯერ კიდევ გამორჩევული არ არის.

2. ქალაქში მცხოვრებთა შორის აპენდიციტი უფრო ხშირია, ვიდრე სოფლის მცხოვრებთა შორის.

3. აპენდიციტების მომეტებულ რიცხვს იძლევა 20—30 წლ.

<sup>1)</sup> ი. ჩემი შრომა „ჭიაყელასებრივი დანამატის ტუბერკულოზი“. უურნ. „თანამედროვე მედიცინა“ № 3—4 1925 წ.



4. აპენდიციტების წარმოშობის საკითხში არც ერთ არსებულ თეორის არ შეიძლება მიყცეთ გადამწყვეტი მნიშვნელობა.

5. ოპერაციის ჩვენებად უნდა ჩაითვალოს თუნდაც ერთხელ გადატანილი შეტევა.

6. პირველ 36 ს. მწვავე აპენდიციტის დროს აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია ოპერაციის გაკეთება.

7. მე-2 დღის ბოლოდან ოპერაციას იძულებით ვაკეთებთ (indicatio vitalis).

8. ოპერაციის გაკეთება უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცივ პერიოდში (à froid).

დასასრულს, დიდ მაღლობას მოვახსენებ ჩემს მასწავლებელს, პროფ. გრ. მუხაძეს თემის მოცემისათვის და კლინიკის ასისტ. ილ. ახმეტელს ხელმძღვანელობისათვის.

## პორესპონდენციაზე.

ქართველ ექიმთა საზოგადოების 26/III 1925 წ. სხდომის ოქმი.

მოხსენება პირველი.

დაესწრო 86 წევრი და 78 სტუმარი.

**პროფ. ვორონინი.** „სამეცნიეროს მაღარის ეპიდემიოლოგიისათვის“ მაღარის ეპიდემის და ეპიზოტის გავრცელებას მექანიზმის შესახებ ჯერჯერობით ძალიან კოტა მუშაობაა ნაწარმოები. სცადეს ლაბორატორიულად ექსპერიმენტალურ ცხოველებში გამოიწვიათ ეპიზოტია და დაინახეს, რომ დასაშუალების ვადმყოფობა გავრცელდა ჩერაის ნაბიჯით, შემდეგ შეიქნა სწორი წონობა, რომლის დროს ცხოველების ნაწილი აღმოჩნდა დაავადებული, ნაწილი არ დაავადმყოფდა და აღმოჩნდა იმუნიტეტის მქონე და ნაწილიც არ დასხულდა, მაგრამ იმუნიტეტის იყო მოკლებული. ამ გვარივე მოვლენა შევამჩნიეთ სამეცნიეროს იმ ადგილებში, რომლებიც მაღარის მხრივ ეპიდემიოლოგიურ კუთხებად ითვლებიან: მყვიდრთა ნაწილი დაავადმყოფებული ყოფილა წინად და ელენთა არის გადიდებული, მაგრამ ამჟამად არ ავადმყოფობს. არსებობს დიდი კორელიატური კავშირი ერთის მხრივ ავადმყოფობის გავრცელების და ელენთად გადიდების და მეორე მხრივ კოლოების რიცხვის შორის. დასკვნა ასეთია: არამც თუ ახალი დასნეულება და რეციდივები, არამედ ყოფილ ავადმყოფთა შორის ელენთის გადიდების შედეგია დასნეულებულ კოლოებთა მიერ განმეორებითი დაბენისა.

**ექ. მარუაშვილი.** საკითხი, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს მაღარის დაავადებულათ საინტერესოა როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. მაღარია ქრონიკული სენია. ადამიანი შეიძლება ამ სენით დიდი ხნით და მძიმედ იყოს დაავადებული, მაგრამ შეტევები არ ქონდეს, პარაზიტალური ინდექსი ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგებს, ვინაიდან სქელი წვეთითაც გასინჯული სისხლი ხშირად არ გვაძლევს დადებითი შედეგს, ან გვაძლევს პარაზიტების ძლიერ მცირე რიცხვს. მნიშვნელობა აქვს სეზონს, დროს, როდესაც ისინჯება სისხლი, მაგალითად გაზაფხულზე და შემოდგომაზე პარაზიტების ინდექსი დიდია, ვიდრე ზამთარში და ზაფხულში. უფრო საიმედოა ელენთას ინდექსი. კორელაციას საკითხი მისაღებია, მხოლოდ მუდმივ დაკვირვების დროს; ერთდროული დაკვირვება ვერ მოგვცემს სასურველ დასტურს. რელატიური იმუნიტეტის არსებობა უნდა მივიღოთ მხოლოდ იმ ადგილებისთვის, სადაც არსებობს მუდმივი ინფექცია და ორგანიზმის მუდმივი გაღიზიანება. ჩვენში საზოგადოდ და სამეცნიეროში კერძოდ მაღარის სეზონური ხასიათი აქვს.

**ექ. კანდელაკი.** ანაკლიაში მქვიდრთა გასინჯვა რა სახით წარმოადგენ იყვლევდენ მთელ მცხოვრებლებს, თუ მცხოვრებლების ნაწილს, რომელი ინდექ-სით ხელმძღვანელობდა ექსპედიცია გამოკვლევის დროს, რით აიხსნება მომხსენებლის აზრით მსოფლიოში მომხდარი მაღარის ეპიდემია, როგორი წესი იყო მიღებული კოლონების დათვლის შესახებ, გამოკვლევის დროს იხმარებოდა სქელი წვეთი, თუ სხვა რამ.

**პროფ. ვორონინი.** გამოკვლევა წარმოებდა ერთი დღის გადაწერის სახით და ამგვარ მუშაობას ვაწარმოებდით ცამეტი დღის განმავლობაში. მთელი მცხოვრებლების გამოკვლევა შეუძლებელი იყო, ვსინჯავდით და ვიკლევდით სახლ გამოშვეით კოლონების ბინადრობას, ვიკლევდით ყოველ დღე; ვხელმძღვნელობდით ელენთის სიღილის ინდექსით და ვხმარობდით ზეიფერტის შკალას, მსოფლიო ეპიდემიის შესახებ ვერას ვიტყვი: ხელთ არ მაქს შესაფერი მასალა. ყოველ შემთხვევაში სამეცნიეროს მაღარის არ უნდა ქონდეს კავშირი მსოფლიო ეპიდემიასთან,

**ექ. კანდელაკი.** ისეთი სწეულების გამოკვლევაში, როგორიც მაღარიაა, შეუძლებელია ცამეტი დღის დაკვირვებამ რაიმე დამახასიათებელი შედეგი მოგვცეს. მაღარია ენდემიური სენია და დასახელებული index-ების შესაფასებლათ საჭიროა მთელი რიგი სეზონებისა თუ არა, ერთი სეზონი მაინც. ჩემის აზრით უკანასკნელი დროის მკაცრი ეპიდემია ჩვენში მსოფლიო ეპიდემიის ზეგავლენის შედეგი იყო. ჰაერის გამოცემას დიდი გავლენა აქვს მაღარის მსვლელობაზე და ამით აიხსნება ის, რომ ხალხი ინსტიქტიურად მიდის მთიან აღგილებში, აფარებს ავალმყოფობას თავს და ძალინ ხშირად ეს ახდენს დიდ გავლენას ავადმყოფის ზოგად მდგომარეობაზე და სისხლში პარაზიტების შემცირებაზე.

**პროფ. ნათიშვილი.** მაღარის საკითხი დიდი საკითხია ჩვენში. მომხსენებლის მიერ წამოყენებულ დებულებებს დიდი თეორიული და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

მოხსენება მეორე.

**ექ. მაისურაძე.** „თირკმლების ანომალიები“.

პირველი პრეპარატი წარმოადგენს ნალისებურ თირკმელს, ეკუთვნის 80 წლის მოხუცს, რომელიც სხვა მიზეზითაა გარდაცვლილი, ანომალია თანდაყოლილია; თავისი ქვემო ბოლოებით თირკმლები შეზრდილია; შეუქმნიათ საყრთო ჭელი და მოთავსებულან ხერხემლის წინ გარდიგარდომ. თავისუფალ ზემო ბოლოებს ეკტოპია განუცდიათ, თირკმლებს აქვთ ექვსი არტერია და სამი ვენა, რომელთა შორის არც ერთი არც დაწყების და არც მიმართულების მხრივ ნორმას არ ესაბამება.

მეორე პრეპარატიც ნალისებურ თირკმელს წარმოადგენს და ეკუთვნის 48 წლის დედაკაცს; დამახასიათებელია აორტას და საზოგადოდ მუცელის ღრუს მთავარ ძარღვების დაკლაკნა; არაჩვეულებრივი დაწყება, სიმრავლე არტერიებისა და ვენებისა და მათი ერთმანეთთან იშვიათი ტოპოგრაფიული ურთიერთობა. ყურადღებას იქცევს აგრეთვე დიდი ფიალების იშვიათი ფორმები თირკმლების მენჯში.



მესამე პრეპარატი ეკუთვნის ახლად დაბადებულ ბავშის გვამს; ხასიათდება თანდაყოლითი ექტოფიით, რომელიც განიცადა მარჯვენა თირკმელმა და მო-თავსძა მთელი მასით მარჯვენა თეძის ფოსოში და მცირე მენჯის შესავალთან.

მეოთხე პრეპარატი ეკუთვნის ახლად დაბადებულ ბავშის გვამს; აქვს თირკმელების ორმხრივ თანდაყოლილი ექტოპია მენჯში და მათი შეზრდა. ორივე თირკმელი მცირე მენჯისკენ დაწიულია, ნაწილობრივ მისი შესავალიც დაუჭერიათ, ამასთან ერთად იგინი შეერთებულან თავისი ზემობოლობით და შეუქმნიათ ე.წ. ნალისებური თირკმელი, რომლის გამოდრეკილი ნაწილი ზემოდ იყურება. თირკმლის ეს ფორმა უიშვიათეს ანომალიას წარმოადგენს და ლიტერატურაში აღწერილია მხოლოდ ორივე შემთხვევა. თირკმელ-ზედა ჯირკვლები შეცვლილან თავიანთი ფორმით, ცოტა დაძრულან კიდევ წელის მეოთხე მალის დონეზე აორტა ჩვეულებრივ ბიუურკაციას არ იძლევა, გრძელდება თეძის მარცხნა საერთო არტერიაში.

მეხუთე პრეპარატი წარმოადგენს თირკმლების თანდაყოლილ ცალმხრივ დისლოკაციას. გვამი ეკუთვნის 19 წლის მამაკაცს. მარჯვენა თირკმელს ოდნავი ექტოპია განუცდია, ხოლო თვით ფორმა და ოდენობა უცვლელი დარჩენილა. ადგილი შეუცვლია მხოლოდ მარცხენა თირკმელს, რომელიც მარჯვენა თირკმლის ქვემოდან მოექცა ამ თირკმლის მარცხენა მხარესთან დარჩენია კაგშირი მხოლოდ ერთი ვენის საშუალებით. შარდაშვეთების მდებარეობა ცალმხრივია, მაგრამ მათი დაზოლვება მაინც ნორმას ესაბამება.

უველა ამ შემთხვევებითა შორის უველაზედ იშვიათი ფორმა არის თირკმლების ზემობოლოების შეერთება და უკანასკნელი ორი თირკმლის ერთი მხარეზე მოქცევა, რომელიც ტლანქი ანომალიის გამოხატულებაა.

სხვა ქვეყნებთან შედარებით ჩვენში საშარდე ორგანოების ანომალიები ძლიერ ხშირ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ანატომიურ ინსტიტუტში გატარებულ გვამთა რიცხვის მიხედვით ეს ანომალიები ერთ პროცენტს უდრის.

**ექ. ცხაკარია.** რამდენი გვამი გატარდა ინსტიტუტში და რამდენი იყო ანომალია.

**ექ. ნემსაძე.** სადაც თირკმლის ზედა ჯირკვლის ცვლილებასთან გქონდათ საქმე, რა მდგომარეობაში იყო სხვა ჯირკვლები, ძვლები და სხვა ორგანოები

**ექ. წულიკიძე.** რა მდგომარეობაში იყო gl. Suprarenal. აღწერილი ცვლილებების კლინიკურად გამოცნობა მხოლოდ პოლიგრაფიის საშუალებით შეიძლება?

**პროფ. მუხაძე.** თუ კლინიკურ შემთხვევებს მივიღებთ მხედველობაში, საშარდე ორგანოების ანომალიების  $\%$ , შემადგენელობა მეტი აღმოჩნდება. სასურველად მიმაჩნია წარმოებულ იქმნას შედარება პიელოგრაფიულ და ანატომიურ სურათებს შორის.

**პროფ. თიკანაძე.** საინტერესოა ვიცოდეთ რა ემართება იმ ბავშვების საშარდო ორგანოების ექტოპიის სახით ანომალიებს, როდესაც ბავშვები იზრდებიან.

**ექ. მაისურაძე.** ინსტიტუტში ხუთასს გვამზე იყო საშარდე ორგანოების ანომალიების ხუთი შემთხვევა სხვა ჯირკვლები, ძვლები და სხვა ორგანოების მდგომარეობის მხრივ მაინც და მაინც დაკვირვება არ ყოფილა, მაგრამ, ვფიქ-

რობ, მდგომარეობა ნორმალური იყო; gl. Suprarenal უმეტეს შემთხვევაში თავის ადგილის იყო დარჩენილი თანდაყოლილი ანომალიები ბავშვებს უნდა რჩებოდეთ.

**პროფ. ნათიშვილი.** სახელმწიფო უნივერსიტეტის ანატომიურ ინსტიტუტში საშარდო ორგანოებს ანომალიების შემთხვევები ძლიერ ბევრია (რუსეთში მუშაობის დროს შვიდი ათას გვამზე მე მქონდა ერთი ნალისებური და ერთიც მენჯში ჩაშვებული თირკმლის შემთხვევა).

თირკმლების ზემო ბოლოების შეზრდას შემთხვევა უნდა უიშვიათესს შემთხვევად იქმნას მიღებული (მხოლოდ პროფ. Hirtl-ს ქონდა ერთი ასეთი შემთხვევა). ესეთი შეზრდა არის შედეგი თირკმლების ბოლოების ერთმანეთთან მჭიდრო დაახლოებას, ხახუნის და გალიზიანებასა. თუ ნალისებურ თირკმელთან გვაქვს საქმე პიელოგრაფიის საშუალებით არ მოხერხდება ნამდვილი სურათის მიღება. პროფ. თეიანაძის შეკითხვა საუსტელანია: ბავშვის გაზრდისას შესაძლებელია ანომალიის სურათი შეიცვალოს. ზედაჯირკვლის მენჯში ჩამოსვლა unicum-ად უნდა იქმნას ალიარებული, რაღაც ასეთი შემთხვევა არსად არ არის აღწერილი.

მოხსენება მესამე.

**ექ. ვარაზაშვილი.** „ცენტრალური ნერვიული სისტემა მაღარიის დროს“.

ცენტრალური ნერვიული სისტემა მაღარიის დროს შესწავლულია სხვა და სხვა მეცნიერთა მიერ, მაგალითად Bingpnami, Ceeli, Seyfarti, Dürk და სხვა, მაგრამ მათი უმთავრესი ყურადღება მიეროსკოპიულ ცვლილებებს აქვს მიქცეული და შეეხებიან უფრო კაპილარების მდგრამარეობას. განგლიების შესახებ მათი გამოკვლევანი ზოგადი ხასიათისანი არიან; სპეციფიური ხასიათის ცვლილებანი მათ არ აქვთ აღნიშნული. ჩემი გამოკვლევების დროს, რომლებიც ნაწარმებია წმინდა მაღარიულ მასალაზე, მე მიღილე შემდეგი სურათი. დიდი ტვინის აპკები ჰიპერემიული და რაოდენიმედ რდემატიური აღმოჩნდა ჩირქვან პახი. მენინგიტებს ადგილი არ ქონდა; იყო ჰიგმენტაცია თავისი დამახასიათებელი ფერით ტვინის სუბსტანცია ჰიპერემიული და რდემატიური იყო. თეთრ სუბსტანციაში, განსაკუთრებით რუხს შრეს საზღვართან ახლოს ბლომად აღმოჩნდა წერტილოვანი სისხლნაწდენები, ესეთივე სისხლნაწდენებს ადგილი ქონდა ტვინის კვანძებში პატარა ტვინში და ზურგის ტვინშიც კაპილარებას გამოკვლევის დროს ყურადღება მიიპყრო იქ არსებულმა დაცობამ; ენდოთელიუმი კაპილარებისა ბევრ ადგილს შეშუპებული აღმოჩნდა. რასაც გამოუწვევია კაპილარების სანათურის დავიწროება. დასკვნა ასეთი შეიძლება. მაღარიის დროს ტრომბოზს კი არა აქვს აღვილი, არამედ დაავადებულ ერიტროციტებით გამოწვეულ ემბოლიას. დაცობილ კაპილარების გამო—გლია განიცდის გამრავლებას. ზოგადი შთაბეჭდილება ასეთია, რომ გლიალური კვანძები არ არიან სპეციფიური და უფრო ახალგაზდა ნაწილურების ხასიათი აქვთ, რომლებიც ვრთარდება იმ ადგილის, სადაც ტვინი ემბოლიის გამო დაშლას განიცდის (კოლიკვაციას) ზოგიერთი ნეირონები დაავადებული აღმოჩნდა ამატებულ წნევის გამო პერიცელულიალურ სითხისაგან.



პროტოპლაზმა განიცდის მარცვლოვან მეტამორფოზას, მაგრამ ეს მარცვლები თავისი სიდიდით და ფორმით უფრო წევთებს წააგავან. მარცვლებს პერიფერია მუქად იღებება. ცენტრი-კი შეულებავი რჩება, რის გამო პრეპარატების რეოლის სახე აქვს.

P. Ernst-ის მიერ დახასიათებული ნერვილ უჯრედის ცვლილება ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის აშლის დროს სრულებით ეფანემება აღწერილ სურათს და გვაქვს საფუძველი ვითიქროთ, რომ ნახული ხასიათის ცვლილებები უნდა მიეწეროს მუკავადის სიმშილობას, რომელსაც იწვევს ტვინის კაპილიარებას გავრცელებული ემბოლია.

**პროფ. ასათანი.** ქონდათ თუ არა ავადმყოფებს კლინიკურად რამე ნერვული სიმპტომები?

მე მქონდა კლინიკური შემთხვევები, სადაც ავადმყოფებს ემჩეოდათ მწვავე და ქრონიკული პსიქიური ანლილობის ნიშნები, რაც მაღარიულ ინფექციის ზეგავლენის შედეგად უნდა ჩაითვალოს. შეტად სასურველი იქნებოდა ასეთი კლინიკური მოვლენების შემდეგ ქონდა ადგილი სათანადო მიკროსკოპიულ გამოკვლევას.

**ექ. გველასიანი.** იყო მიკროსკოპიულად გამოკვლეული პატარა ტვინი, თუ არა.

**პროფ. თიკანაძე.** მქონდა შემთხვევა, სადაც ავადმყოფს ელენთა დიდი ქონდა, სისხლში რეოლები, ჩავარდა კომატოზურ მდგომარეობაში და მალე გარდაიცვალა. გარკვეულევამ აღმოაჩინა ტვინში ჩირქ-გროვა. ამ გვარად შეიძლება. ავადმყოფი სხვა რამ მიზეზით გარდაიცვალოს და ეს ჩვენ მაღარის მიგაწეროთ.

**ექ. ვარაზიშვილი.** (მომსხენებელი) ნერვიულ სიმპტომების მხრივ ადგილი ქონდა ზოგიერთ „შემთხვევაში Coma-malarica-ს; შემთხვევები, სადაც მხოლოდ და მხოლოდ მაღარის ნიადაგზე გადაცვლილიყოს ავადმყოფი ძალიან ცოტა იყო. პატარა ტვინის მიკროსკოპიული გამოკვლევა იყო ნაწარმოები, მაგრამ დიდი ცვლილება ვერ ვნახეთ.

ქართველ ექიმთა საზოგადოების 9/V 1925 წლ. სხდომის ოქმი.

დაესწრო წევრი 120, სტუმარი 95.

მოხსენება პირველი.

**პროფ. ვირსალაძე.** „შთამომავლობითი და კონსტიტუციონალური მიღრეკილება ავადმყოფობაში“.

კონსტიტუციის და შთამომავლობის მოძლვრება ბიოლოგიაში, პათოლოგიაში და კლინიკაში სრულიად ახალ მეცნიერულ მიმართულებად არის აღიარებული გერმანიაში და საზოგადოდ ევროპაში.

ამ მიმართულების დამაარსებლად ითვლება Friedrich Martius-ი, რომელმაც 1914 წ. ბერლინში გამოაქვენა თხულება Konstitution und Vererbung და

ამის შემდეგ მოქლე ხანში დაიწერა მრავალი ტომები. ამ მოძღვრებას ამ უამაღლეს ტენიან ადგილი უკავია საექიმო დარგში და მას ეძლევა უაღრესი მნიშვნელობა ეთიოლოგიაში, პათოლოგიაში, პროგნოზში და ტერაპიაშიდაც. ამ აზრს იცავს ბევრი გამოჩენილი მეცნიერი და მათ შორის პროფესორი Borchardt-იც. ყველა ამ საკითხის შესახებ დაწერილ თხზულებებში ხაზგასმით არის გატარებული ის აზრი, რომ ავადმყოფობას წვევს არა ერთი, ან ორი რომელიმე მიზეზი, არამედ მრავალ გარემოებათა ზეგავლენა, რომ სხვადასხვა ცოცხალი სხეული ავადმყოფობის დროს იჩენს მის მიმართ სხვადასხვანაირ წინააღმდეგობას. ამის გამო დაისვა საკითხი ცოცხალი სხეულის ბიოლოგიურ, აგებულობრივ და შთამომავლობრივ თავისებურებათა შესწავლის შესახებ, რამაც წარმოშვა ახალი დარგი. კონსტიტუციის და აგებულობის შესწავლამ აღმოაჩინა, რომ ანტისხეულების რაოდენობა სულ სხვადასხვანაირი დაყობა ადამიანს დედის მუცლიდანვე; აგლუტინები ყოველი ინფექციის გარეშე უფრო მეტი აქვთ ნეკლოფათიურ ადამიანებს; ფარისებრივი ჯირკვლის დაზიანება ასუსტებს სისხლის ზრატის ბაქტერიოდულ თვისებას და ამცირებს ოპონინების ინდექსს. ნაღვლის კენჭების წარმომშობ მიზეზთა შორის დიდი მნიშვნელობა ეძლევა სისხლის ესე წოდებულ Hypercholesterinämie-ს.

ეს ახალი სამეცნიერო დარგი განიყოფება ზოგად და კერძო, ანუ სპეციალურ დარგად. პირველი შეიცავს მეცნიერების ზოგად დასაბუთებას და აგებულობის ტიპების დახასიათებას, როგორც არიან Phenotypus, idityphus და paratyphus.

კერძო ნაწილშია განხილული ენდოკრინულ ჯირკვლების, ნერვების სისტემის სისხლის ნივთიერებათა ცვლილების, ჩონჩხის, სისხლის მიმოქცევის, სასუნთქვაზე და საჭმლის მომნელებელ ორგანოთა და სხვა ორგანოების თავისებურებანი და მათ მიერ გამოწვეული ავადმყოფობისადმი მიღრეკილებანი. ევგენიკას საფუძვლად უნდა დაედოს კონსტიტუციონალური და შთამომავლობითი თვალსაზრისით ავადმყოფობათა შესწავლა. ამ ახალი მიმართულებით სარგებლობს როგორც შინაგანი საექიმო დარგი, აგრეთვე ნერვიული პათოლოგია, პსიჰიატრია, ხირურგია, მენტალოგია და სხვა.

ამ ახალ სამეცნიერო დარგს მიზნად აქვს დასახული არა მხოლოდ უჯრედი და ორგანო; არამედ მთლიანი ადამიანი მისი აგებულობით და მემკვიდრეობითი თვისებებით.

**ექ. ტერებლაშვილი.** მინდა გავიგო, როგორ შეიძლება პრაქტიკულად მიუღეთ საკითხს, ესე იგი რა გზით შეიძლება კონსტიტუციონალურ და ჰიამონმავლობითი თვალსაზრისით მიუღეთ დააგვადებული ადამიანის შესწავლას?

**პროფ. თიკანაძე.** ევგენიკის საკითხი არც სულ ახალი საკითხია. პირველათ ის იქმნა 13—14 წლებში წამოყენებული. კონსტიტუციის საკითხი გარკვეულად ვერ არის გაშუქებული. აქ ბევრი რამ არის ბუნდოვანი; წამოყენებულ ტიპებს არ აქვთ გარკვეული სახე და მათი შესწავლა ძნელია.

**ექ. გაგამიანი.** მეცნიერთა ნაწილი კონსტიტუციას ხსნიან ენდოკრინულ ჯირკვალთა კორელიაციით, სხვები-კი ფიქრობენ, რომ სისხლში ფერმენტები და მათი ზეგავლენა გამოხატავენ კონსტიტუციას.



**ექ. ნანეიშვილი.** 1916 წელში პროფესორმა His-მა გააკეთა წარმოუმატებელი საკითხის. შესახებ მოხსენება, ბევრი დაიწერა და ითქვა ამ საკითხის შესახებ სხვების მიერაც, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ არსებობს ერთი გარკვეული შემცენება. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ კონსტიტუციაა მხოლოდ ის, რაც ჩანასახის ჩანერგვის დროს გადადის მასში.

**პროფ. მუხაძე.** ამ ახალ მოძღვრებაში, მართლადაც რაღაც გაურკვევლობაა. ჩემის აზრით კონსტიტუციის შემცენებაში ცალკე უნდა იყოს ის, რაც პიროვნებამ მიიღო ჩანერგვის დროს და ცალკე ის, რაც მან შემდეგში შეიძინა.

**პროფ. ვირხალაძე** (მომხსენებელი).

საკითხისადმი პრაქტიკულად მიღომისათვის საჭიროა შევისწავლოთ მთელი ოჯახი, მისი წარსული და აწმყო. შეგვიძლია მიემართოთ კლინიკურ გამოკვლევებს, შეგვიძლია ვისარგებლოთ სქესობრივი მხარეების შესწავლით. ევგენიკის დასაწყისად 1905 წელი უნდა ჩაითვალოს, როდესაც ინგლისში დაარსდა ევგენიკური საზოგადოება. კონსტიტუციონალური შემცენების გაგება არსებითად არც ისე ძნელია. წინად მნიშვნელობას აძლევდენ მორფოლოგიურ მდგომარეობას, დღეს კი ამ მნიშვნელობის საგნად შეიქმნა მთელი ორგანიზმი.

არც ენდოკრინული ჯირკვლების კორელაცია თავის თავად და არც ფერმენტების და მათი ზეგავლენა არ ქმნიან კონსტიტუციას. კონსტიტუცია—ეს მთელი ადამიანი მატარებელი როგორც შთამომავლობითი, ისე კეთილშეძნილი თვისებებით ის რაც ჩანასახის მიიღო ჩანერგვის დროს და ამ ჩანერგვის შემდევრენი მიზანს არ შევისწავლოთ ადამიანი მხოლოდ ერთ განსაზღვრულ მომენტში, ჩვენი მიზანია შევისწავლოთ იგი თავიდან ბოლომდე.

**პროფ. ნათიშვილი** (კრების თავმჯდომარე).

წამოყენებული საკითხი ურთულეს საკითხად უნდა იქნას მიჩნეული, ის უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ თანამედროვე პრობლემად, რომლის შესახებ დღევანდელ პირობებში ძნელია გადაწყვეტილი ბასუნის გაცემა. ამ პრობლემას აქვს უუძველესი ისტორია. იგი იწყება პიპოკრატიდგან და დღეს დგება ხელმეორედ, მაგრამ, როგორც სჩანს პრაქტიკულად კიდევ გადაუწყვეტელია. მასალა დიდია დაგროვილი. საჭიროა ამ მასალის დამუშავება და გამოყენება. ინდივიდუმის კონსტიტუციაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ერთი მხრით სომატიური მხარეები და მეორე მხრით სქესობრივ გადაცემული თვისებები.

მომხსენებლის მიერ გამოთქმულ სურვილის თანახმად არჩეულ იქნა კომისია, რომელმაც მოხსენების ფარგლებში იქონიოს მსჯელობა რომელიმე სათანადო დაწესდებულების შექმნის შესახებ.

კომისიაში არჩეულ იქმნენ პროფესორები: ალ. ჯავახიშვილი, გ. ჯავახიშვილი, სპ. ვირხალაძე, ულენტი, ალ. ნათიშვილი, გ. ლამბარაშვილი, ასათიანი და გოგიტიძე.

მოხსენება მეორე.

**ექ. მატვევი.** „Pharyngs-micosis leptotricha“.

მე-18 საუკუნის გასულს ზოგიერთების მიერ (ფრანკელი, იაკობსონი, მიხელსონი და სხვ.) აღწერილი იყო რამდენიმე შემთხვევა leptotrix-ით დაავა-

დებისა. ეს ავტორები იძლევიან სრულიად ერთგვარ მაკროსკოპიულ და მიკროსკოპიულ სურათს. ამავე ხასიათის სურათი მოგვცა ჩვენმა ავაღმყოფმა, სურათი ფოლიქულიარული ანგინისა, რომელსაც არ გამოუწვევია არც ანთება და არც სუბიექტიური მოშლილობა. დასახელებულ სწეულების დამახასიათებელ თვისებას მიკროსკოპიულად წარმოადგენს სახამებლის ორაქცია იოდზედ და აგრეთვე მოლუნული ხაზი, რომელიც არას დროს არ იყოფა და არ იძლევა შტოებს.

ამ დავადგებას არ უდგება არავითარი წამლობა არც მექანიკური და არც ქიმიური, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც კეთილ თვისებიან დაავადგებად ითვლება. როგორც წარმოშობა, ისე განკურნება ხდება უცად გამოურკვეველ მიზეზების გამო. ხანდისხან ის ლებულობს პატოგენურ თვისებებს. Leptotrix-ი არის ნაპოვნი კბილის ქვებში, ნერულების და შარდის ბუშტის ქვებში ფილტვების განგრენის, ყბის ფლეგმონის და საშოს ანთების დროს.

**პროფ. მუხაძე.** როგორია პროგნოზი თქვენ მიერ აღწერილ შემთხვევაში.

**ექ. მატვეევი.** პროგნოზი კარგი უნდა იქნას: ნალექი ბევრი იყო, მაგრამ ეხლა ცოტა დარჩა.

მოხსენება მესამე.

**ექიმი გ. კანდელაკი.** „საშვილოსნოს ადგილობრივი ანეტეზია“.

1924 წლის ოქტომბრიდან დაწყებული ვხმარობდი Colte-ის მიერ შემუშავებული ტეხნიკას საშვილოსნოს ანესტეზიის დროს. მეონდა ოცი შემთხვევა, რომელთაც დამაკმაყოფილებელი შედეგები მომცენ და რომელთა მიხედვით გამოყავს შემდეგი დასკნა.

1. საშვილოსნოს თაღებში  $1\%$  ნოკაიუნის ხსნარის შეშხაპუნება გვაძლევს დამაკმაყოფილებელ შედეგებს ადგილობრივ ტკივილების დადუნების სახით საშვილოსნოზე მცირე ოპერაციების გაკეთების დროს.

2. ადგილობრივი ანესტეზია წევს საერთო ნარკოზის მაგიერობას, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში საშიშროებას წარმოადგენს.

3. მეთოდის ხმარებისას როგორც ოპერაციის დროს, ისე მის შემდეგ ავადყოფა ტკივილებს თითქმის ვერ გრძნობს.

4. აუცილებლად საჭიროა ინექციის ტეხნიკის ცოდნა, რადგანაც ადგილობრივი ტოპოგრაფია გვეუბნება აქ არსებულ მსხვილ სისხლის მიღების არსებობაზე.

5. დოზა შეფერდებულ უნდა იქნას ინდივიდუალობასა და ავაღმყოფის წონასთან ან მის განსაკუთრებულ მდგომარეობასთან მიხედვით.

**ექ. მრევლიშვილი:** თაღებში გადის Art. uterin და სხვა სისხლის მიღები და დასახელებული ტეხნიკის ხმარებამ შეიძლება დააზიანოს ეს მიღები. შეშხაპუნების დროს რამე გართულებას ქონდა თუ არა ადგილი?

**პროფ. ლოლობერიძე:** ეს საშურველად მიმაჩნია ნაწარმოებ იქნას საშვილოსნოს ანესტეზია თაღებში კი არა, ყელში შეშხაპუნების სახით, ვინადენ ყელის ანესტეზია ისეთ სიძნელეს არ წარმოადგენს. საჭიროა ერთგვარი სიფრთხილე, რომ არ დაზიანდეს სისხლის მიღები და შარდ საწყევები.

**პროფ. თიკანაძე.** საშვილოსნოს გამოფხევის დროს მაინც და მაინც დიდი ტკივილები არ არის, ასე რომ ადგილობრივი ანესტეზია დიდ საჭიროებას არ



წარმოადგენს. ამასთან თუ ოც-და-ათ გრამ novocain-ის ხსნარს კი ვიხმარ, უკე-  
თესია ზურგის ტვინის ანესტეზიას მივმართოთ.

**პროფ. მუხაძე.** ყელის მხრივ ინფილტრაციულ ანესტეზიას შესაძლებლად  
უსთველი სპეციალური შპრიცის საშუალებით. ინფექციის თავიდგან ასაშორებლად  
უმჯობესია ალგილობრივ ანესტეზიის მაგივრ ზურგის ტვინის ანესტეზიას მივ-  
მართოთ. ამასთან ერთად ალგილობრივ ანესტეზიას ტკივილები თან უნდა დაყ-  
ვეს, ვინაიდგან ინფილტრაცია ახდენს ქსოვილების გაუითვას, რაც იწვევს აქ  
არსებულ ნერვიულ ელემენტების გაღიზიანებას.

**ექ. კანდელაკი.** (მომხსენებელი).

თუ ნორმალურ ტოპოგრაფიის მიხედვით ვიმოქმედებთ, საშიში არა არის  
რა, ანორმალიიდგან კი არც ერთი ჩვენგანი არ შეიძლება დაზღვეული იყოს. ნემსი  
თალებში შეგვევს ერთი სანტიმეტრის სივრცაზე, ვინაიდგან ყელის კუნთებში  
სითხის შეშვება არ ხერხდება. გართულება არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა.  
წინააღმდეგ პროფ. თიკანაძის მტკიციურებისა, უნდა ვსთქვა, რომ საშვილოსნოს  
გამოფეხვა ერთი იმ აპერაციათაგანია, რომლის დროს ავადმყოფები საგრძნობ  
ტკივილებს განიცდიან და ჩვენ უფლება არ გვაქვს ამას ანგარიში არ გაუწიოთ.  
ხერხემლის ანესტეზიასთან შედარებით ალგილობრივი ანესტეზია მარტივიც არის  
და უფრო მოხერხებულიც. მენჯის ნერვალების დროსაც ვსცადეთ Novocain-ის  
შეშაბუნებით, შედეგები კარგი მივიღეთ და თუ ქსოვილების გაუენთას ქონდეს  
ალგილი, ასეთ შედეგებს ვერ მივიღებდით.

ქართველ ექიმთა საზოგადოების 2/IV 1925 წ. სხდომის ოქმი.

დაესწრო წევრი 156 და 79 სტუმარი სულ 235 კაცი.

**ექ. ტემელაშვილი.** კრებას უჩვენებს ავადმყოფ ქალს, შეპყრობილს  
ფრჩხილების იშვიათი დაავადებით, რომელ დაავადებასაც პროფ. ნიკოლსკი  
Koilonychia ს უწოდებს და რომელიც დახასიათდება ერთი მხრით ფრჩხილის  
ცენტრის ატროფიით და მისი ჩალრმავებით და მეორე მხრით განაპირა ალგი-  
ლების ჰაპერტროფიით და მათი ზევით ამოწევით. ჩვენ შემთხვევაში ავადმყოფს  
მარჯვენა ხელის ყველა თითების ფრჩხილები და მარცხენა ხელის სამი თითის  
ფრჩხილი ამგვარათ აქვს გადაგვარებული და იმ ზომამდე ჩალრმავებულია შუა-  
ში, რომ ადვილათ იტეს რაოდენიმე წვეთ სითხეს. გამოკვლევამ დაგვარწმუნა,  
რომ წამოყენებულ დაავადებას არავითარი კაფშირი არ აქვს არც ერთ კანის  
მიკოტიურ სნეულებასთან, როგორცაა, მაგალითად, მძმვარა, ქეცი და სხვა. არ  
აქვს დამოკიდებულება Eczema-სან არც Psorias. vulg-სთან. ჩვენის აზრით ტი-  
პიური Koilonychie ამ შემთხვევაში არის შედეგი ტროფონერვიული ზეგავლენი-  
სა ვინაიდგან ავადმყოფს დაავადების ორი კვირის წინათ განუცდია მთელი რი-  
გი უსიამოვნებისა და სულიერი ალელვებისა. კლინიკური და ლაბარატორიული  
გამოკვლევის მიხედვით უნდა უარყოფილ იქმნას აგრეთვე ათაშანგი და Artrit-s.

მოხსენება პირველი.

**ექ. ანთაძე.** „*Troponema Morsus muris* კულტურის მიღების შემთხვევის-თვის ტეილისში“ შევძელით მიგველო Sodok-ის სპიროხეტების სუფთა კულტურა ავადმყოფიდგან, რომლისთვისაც ვირთაგვას უკბენია. კულტურა მივიღეთ ანაერობიულ პირობებში შაქრის 1 : 5 ფიზიოლოგიურ ხსნარით გამზადებულ ნიადაგზე 37° ტემპერატურით ტერმოსტატში დგომის მეშვიდე დღეს. შემდეგი გენერაცია ვერ მივიღეთ; შეუშხაპუნებია თეთრი თაგვისთვის მუცლის ღრუში 4, სპიროხეტებიანი მასალა პირველი გენერაციისა. სისხლში სპიროხეტები ვერ უნახავთ, მაგრამ ისინი ბლომად აღმოჩენილა ექტოპარაზიტებში, რომლებიც ბლომად ეხვეოდა თაგვს. ცაჟეტი ექტოპარაზიტიდგან — ორში უპოვნია Zihl-ის ფუქსინით ხუთი წამის განმავლობაში უფრისაციოთ შეღების შემდეგ უტყური სპიროხეტები.

დასკვნა: 1) ჩვენში მოიპოება Spirochet. *Morsus muris* მატარებელი ვირთაგვები 2) ჩვენ მიერ მიღებული Spiroch. *Mors mur* განიჩევა სხვა კვეყნებში აღწერილ ასეთივე სპიროხეტებიდგან თავისი სიდიდით (ზოგიერთ შემთხვევაში 40,5 მიკრონი და ხვეულია სიმრავლით (32-მდე წინააღმდეგ მაქსიმალურად მიღებულ 19 ხვეულისა).

3) ექტოპარაზიტებში სპიროხეტების პოვნა გვიკარნახებს ამ მხრივ მუშაობას, ვინაიდგან ეს გააფართოებას Sodak-ის ეპიდემიოლოგიურ ჩარჩოებს.

**ექ. ტეფელაშვილი.** მიკროსკოპიული პრეპარატების გასინჯვის ღროს თქვენ მიერ მიღებულ სპიროხეტებსა და Spiroch. Pollid-ას შორის დიდ მზგავსებას ვხედავთ. რით შეიძლება მათი დიფერენციალური გარჩევა.

**ექ. ჩიჯავაძე.** იყო სპიროხეტები Gims-ით შეღებული, თუ არა?

**ექ. ანთაძე,** (მომხსენებელი).

— დიფერენციალური გარჩევისთვის საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ავადმყოფობის მიმდინარეობა და Spiroch-ზის მორფოლოგია. Gims-ით სპიროხეტები იყო შეღებული.

მოხსენება მეორე.

**პროფ. ვირხალაძე.** „თანამედროვე მეცნიერული მიმართულება გერმანიაში პროგრესიული და ტაბო-პარალიზების ინფექციური მეურნალობა“. გერმანიაში ამჟამად მეტი ინტესიური მუშაობა წარმოებას, ვინემ ეს იყო ომამდე; სამეცნიერო დაწესებულებებათ არავითარი ნაკლი არ ეტყობათ. უურნალების, წიგნების და გაზეთების გამომცემლობა ეხლა შედარებით მეტია. დიდი წარმატება ეტყობა სამეცნიერო სამკურნალო ტეხნიკას; ბევრი ახალი დარგებია შექმნილი და ბევრი ცნობილი საკითხები სრულიად ახალ გზაზე და ნიადაგზეა დაყენებული. დიდი ყურადღებაა მიქცეული იმუნო-ბიოლოგიურ, ფიზიკალურ, ბიოქიმიურ, ენდოკრინულ ჯირკვლების ფუნქციას პათოლოგიურ და ფიზიოლოგიურ, აგებულებათა და შთამომავლობათა თავისებურების მნიშვნელობის შესწავლაზე. დიდი ადგილი უკავია პათოლოგიურ და ბიოლოგიურ მოვლენათა შესწავლაში რენტგენის სხივებსა(?)



დიდი მუშაობა წარმოებს პროგრესიულ და ტაბო—პარალიზების ინფექციურ მცურნალობას მხრივ. მთელი რიგი გამოჩენილი ავტორიტეტებისა აწარმოებენ მუშაობას, მაგალითად Panvitz-ი, Schikk-ი Rosenblum-ი, Weygardt-ი, Nonne და სხვები. უკანასკნელთა ორის კლინიკებში ათასამდე შემთხვევა ქონიათ ამ გვარი მცურნალობისა და შედეგები დამაკმაყოფილებელი მიუღიათ. დიდი მუშაობა ყოფილა გაჩაღებული ამ მხრივ აგრეთვე Hamburg-ის ტროპიკულ ინსტიტუტშიდაც.

მეთოდი დამცურნებელად უნდა ჩაითვალოს პროფ. Wagner Sourengy, რომელიც დაკვირვებას აწარმოებს 1917 წლიდან და რომელმაც გამოაქვეყნა 200 შემთხვევა. ტეხნიკას აწარმოებენ შემდეგის სახით Hamburg-ის ინსტიტუტში, მაგალითად მალარიით დაავადებულიანთ სისხლის ერთ გრამს პირდაპირ უშვებენ, ავადმყოფის ვენაში. მეთოდის ხმარების დროს საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ავადმყოფის სისუსტე; სიგამხდრე, ფუნქციათა დარღვევა, გულის კუნთის მდგომარეობა Aortiti, გულის მძიმე სიმანკე ლვიდლის და თირკმლების დავადება და სხვა. ხელოვნური მალარიის პარაზიტები ნაკლები ვირულენტობის არიან და ამიტომ ინკუმულონური ხანაც მეტია: კანქეულ გაკეთების შემდეგ 15—20 დღეა საჭირო, ვენაში შეშობის შემდეგ კი 5—7 დღე.

ხელოვნური მალარიის პლაზმოდიები ქინაქინის შესახებ უფრო მგზნობიარენი არიან და მათთან ბრძოლა უფრო ადვილია. შეშხაპუნების შემდეგ სიცხე ხან იწევს, ხან კიდევ პროდრემალური რჩება. შეტევა რაც უფრო ბევრია და მეაცრად გამოხატული, მით უფრო კარგი შედეგებია მოსალოდნელი. არის შემთხვევები, როდესაც საჭირო ხდება შეტევების შეწყვეტა, ქაფურის Strophant-ის, Dygalen-ის, Coffein-ის და სხვა ამ გვარი პრეპარატების ხმარება. შებრუნებული ტერაპიას იგივე შედეგები მოაქვს, როგორც მალარიას, მაგრამ კლინიკისტებთა უმრავლესობა მალარიით მცურნალობას უფრო ეტანება. დაკვირვება გვეუბნება, რომ შესაფერ პირობებში ნაწარმოები ინფექციური თერაპია 60—70% შემთხვევაში იძლევა დამაკმაყოფილებ შედეგებს.

ექ. საჩაჯიშვილი. ნუ თუ დღემდე ხმარებაშია გერმანიაში ტერმინი მეტასიფილისი და არა სიფილისი ცენტრალური ნერვიული სისტემისა; მალარიით ტერაპია იხმარება მხოლოდ პროგრესიულ დამბლის დროს, თუ ცენტრალურ ნერვიულ სისტემის სხვა ფორმის დაავადების დროსაც და რა ხასიათის ცვლილებები ხდება ზურგის ტენის სითხეში ამ მეთოდით მცურნალობის შემდეგ.

ექ. თოფურიძე. როგორ უნდა გავიგოთ მოხსენებაში მოყვანილი აზრი, ვითომც Salvarsan ს სპიროხეტები ღემოტროპიკიული მდგომარეობიდან ნეიროტროპიულ მდგომარეობაში გადაყავს? უკანასკნელ ხანებში გამოითქვა აზრი, რომლის მიხედვით უნდა არსებობდეს სპიროხეტების სხვადასხვა ჯგუფი. არის ჯგუფი, რომელიც ქმნის ღემო და დერმოტროპიულ მდგომარეობას, არის მეორე ჯგუფი, რომელიც ქმნის ნეიროტროპიულ მდგომარეობას.

პროფ. ასათიანი. მალარიით მცურნალობა ერთგვარი გატაცებაა და ამ მეთოდს არც ისე დიდი ცვლილება შეუტანია თერაპიაში. შემიძლა დავისახელონ ნიმუშის მიერ ნაწარმოები ცდა, რომლითაც ტუბერკულინის საშუალებით მიიღო მხოლოდ და მხოლოდ ეს წოდებული გამამნენებელი შედეგები. ასეთივე შედე-

გები მიიღეს ნუკლეინი ნატრიუმის სიმეჯავის და სინდიკის ექიმობის დროსაც. ამ შედეგების ტერაპევტიულ საფუძვლად უნდა ჩაითვალოს სიცხის აწევა და ლიპერ-ლეიქოციტოზი. ამ მხრით ყველა ინფექციური ავადმყოფობა კარგად მოქმედობს სულიო ავადმყოფებზე, სპეციფიკური აქ მაინცა და მაინც არა არის რა. სული-ერ ავადმყოფთა მდგრამარეობაში რემისიები ხშირად ყოველივე ტერაპიის გარე-შე, ხშირი მოვლენაა.

**ექ. ოქროპირიძე.** მქონდა შემთხვევა, როდესაც ათაშანგიანი ავადმყოფს და ემართა მაღარია, რომელმაც თითქოს ხელი შეუწყო ათაშანგის გაღვევებას.

**პროფ. თიკანაძე.** თუ მაღარიას ასეთი სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს ათაშანგის ექიმობაში, ცხადია ჩვენში, სადაც მკვიდრთა უმრავლესობა მაღარიითა დაავადებული ათაშანგიანებს და პარალიზიანების რიცხვი ძლიერ ცოტა უნდა იყოს; ნამდვილათ კი ამას ჩვენ ვერ ვხედავთ.

**ექ. ტერეზელაშვილი.** უკანასკნელ წლებში, როდესაც საზოგადოდ და კერძოდ გერმანიაში ცენტრალურ ნერვიულ სისტემით დაავადებულთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა, გამოითქვა ზოგიერთების-მიერ აზრი, რომ ერლიხის პრეპარატია ამისი მიზეზი, რომელსაც დერმო და ოქმოტროპიულ მდგომარეობიდან სპიროხეტები გადაყავს ნეიროტროპიულ მდგომარეობაში და ამზადებს ნიადაგის ნერვიულ სისტემას დაავადებისათვის. და ეს რომ ასე ყოფილიყო, ეს იქნებოდა საშინელი ბრალდება ჩვენი ტერაპიის წინაშე, მაგრამ ასეთი შეხედულობა საზოგადოდ უარყოფილია. ავადმყოფთა რიცხვის გამრავლება აიხსნება ისეთი ფაქტორების ზეგავლენით, როგორიცაა ომი, სიმშილობა, პოლიტიკური მდგომარეობა და სხვა. ესეც რომ არ იყოს, საიდგან შეიძლება დამტკიცდეს რომ, მართლაც, Salvarsan-ი ერევება სპიროხეტებს გარედგან შიგნით, კანიდგან ტვინისკენ. ის გარემოება რომ სპიროხეტები პერიფერიაში ისპობიან და ტვინში აღმოჩნდებიან, Salvarsan ს კი არა, ჩვენ ტეხნიკის სიუძლურეს უნდა მიეწეროს, რომლის მიხედვით ჩვენ დღემდე ვერ შევძლით ეს ტერაპევტიული საშუალება საკმაოდ შეუშვათ ცენტრალურ ნერვიულ სისტემის უჯრედებში და იქ მოკალათებულ სპიროხეტებზე ვიმოქმედოთ.

**პროფ. გორგალაძე.** (მომხსნებელი) ტერმინი მეტასიფილური მოვლენანი გერმანიაში იმხარება დღემდე; მაღარიას და შებრუნებული ტიფით ექიმობენ როგორც პროგრესიულ დამბლას, ისე ცენტრალურ ნერვიულ სისტემის ათაშანგის სხვა ხასიათის დაავადებასაც; ასეთია მაგალითად Zues cerebro-spinal., Atrophy n. optici, scleros. multipli. და სხვა. ზურგის ტვინის ცვლილებები გამოიხატება W-ის უარყოფითი ხასიათში თუმც სრული პარალელობა არ არსებობს. დიდი განსხვავებაა უბრალო რემისიებსა და ოღწერილ გაუმჯობესობათა შორის. უამრავი შემთხვევა იმისა, როდესაც ინფექციური მცურნალობის შემდეგ მძიმე ავადმყოფები იმოდენად გამოკეთდენ, რომ შესძლეს ჩვეულებრივ მუშაობას დაბრუნებოდენ და დღემდე განაგრძოდენ ამ გვარ მუშაობას. უბრალო რემისიებთან რომ გვქონდეს საქმე, ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა იმ ავტორიტეტების მიერ, რომლებიც 1917 წლიდან დაწყებული ასეთ დაკვირვებას აწირ-მოებდენ. მართალია, არის შეხედულობა სპიროხეტების სხვა და სხვა ჯგუფის არსებობის შესახებ, მაგრამ ეს საკითხი ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილად არ ჩაით-



ვლება. ზოგიერთ შემთხვევაში მაღარიის ზეგავლენა დაჩრდილულია, მაგრამ აშ-კარაა, ისიც, რომ ბევრ შემთხვევაში მაღარიით მკურნალობა ძალიან კარგ შედეგებს იძლევა.

**პროფ. ნათიშვილი.** მოხსენებაში წამოყენებული საკითხი დიდი ყურადღების ღირსაღ უნდა ჩაითვალოს. მიღებულ შთაბეჭდილების მიხედვით აშეარაა რომ ინფექციური მკურნალობის ზეგავლენით იწყება ავადმყოფთა მდგომარეობის დიდი გაუმჯობესება, ხანგრძლივი რემისიები, რაც ბევრს საშუალებას აძლევს დაუბრუნდეს, თუ გინდ დროებით, თავის მოვალეობის აღსრულებას, რაც დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

## ՀԵՅԵՐԵՄԵՑՈՒ.

ნეფრიტიულ შეშუპეების კალციუმით წამლობა.

(Keith, Barrier und M. Whelan. Jour. Amer. Med. Assoc. 30/VIII-24 V.).

დაკეირებები კალციუმის მოქმედებაზე ნეტროიტულ ჟეშუპებშვე სურმობდა 1911 წლიდან გრძელდებოდა, ფრანგ და ამერიკელ ექიმების მიერ, რომელიც აღნიშნავენ დიურეტიულ მოქმედობას კალციუმის მარილებისა. მათ მოყავთ ორი ტიპიური ჟეშუპებევა ნეტრობზ-ნეფროტისა დიდი ჟეშუპებით, რომელზედაც არავთარი საშუალებამ არ იმოქმედა, გარდა ქლორიანი კალციუმისა. უკანასკნელი იხმარებოდა შიგნით 10—18 გრამამდე დღეში, 26 დღის გამავლობაში. ორივე ჟეშუპებევა იყო ავტორების მიერ ყოველ მხრივ შესწავლილი მინერალური იონების გაცვლა-გამოცვლაზე. ქლორიანი კალციუმის ზეგალენით გამოყოფა Na-სა და Ca-სა, რის ბალანსი წამლობის დაწყებამდე უკარყოფითი იყო, შესამჩნევად გაძლიერდა. კალციუმის ბალანსი, რომელიც უკარყოფითი იყო წამლობამდე, შეიქნა დადგებითი. შესამჩნევად გაძლიერდა შარდის გამოყოფა, თუმცა გამოყოფილ შარდის რაოდენობა იყო ნაკლები წმინდა დაკარგვასთან შედარებით, ალბად იძირომ, რომ გაძლიერდა წყლის დაკარგვა კანისა და ფილტვების საშუალებით, კონცენტრაცია H იონებისა შარდში წამლობის შემდეგ შესამჩნევად აიწია Ph 7,6—6,7—4,6—5-მდე. შესამჩნევად გაძლიერდა აგრეთვე გამოყოფა Na და Ca განავალში. ავტორების აზრით, ქლორიანი კალციუმის მიღების დროს, ხდება გამოყოფა ქლორისა, რომელიც შეიწურება მარილის სიმებავის სახით და შემდეგ გამოდის თირკმელების საშუალებით მარილის სახით და აძლიერებს დიურეზს. ამავე დროს, როგორც ეტყობა, ხდება ცვლილება კოლონიდებისა ქსოვილებში ისე რომ ძლიერდება გამოყოფა სუსტად შეკავშირებული წყლისა.

35. 2—801.

შემთხვევა სუბქრონიკული ინფექციური ენდოკარდიტისა, მორჩენილი გენ-ციანვიოლეტით წამლობის შემდეგ.

(Major. Jour. of Amer. med. Ass. 1925, No 4).

პროგნოზი სუბტერინივულ ინფექციულ ენდოკარდიტის დროს ძლიერ ცუდია, რადგან ავადმყოფთა უმრავლესობა იღუპება. ავტორი აღწევს შემთხვევას ასეთი ენდოკარდიტისა, რომელიც ცხრაფად დამთავრდა მორჩილი გენციანობლეტის გვანაში შეშაბუნების შემდეგ. ეს შემთხვევა შეეხებოდა ქალს, 25 წლისა, რომელიც ავად იყო უკვე 3 თვე სავადმყოფოში მოთავსებამდე და უჩიოდა ტკივილებს გულის მიდამოზე, ქოშინს, სიცხეს, ოფლს ღამ-ღამიბით, საერთოდ სისუსტეს. ობიექტირად: მწვავე ანემია ( $32\%$  ჰემიკლობინი,  $3.320.000$  ერთლოციტები), სიცხე  $36,1^\circ\text{-დან} - 38,1^\circ\text{-მდე}$ , სისტოლური შუილი გულის მწვერვალზე. პეტები და ელენთის გადიდება არ იყო. განმეორებით სისხლის გასინჯვის დროს მიღებულ იყო სუფთა კულტურა *Streptococcus viridans*. 48 საათის შემდეგ გენციანობლეტის შეშაბუნებისა ( $0,05$  წონის ყოველ კილოზე სხარი  $1 : 500$ ) ტემპერატურა დაეცა ნორმამდე. სისხლის გასინჯვა (შემდეგ და განმეორებით) დაგვარუშუნა, რომ იგი სტერილურია. გაკეთებულ იყო კიდევ 3 შეშაბუნება 48 საათი გამოშევით. ავადმყოფი გაუწერა 3 კვირის შემდეგ სრულიად განკურნებული; 7 თვის შემდეგაც ხელმეორედ გასინჯვის დროს ის იყო სრულიად ჯანმრთელი (დარჩა მხოლოდ სისტოლური შუილი გულის მწვერვალზე). გამოწერის დროს სისხლში იყო  $67\%$  ჰემოგლობინისა,  $4.500.000$  ერთლოციტებისა. Joniug-მა და Hill-მა აღწერეს 3 შემთხვევა ბაქტერიობისა (Sta-



*phylococcus aureus*), სადაც ნაწილი ავაღმყოფებისა განკურნა უგენციავილეტოთაც, მაგრამ, ავტორი, იღებს რა მშეფელობაში სწრაფი შედეგს, რომელიც მოჰყავა შესაბამებას აღწერილ შემთხვევაში, გვიჩვევს ვიზუალო ასეთი ჭალობა ამ მძიმე ავაღმყოფთბის დროს.

33m. 3-805.

Chronic iridocyclitis atrophy Patches-in the iris by Mayou London Cthebr; tish journal-of ophthalmology (Januay 1925 9. № 7).

თუმცა არტროფაული ადგილების ირისში ქრონიკული iridocyclitis დროს არ არიან იშვაითი, მათხე არას ლაპარაკობენ სახელმძღვანელოები. ეს ადგილები გვხვდებიან იქ, სადაც კაპილარული ანასტრომობები უფრო და არ იძნია არ იან, ჩნდებიან 3—6 კვარტის შემდეგ ავალყოფის დაწყებისას, წარმოადგენს ალბაზ იმ ადგილებს, სადაც მოხდა ემბოლიური ინციენცია. შემთხვევის აღწერა: ქალ-ბატონი ბ., 55 წლის, ნაცული პირველად 19. IX. 1924—უჩივის მარჯვენა ოვალის წინ ვითომ რაღაც ღრუბელსავით გადაფარებული იყოს. ნაპინი იყო რეავანი გარსის პრეცეპიტატები და მინისებრი გარსის სიმღვრივენი. კბილებს ემნენდა *pyorrhoea alveolaris* და აიექსაზის ირგვლივ ჩირქებროვანი. კბილები ამძრობილი იყონენ და ვაკინა შეშაბუნებული. 22. X. 1925 გ უ გ ას დაებრუნდა მისი მოქმედობა და ზემოალწერილი ადგილების ნახვა შეიძლებოდა.

5. 3

ფარული სისხლის მდინარობის აღმოჩენა Thevenon და Rolland-ის მეთოდით.

რამდენადაც შეწილინის ცდები ყოველთვის ხელმისაწილი და საიმედო არ არის, პრე-პარატის თვისების გამო, ჩვეულებრივ საცადმყოფო და კლინიკურ პრატიკის მიზნებისათვის, როდესაც საჭიროება თხოულობს ყოველდღიურად მოედ რიგ გამოკელევათა მოხდენას, საჭიროა ქრისტიანულობისა და სრულიად საიმედო საშალებისა ფარულ სისხლის მდინარობის გამოსაკვლევად. მთელი რიგი ავტორთა ამტკიცებენ T. და K. (1918 წ.) მიერ მოწოდებულ რეაქციის სიკარგეს—ფარულ სისხლის მდინარობის გამოსაკვლევად.

ზოგნა მას ნაკლებ მგრძნობაარედ სოვლინ, ვიზრე Gregersen-ის რეაქციას. Fritz Joseph-ით. (D. m. K. 1925. I; 10 გ.) პირამიდონის რეაქციას თავისი მგრძნობიარობით შეა-დგილი უწინააგ Wagner-ის ბერზიდინის ცდასა და Gregersen-ის მატლიფიკაციის შორის; ის საიმედოა Weber-ის გვაკალით რეაქციაზე. ბერზიდინის ცდათა და მათ შორის Gregersen-ის რეაქციის ნაკლულოვანება, ბერზიდინის ცვალებადობაშია. და ბოლოს ხანდისხან ვიღებთ საჭევო შედეგს და ამ შემთხვევაში სასურველია რეაქციის კონტროლი სხვა უფრო ადვილი მეთოდით, როგორსაც წარმოადგეს პირამიდონის ცდა.

აღსანიშვანია აგრძელებული რეაქტორები, რომლებიც პირამიდონის ჩატარების დროს იხმარებიან, გამჭვირი არიან.

რეაციის ტენიკა ასეთია: განვალის ნაწილაკი (სიდიდით მუხულის ტოლა) ან და სხვა გამოსაკვლევ ნივთებრებისა უნდა გაიღესოს (მასრაზი) 4 კუბ. სანტ. წყლში, შემდეგ ამჟაგებენ 50% მტრის მეჟავის სნარისა რვა წვეთის მიმტებით და უმატებენ თანაბარ რაოდენობას პირა-მიღონის მაძარ ალკოჰოლის სნარს (5%). (2,5 პირამიღონი 50% Spir. Yini 90%), დამჟაგებლად უმატებენ წყლაღადის გადანაფანგს 6—8 წვეთს (Sol. Hydreg. hyperoxyd 3%). დადგებით რეაქ-ციის დროს ვიღებთ სოსან-ის ფერს. F. J. გვირჩევს შემდეგ ალნიშვნას რაეჭციის სხვადასხვა ხარისხისთვის: მუქი სოსანის ფერი რომელიც გამოჩნდება ერთი წამის შემდევ—სამი ჯვარით, მკაფიო სოსანი ფერი როცა გამოჩნდები არა უგვიანეს 1—2 წამისა—ორი ჯვარით და ბოლოს ოდნავ გასარჩევ ნათელი სოსანი ფერი—ერთი ჯვარით.

რამდენი ხნის განმავლობაში უნდა გვყვადეს ავადმყოფი უხოლცო დიეტზე — ფარულ სის-  
ლის მდინარობის გამოკლევისთვის განვალში? უმეტეს შემთხვევაში, უკვე მეორე დღესვე  
ხორციადების შეწყვეტის შემდეგ (თუ ავადმყოფები იკვებებოდენ ხორცის მცირე რაოდენობით)  
სისხლის ნაწილი არა ჩნდებან. აღმოჩნდა არეტვე, რომ 150,0 უმი ხორცის მიღების შემდეგ  
(ერთ ჯერზე) განავალში ფარული სისხლის მდინარობა არ აღინიშნებოდა.

3. 3.



ლეტარგიული ენცეპალატი Pott-ის ავადმყოფობათ მიღებული (La Presse Med. № 98—24 წ.).

Roederer-ს მოყავს ერთი შემთხვევა ახალგაზრდა კაცისა, 20 წლისა, რომელიც ავად იყო ბაცილიარული სპონტინული. მას 6 თვეს განმაჟლობაში წელში ქონდა ძლიერი ტკივილები, რამეტებიც მოძრაობისაგან არ იცვლებოდნენ და მედიკამენტებისგან არ უზრდებოდნენ. პარკინ-სონიზმის ნიშნების გამო საფირებელი იყო, რომ მას წარსულში ქონდა ეპიფემიური ენცეპა-ლიტი, რომელიც ავადმყოფობის ისტორიაში აღნიშვნული არ იყო.

ძორე შემთხვევა შეეხება 50 წლის დედაკაცს, რომელსაც ქონდა მკერდ-ლავიჭ-დფრილის, მანდილისებრივის და დედიტოიდურ კუნთების მიოკულინა, რომელსაც წინ უძლოდა ტკივილე-ბის პერიოდი და რომელიც კისის არის Pott-ის ავადმყოფობათ ჩათვალეს.

არავითარი ნიშნები ენცეფალიტისა წარსულში, პარკინზონიზმის ნიშნებიც არ იყო. სალიცილატების პრეპარატებით მკურნალობამ საშუალო შედეგი გამოიღო. მოვლენები დაწყნარდა და ექვს თვეში გაიარა.

Rentgen-ი—უარყოფითი: არავითარი ნიშანი Osteitis vertebralis-ისა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ორ შემთხვევაში შეცდომის დაშვება იყო ლეტარგიულ ენცე-ფალიტის და Pott-ის ავადმყოფობის დროს ტკივილების გამო. ეს ტუბერკულოსიურ სპონტილი-ტის აღმოჩენაში ახალი თავია, რასაც უნდა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

3. გუდ—ლი.

პიროვნების შეცვლის შესახებ ქრონიკულ ენცეფალიტის დროს (La Presse Med. № 24—24 წ.).

Meyer-ის მიერ მოყვანილი შემთხვევები ნათლად გეიზენებენ ფსიქიურ ცვლილებების სხვადასხვა გვარობას ქრონიკულ ენცეფალიტის დროს, ფსიქიურ ცვლილებების მძიმე შემთხვე-ვებში გვცვდება აზროვნების პროცესის გავიანურება, სიტყვათა ლექსიკონის სილარიე, ფსიქიური ასტენია, მუშაობისასმის სურვილის დაკარგვა, მრკლეთ რომ ვთქვათ ყველა ეს ჩამოვავს სიმპტო-მებს, რომელსაც ვეძათ „ბრადიტისტებას“.

თუ ავადმყოფობის პროცესი შორს არის წასული, ფსიქიზმის ცვლილებები თავდება ყო-ველივე ინტერესის გარემონსადმი დაკარგვით, სრულ აპარიტით და „ინტრაფსიქიურ სიცალიერით“.

ცნობილია აგრეთვე ფსიქიური ფორმები ენცეფალიტისა ბავშვების ასაკში ხასიათის შეცვ-ლით, ცოფიანობის შეტევებით და სქესობრივ განზინილობით. ორი დაკვირვება Meyer-ისა გვაჩვენებს, რომ ამგვარი პიროვნების ცვლილებანი სქესობრივ გაუკულმართებით აღინიშნება ენცეფალიტის დროს მოზრდილობის ასაკშია.

3. გუდ—ლი.

Jean Ouenet J. Futou. Диафрагмальная эвентрация. Journ. de Chir. июль 24 г.

(„Врачебное дело“. № 1—2. Январь. 1925. Харкхов).

დიაფრაგმალური ევენტრაცია დიაფრაგმალური თაქარისაგან განირჩევა იმით, რომ შუა-საძიდი უველგან მთელია. Louste et Foutou-მ 105 შემთხვევა დიაფრაგმალურ ევენტრაციის. Furon და Lucy-ს მოშობით დიაფრაგმალური ევენტრაცია უფრო ხშირია, ვიდრე თაქარი. მამაკაცი სამჯერ უფრო ხშირად შედარებით დედაკაცებთან განიცდის ამ დავადებას. ასაკი ნაირანირი. 12 შემთხვევა შეეხება ახლად დაბადებულთა. პირველად ნიშნები ჭაბუქებს ემჩნევა, უფრო ზმინად პირველი ნიშნები თავს იჩენ 40 წელში. Fouton-ი დავადებას თანდაყოლილად სოვლის, რაც დაფრაგმის გადაგვარებაზეა დამოკიდებული. 130 ევენტრაციიდან მხოლოდ 8 შემთხვევაში გამომჩენე მარჯვენა მხარეზე იყო. ევენტრაცია სამგვარ შედეგს იძლევა: გულის

မარჯვნივ დატება, მარცხენა ფილტვის აკლაზია და მუცლის ღრუს ორგანოთა (კუჭი, ნაწლავი მდებარეობის ცვლა. ქოშინი, სუნთქვის განელების იერიში, გულმყერდის ღრუს ტკივილი, მარცხენა ფილტვის ფუძის პლევრიტის სინდრომი სასინჯ ჩხვდეტის უარყოფითი შედეგით ან და hydroponemothorax-ის მოვლენანი. დიაფრაგმალური ევნტრაკუა გაჭიდვას არ გახიცდის. რადგანაც მხოლოდ ერთი ფილტვი სუნთქვას მისი დავადება ფრიად სახითოთა. ამ სწორულების დროს ხშირია კუჭის წყლული. Futou და Louste's მიერ განიჩევა დიაფრაგმალურ ევნტრაციის სამი ტიპი: 1. გულის ტიპი. 2. საჭმლოსანელებელი ტიპი და 3. პლევრალიტოგვანი ტიპი

Futou გვაფრთხილებს მარცხნა ქვედა პლევრის საცდელ ჩხველეტისაგან, ვიღორე რენტგენის საშალებით არ დავრწმუნდებით რომ დაფრაგმალური ევენტრაცია არ არსებობს. მისი ოპერაცია—thoraco-laparotomy შემდეგში გამოიხატება: ავადყოფით ზურგზედ წევს. მარცხნა, გვერდი ბაშალით აწეულია. ავადყოფის მარცხნა ხელი ზევით აწეულია. საკროით ახვისტებია. განაკვეთი წევთა შერის მეტებს სივრცეში იღლის ჟკანა ხანიდან დაწყებული ამ სივრცის დაწყებამდე რის შემდეგ გრძელდება მუცელზედ თეთრ ზოლამდე. იკვეთება 1. კანი, 2. thorax'ის და პლევრის ყველა კუნთი, trachea ყრტილოვანი კიდე და მუცელის კედელი და აპკი ნეკროა შერის Fuffier'ის გამაფართოველს სდამენ, რაც ნეკრა დაუჭირებლივ ჭრილობის გაფრთოვების 8–10 cm. საშალებას იძლევა. ჭრილობის წევითა ნაშილში სველი ტამონი შეყავთ, რომლის საშალებით ფილტებს ზემოთ სწევენ. თანაშემწე მუცელის ღრუში ჩადის ხელით შეასაგიდის გუმბათამდე და ასწორებს ქვემოთ მუცელში კუჭს, ნაწლავს და ყოველ შიგნეულობას. მაშინ დოსტაქარი ანაოჭებს შუასძგიდსა და კერავს. ნოჭი იმ ხელა უნდა იყოს, რომ შუასძგიდი საკმარისათ დაეშოს.

ამ შემთხვევაში ავადმყოფი მორჩა. ყოველი ანორმალობა, რომელმაც ოპერაცია გამოიწვია, მოისპო Quénu ფრერობს რომ საკერი მასალა დიაფრაგმისათვის არაშესასრული ნივთიერებისაგან უნდა იყოს.

პროფ. ა. მაჭავარიანი.

Münf. Med. Woch. 1923 № 3. Aus dem Kaiserin Auguste-Wictoria-Haus. Reichenstalt zur Bekämpfung der Säuglings- und Klein-Kindersterblichkeit. Die 1. Per.

Laugstein ցուցանշում պարունակությունը կազմում է 10% առավելություն:

Hans Langer-oh.

ავტორი აღნიშნავს, რომ არ მართლდება ავტორების შეხედულება, თითქოს ძუძუმწოვართა ტუბერკულოზი ყოველთვის სიკვდილის მომასწავებელი უნდა იყოს. ახალი დაკვირვებები (Harn, Oswald და სხვები) უარყოფინ ამას. თვით ავტორს გაუტარებია 140 შემთხვევა ძუძუმწოვრების ტუბერკულოზის. სიკვდილიანობა ყოფილა 60%, თუ ძუძუმწოვრობის ასაკი 18 თვით განისაზღვრა; თუ 12 თვით, მაშინ კი პროცენტი სიკვდილიანობისა 66% მდე ადრს. ავტორი ხაზავს მით აღნიშნავს, რომ ეს პროცენტი უფრო მაღალი უნდა იყოს, ვინენ სინამდვილეში, რადგან დიდი უმრავლესობა ლატენტური ტუბერკულოზისა არ წედება საკავდმყოფოში. რაც შეეხება მომავალ ბეჭს იმ 55 ბავშვის, რომლებიც 18 თვემდე არ მოკვდარან, ავტორი აღნიშნავს, რომ 50 მათგანი შევიდა დატენტურ სტადიაში, ასე რომ შეიძლება ლაპარაკი პირველი ინფექციის მორევაზე (Überwindung) ნახევარში ამ შემთხვევებისა დაკვირვება გრძელდებოდა 4 წლილიწადშე მეტი, ზოგიერთ შემთხვევებში კი 10 წლამდე. ავტორს მოყავს რამოდენიმე ავადმყოფობის ისტორია, საიდანაც ჩენ გებდავთ, რომ საკმარისად დიდი ცვლილებები ძუძუმწოვრების ფილტვებისა, რომლებიც ყოფილან აღნიშნული რენტგენით 2, 6, 8 თვის ბავშვებში; რამდენიმე წლის შემდეგ იმავე რენტგენის ჩენებით თითქმის სრულიად გამქრალან და ბავშვებიც უმეტეს შემთხვევაში საკმარისად განვითარებულან. აქედან ავტორს ის დასკვნა გამოყავს, რომ ძუძუმწოვართა ტუბერკულოზის პროგნოზი არ პრის ყოველთვის ცუდი და ტუბერკულოზური ცვლილებების ჟენგარიორების თვისება, შეიძლება ამ ასაკში მეტიც იყოს მოზრდილებათან შედარებით, რაც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება საერთოდ მიღებულ შეხედულებას. ავტორი ეხება აგრეთვე საკითხს, თუ რა მნიშვნელობა აქვთ დედ-მამის ტუბერკულოზის ძრობის გადასაცემა.

ტუბერკულოზის პროცენტისათვის და აღნიშნავს, რომ სიკვდილიანობის ၅% ტუბერკულოზი მემკვიდრეობით დატვირთული ბაზშეგებისათვის უძრის ცნ-ს, ხოლო ბაზშეგებისათვის, რომელიც თავისუფალნი არიან ასეთი მემკვიდრეობისაგან 60-ს. განსხვავება არ არის დიდი. მაგრამ დიდია ის ავადმყოფობის მსვლელობის მხრივ. წწვავე ტუბერკულოზი (მილარული tbc ტიპი მენინგიტი) იშვიათია პირველთა შორის ქრონიკული ფილტვის ტუბერკულოზთან შედარებით. 35 შემთხვევიდან პირველი ჯგუფისა 26-ში ყოფილა ქრონიკული ფორმა, მარტო 9-ში მწვავე. მეორე ჯგუფს კი მოუცია 36 მწვავე და 9 ქრონიკული ფორმა. ავადმყოფობა გაგრძელებულა ორი კვირაზე ნაკლები პირველ ჯგუფში 11%-ში, მეორე ჯგუფში კი 55%-ში. დედ-მამის ტუბერკულოზი (სულერთია დედისი იქნება ის თუ მარტო მამისი) აპატარავებს ძუძუმწოვრის მიღრევილებას მწვავე ფორმებისადმი. ეკსპერიმენტალური გამოკვლევები Römer-ისა თიოქოს არ ადასტურებენ ამ გარემოებას, მაგრამ აქ ავტორის აზრით მეტი მნიშვნელობა კლინიკურ დაკვირვებებს უნდა ქრნდეს და ისინი კი ლაპარაკობენ, რომ დედ-მამის ტუბერკულოზი იწვევს კიდევ ემბრიომალურ პერიოდში გამალლებას ძუძუმწოვრის წინააღმდეგობის თვისების ტუბერკულოზის მიმართ. როგორია ეს იმუნიტეტი (პასისური, აკტიური, ჰუმორალური თუ უჯრედობრივი) ჩვენ არ ვიცით, მაგრამ მისი არსებობა უკველია. ცუდი მემკვიდრეობით დატვირთული ბაზშეგების ძგლიმარეობა მით არის უარესი, რომ ისინი იმყოფებიან მუდმივი ინფექციის პირობებში, მაგრამ თუ ისინი, თუნდაც უკვე ინფექციით შეყრდნობილი, გაშორებული იქნებიან დედ-მამას პირველ თვეებშივე, არის დიდი შანსები მათი სიკვდილიდან გადარჩენისა. ინკუბაცია ასეთ შემოხვევებში 12 თვემდე გრძელდება, ასე რომ სუპერინფექცია ამოკლებს ინკუბაციის ხანას და რასაკვირველია აუარესებს პროგნოზს. 20 სიკვდილს გადარჩენილ ბაზშეგებიდან ცუდი მემკვიდრეობით, ყველანი პირველ თვეებშივე იყვენ მოშორებული დედ-მამას. აქედან პრაკტიკული ნაბიჯი — აუცილებელი გაშორება დედ-მამის ოჯახისა, რაც შეიძლება ადრე ერთ წლამდე მიანც; რადგან სუპერინფექციას ერთი წლის მერე არა აქვს ავტორის დაკვირვებით ისეთი ცუდი მნიშვნელობა.

ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის

## „მ ა მ ა გ ე“

ჯანმრთელობის ორგანიზაციის სამეცნიერო და პრაქტიკული მედიცინის საკითხების შესახებ.

არაპერიოდული გამოცემა ქართულ და რუსულ ენაზე.

შურნალი გამოდის პროფ. ა. ს. ალადაშვილის, პროფ. ს. ს. ამირეჯვიბის, დამსახურებული პროფ. ი. ა. ანფამოვის, პროფ. ვლ. ვორონინის, პროფ. ა. გ. მაჭავარიანის, დამსახურებული პროფ. პ. გ. მელიქიშვილის უახლოესი მონაწილეობით.

შურნალში მონაწილეობას იღებენ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის პროფესორები, საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზ-ის და ამიერკავკასიის საექიმო საზოგადოების წევრები.

შურნალი შეიცავს შემდეგ განყოფილებებს:

I სამეცნიერო ნაწილი.

II საბჭოთა მედიცინა.

III სამეცნიერო ცხოვრება.

საღმე გამოქვეყნებული წერილები იმავე ენაზე დასაბეჭდავად არ მიიღებიან.

**მიიღება განცხადებები:** ფასი: 1 გვერდი — 45 მანეთი.

$\frac{1}{2}$  " — 25 "

$\frac{1}{4}$  " — 15 "

რედაქციის მისამართი: ქ. ტფილისი, საპიორის ქუჩა № 30.

საქართველოს სახალხო ჯანმრთელობის კო-  
მისარიატის მოამბის სარედაქციო კოლეგია.

შურნალის რედაქცია: { ჟ. მაისურაძე, მ. მგალობლიშვილი, შ. მიქელაძე.  
ვ. ქაგთარაძე და ნ. ყიფშიძე.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხანოვის პრ. № 91.

მთავრები ტიპი № 1084.

შეკ. № 8604/64.

დაიბეჭდა 600 ც.

უოველთვიური პროფესიონალური უფრნალი

## „ს ა უ ნ ჯ ე“

ს ა ნ ი ტ ა რ უ ლ ი გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ი.

ხელის მოწერა წლიურად 6 მან., თვითეული ნომერი 10 შაური. წლიურად ხელის მომწერთ მიეცემათ დამატებად სამი წიგნი: 1) ჯანმრთელობის წყარო, 2) ბრძოლა მწვავე გაღამდებ სენებთან, 3) ჯანმრთელობის გუშაგი.

რედაქტირია და კანტორა: ტფილისი, ლ. დუმბაძის ქ. ჭალაქის ჯანმრთელობის განყოფილება.

პასუხისმგებელი რედაქტორი გ. ყორჩიბა ში.



ექიმ ე. ჩიჯავაძის

კლინიკურ-დიაგნოსტიკური

კ ა გ ი ნ ე ტ ი

იღებს გამოსაკვლევად:

სისხლი: Wassermann-ის, Weinberg-ის, Widal-ის Weil-Felix-ის და ანტიტრაპიული რეაქციები, სრული კლინიკური გამოკვლევა და სხვა.

ზარდა: ქიმიურ-მიკროსკოპიული, ბაქტერიოსკოპიული და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი.

ნახველს, განავალს, კუჭის სითხეს, ხერხემლის ტვინის სითხეს (Nonne-Appelt), ლორწოს (Loeffler-ის ბაცილები), ჩირქს, თმას და სხვა.

ამზადებს ავტოგენურ ვაქცინას.

მასალა მიიღება: მთელი დღის განმავლობაში; კვირაობით და უქმედლეს 10—1 ს. პირადი ნახვა შეიძლება დილის 9—10 საათამდებ.

შესაბამის: ლირინის (ოლღას) ტენია, გაბაკანთ შესახვევი (შელი-ტენი-ტენის დანართის სასახლის პირდაპირ) № 3.

723/33

  
საქართველოს  
მინისტრობის  
განაცხადი

ვადი 1 მან.

ქურნალის ფასია: 1924 წლის სრული კომპლექსი 5 მანეთი.

უალკი ნომერი . . . . . 1 მანეთი.

ორმაგი ნომერი . . . . . 1 მანეთი. 50 კაპ.

ქურნალი „თანამედროვე მედიცინა“ გამოვა ყოველთვიურად და-  
ახლოვებით 70-80 გვ. ქურნალში მოთავსებული იქნება ორიგინალური  
წერილები თეორიულ, კლინიკურ და საზოგადოებრივი მედიცინიდან,  
მიმოხილვები, რეფერატები სამკურნალო მეცნიერების ყველა დარგიდან,  
სამედიცინო საზოგადოების სხდომების ანგარიში, კორესპონდენციები, გი-  
ბლიოგრაფია და ქრონიკა.

ორიგინალური წერილების ავტორებს მიეცემათ მათი ნაშრომების  
ცალკე ამონაბეჭდი.

წერილები უკვე სადმე დაბეჭდილი ქურნალში არ დაიბეჭდება. წე-  
რილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე ზედმიწევნით გარკვე-  
ული ხელით ან მანქანაზე გადაბეჭდილი. რედაქცია იტოვებს უფლე-  
ბას საჭიროების მიხედვით წერილები შემოკლოს.

რედაქცია სთხოვს პროვინციის ამხანაგებს გამოაგზავნონ ცნობები და  
კორესპონდენციები პროვინციის სამკურნალო ცხოვრების გასაშუქრებლად.

რედაქციის მდივანია — ექიმი პ. ჩავთარაძე — (ყორღანოვის  
ქუჩა № 20), რომელსაც უნდა მიმართოს ყველამ, ვისაც სურს რე-  
დაქციის და ქურნალის შესახებ რაიმე განმარტება ან ცნობა მიიღოს.

ქურნალის მეათე ნომერი უკვე იბეჭდება და გამოვა ოქტომბრის  
დამლევისათვის.

ქურნალი „თანამედროვე მედიცინა“ -ს წარმომადგენლები — მკურნალი, სა-  
ქართველოს ქალაქებში: ქუთაისში — დ. ჩეჩელაშვილი (ნინოშვილის ქ. № 41),  
ბათომში — პ. გიგინიშვილი, ლანჩხუთში — გ. ბარამაძე, სენაკში — ი. ჩხეტია, ხა-  
შურში — გ. ციციშვილი, სოხუმში (აფხაზეთი) — ა. გრიგოლია, ზუგდიდში — ანთ-  
ლავა, რომელთაც ქურნალის საქმეების გამო უნდა მიმართონ პროვინციელ  
ამხანაგებმა.

